

მსოფლიოს წლის პოპულარულ ქალთა და მამაკაცთა ათეულები A3



„თქვენი აფხაზეთი" A8



მეცნიერება და ტექნიკა B3


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 30 დეკემბერი, 2005 წელი. №291 (1151)

ფასი 50 თეთრი

## უბიუჯეტოდ, მაგრამ შადრევნით

მაია მოსიაშვილი

2006 წელს რუსთავი ბიუჯეტის გარეშე ხვდება. ქალაქის მთავრობის მიერ შეთავაზებული პროექტი საკრებულომ დაიწუნა, უკან დააბრუნა და მისი მიღება იანვრისთვის დაგეგმა.

**"ბიუჯეტის პროექტში შემოსავლითი ნაწილი წარმოდგენილი იყო 9 მილიონ 200 ათასი ლარით. ვფიქრობ, და საკრებულოს წევრების მოსაზრებაც ასეთია, რომ ის უფრო მეტი უნდა იყოს. დარწმუნებული ვარ, რომ ახალი პროექტი წარმოდგენილი იქნება სულ მცირე 10 მილიონ 500 ათასი ლარით. ეს იმიტომ, რომ 2005 წლის ფაქტობრივი შესრულება დაახლოებით ეს ციფრია. საკრებულოს მოთხოვნა ასეთია - უნდა გაიზარდოს როგორც შემოსავლითი, ისე ხარჯვითი ნაწილიც. რასაც დავპირდით რუსთაველებს - სპორტული მოედნებისა და სკვერების მშენებლობა - ასახული უნდა იყოს ბიუჯეტში. ათმილიონნახევარზე ნაკლებს პირადად მე ხელს არ ავუწევ,"** - აცხადებს რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჩიქოვანი.

**"დიდი სიამოვნებით გავზრდი შემოსავლით ნაწილს, თუ ფინანსთა სამინისტრო მხარს დამიჭერს, მაგრამ რეალურად დღეს რუსთავისთვის ტრანსფერის მოთხოვნა სირცხვილიც არის. მე როგორ უნდა გავზარდო შემოსავლები? ის საგადასახადო ინსპექციას შემოაქვს და ამიტომ რეალურ ციფრზე უნდა გავიდეთ.**

გაგრძელება A2 გვერდზე

## ისე არ შეიძულეს, როგორც ელოდა

მაია ჭალაგანიძე

*ახალმა პოლიტელიტამ თამაშის ახალი წესები შემოგვთავაზა. ტაქტიკა და დამოკიდებულება შეცვლილია ოპოზიციასთან, საზოგადოებასთან და, რა თქმა უნდა, მედიასთან ურთიერთობაშიც. ხელისუფლება მუდმივად ამბობს, რომ ახლანდელი ოპოზიცია მისი სერიოზული კონკურენტი არ არის, საჯაროდ აქებს ბიზნესს და ეს უკანასკნელიც ისე, როგორც ყოველთვის, იძულებულია, ადვილად მოერგოს ახალ რეალიებს. საზოგადოდ, მთავრობა და პარლამენტი კმაყოფილია წლევანდელი მუშაობით. შემაჯამებელ საახალწლო ანგარიშებში არ იხსენებენ დემოკრატიული ინსტიტუციების შექმნის პროცესში არსებულ მთელ რიგ პრობლემებს – მთავრობის ხალხთან კომუნიკაციას, უამრავ ბრალდებას სასამართლოს უუნარობაზე, პარლამენტის სისუსტეზე, რომელიც არ იმჩნევს, რომ საკანონმდებლო ორგანოს სიძლიერე პარლამენტართა ხელფასების სიდიდით და ერთ სხდომაზე მიღებული კანონების სიმრავლით კი არ იზომება, არამედ ამ კანონების შინაარსითა და ხარისხით.*

გაგრძელება B1 გვერდზე



## ზამთრიდან - ზამთარში...

### ბიძინა გუჯაბიძის დღიურები

Лето перезимовали, зимой будем лечится - *საბჭოთა ალპინიზმის ეს "ფრთიანი" ხუმრობა მაშინ დაიბადა, როცა ალპინიზმი სპორტის სეზონურ სახეობებს მიეკუთვნებოდა და ზამთრის ასვლები იშვიათად ხორციელდებოდა. სამთო ინდუსტრიის არნახულად სწრაფმა განვითარებამ ამ გამოთქმას აზრი დაუკარგა - დღევანდელი აღჭურვილობით მთამსვლელს მთელი წლის განმავლობაში ასვლის სეზონი აქვს. ერთი სიტყვით, სპონსორი იყოს, თორემ ჩვენთვის "ორშაბათიც შაბათია!"... წლევანდელ სეზონს თითქმის ჩაშლილად ვთვლიდი, როცა "გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა" ითავა ჩემი დახმარება! ეს იყო ზაფხულში.*
*მანამდე კი იყო ზამთარი და გრძელი, დაუმთავრებელი, მოლოდინსა და ნერვიულობაში გატარებული გაზაფხული...*

გაგრძელება B4 გვერდზე



## საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოსამართლეთა ბედს შეცვლის

**"პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან სასამართლო ხელისუფლებაზე უკანონო ზეწოლის აღკვეთა სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე იყო მნიშვნელოვნად დამოკიდებული. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არსებულ ვითარებაში, მით უმეტეს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა მიმართ აღძრული უკანონო დისციპლინური დევნის ფონზე, პრეცედენტული მნიშვნელობა აქვს",** - ასე აფასებენ არასამთავრობო ორგანიზაციის "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წევრები საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭო აღარ იარსებებს. საქმე ისაა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ეს გადაწყვეტილება ყოფილი მოსამართლეების - ალექსი მარიამიძისა და პაატა ქობულაძის სარჩელებთან დაკავშირებით მიიღო. მოსარჩელეთა ინტერესებს სწორედ ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატები იცავდნენ. სარჩელის ძირითადი მოთხოვნა იყო "საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის იმ მუხლების არაკონსტიტუციურად ცნობა, რომელთა თანახმადაც, სადისციპლინო საბჭოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ კასაციის წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოში. მოსარჩელეთა აზრით, აღნიშნული მუხლები უხეშად არღვევდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით და ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლით დაცულ და გარანტირებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას, რადგანაც კასაციის წესით შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ ქვემდგომი სასამართლო ინსტანციის გადაწყვეტილება და არა ისეთი არასასამართლო ორგანოს გადაწყვეტილება, როგორიცაა მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭო.

გაგრძელება A6 გვერდზე

## ახალი საგადასახადო კოდექსი - ახალი გამოწვევა ბიუჯეტისთვის

როგორც მოგეხსენებათ, 2005 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ახალი კანონების და მათგან გამომდინარე ნორმების მთელი წყება ამოქმედდა, რომლებმაც არსებითი გავლენა იქონიეს ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებზე. ასეთთა რიცხვში ერთ-ერთი პირველი - ახალი საგადასახადო კოდექსი გახლდათ, რომელმაც ქვეყნის ეკონომიკურ სივრცეში არსებული ვითარება თვისობრივად განსხვავებული გახადა.

მოქმედების პირველ წელს უნდა გამოევლინა ახალი კოდექსის სიცოცხლისუნარიანობა და მორგებულობა ქვეყნის ეკონომიკურ რეალიებზე, მისი გავლენის ხასიათი და ხარისხი ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებზე, მათ შორის, საბიუჯეტო პოლიტიკის ფორმირებაზე.

საქართველოს მთავრობა იმთავითვე აცხადებდა, რომ ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედების და მისგან გამომდინარე მთელი რიგი გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო, საწყის ეტაპზე საბიუჯეტო შემოსავლების ზუსტი დაგეგმვა საკმაოდ გაჭირდებოდა და წლის განმავლობაში მისი კორექტირება გარდაუვალი გახდებოდა. მართლაც, განვლილ პერიოდში გამოვლენილმა ტენდენციებმა მიუთითა, რომ ეს მოლოდინი უსაფუძვლო არ ყოფილა. თუმცა, წლის განმავლობაში ბიუჯეტის საშემოსავლო პარამეტრის რამდენჯერმე, თანაც, ასეულობით მილიონი ლარით გაზრდა მიუთითებს, რომ წინასწარი გათვლები ძალიან შორს იყო რეალური სურათისგან და მდგომარეობის ჯეროვანი შეფასება და პროგნოზირება საწყის ეტაპზე ან არ მომხდარა, ან არასათანადო ფორმით განხორციელდა.

### შემცირებული შემოსავლები

საგულისხმოა, რომ წელსაც, წინა წლების მსგავსად, როგორც ცალკეული გადასახადების, ასევე ერთიანი საბიუჯეტო შემოსავლების პარამეტრი დაიგეგმა რეალურზე უფრო ნაკლები ოდენობით, რაც მხოლოდ ერთი რამისთვის იყო მოწოდებული - ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულების ილუზია შექმნილიყო. ამ ფაქტორით საქართველოს ხელისუფლება მთელი წლის განმავლობაში მართლაც საკმაოდ ხშირად აპელირებდა და ამას თავის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ წარმატებად მიიჩნევდა.

გაგრძელება A4 გვერდზე

## ნაძვებს მაინც ჭრიან

*საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანებით, 15 ნოემბრიდან 15 იანვრამდე წიწვოვანი ჯიშის ხეების მოჭრა აიკრძალა. თუმცა თბილისში ცოცხალი ნაძვებით ვაჭრობა მაინც თვალშისაცემია. მიუხედავად იმისა, რომ გარემოს დაცვის სამინისტროსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ერთობლივი ძალისხმევით, ქვეყანაში ადგილებიც კი განისაზღვრა, სადაც ნაძვების გაყიდვა დაშვებულია, მოვაჭრეები მაინც ახერხებენ სხვადასხვა წერტილებში უკანონოდ მოჭრილი ხეებით ვაჭრობას. ასეთი წერტილები ძირითადად ბაზრებისა და მეტროების მიმდებარე ტერიტორიებზეა განთავსებული, თუმცა დროებით. მოვაჭრეები გარემოს დაცვის ინსპექციას ერიდებიან.*

ოთარ ქირია

**"ტერიტორიები იმიტომ განისაზღვრა, რომ კონტროლი გაძლიერდეს. ნებადართულ სავაჭრო წერტილებს მუდმივად ვაკვირდებით. თუკი სადმე სხვაგან ნაძვებით ვაჭრობა შევნიშნეთ, ოპერატიული ჯგუფი მომენტალურად იწყებს ქმედებას. წინა წლებთან შედარებით მდგომარეობა უკეთესია, მაგრამ ნაძვები უკანონოდ მაინც იჭრება. დეკემბრის განმავლობაში ინსპექციამ ნაძვების უკანონო ჭრისა და გადაზიდვის რამდენიმე ფაქტი აღკვეთა,"** - ამბობს გარემოს დაცვის ინსპექციის ხელმძღვანელი შალვა აბუსერიძე.

გარემოს დაცვის ინსპექციის სწრაფი რეაგირების სამსახურის დასავლეთ საქართველოს ბიუროს თანამშრომლებმა ზუგდიდის რაიონის დაბა ზედა ეწერში დააკავეს სარეალიზაციოდ განკუთვნილი 60-მდე ძირი ნაძვის ხით დატვირთული მანქანა. მძღოლს არავითარი საბუთი არ გააჩნდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

### უცხოეთი

#### თეირანი რუსეთის წინადადებას „ენთუზიაზმით" განიხილავს

თეირანი მზადაა, "ენთუზიაზმით" განიხილოს ირანის ბირთვული პროგრამის შედეგად წარმოქმნილი კრიზისიდან გამოსვლის რუსეთის მიერ შეთავაზებული გზა, - იტყობინებოდნენ გუშინ საერთაშორისო საინფორმაციო საშუალებები. და ეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ მიმდინარე კვირის დასაწყისში ისლამური რესპუბლიკა რაიმე დათმობაზე წასვლას გამორიცხავდა.

A3

### სამართალი

#### პოლ ხლებნიკოვის მკვლელობის გამოძიების გაუხმაურებელი დეტალი

ჟურნალ Forbes-ის მთავარი რედაქტორის მკვლელობის გამო დაპატიმრებული ჩეჩენი ნოტარიუსი რუსი სამართალდამცველების მიერ გაუხმაურებელ ფაქტებს მოკლულის ძმას აცნობს.

A6

იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

### ამინდი

| | 30/12 | 31/12 |
|---|---|---|
| თბილისი | 5 | -3 |
| ტყიბული | 9 | 8 |
| სოხუმი | 13 | 15 |
| გორი | 3 | 1 |
| ონი | 0 | -2 |
| ზუგდიდი | 14 | 15 |
| ახმეტა | 5 | -3 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7925 |
| ევრო | 2.1373 |
| გირვანქა სტერლ. | 3.1180 |
| რუბლი | 0.0624 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| უცხოეთი | A 3 |
| ეკონომიკა | A 4 |
| რეკლამა | A 5 |
| სამართალი | A 6 |
| უფასო იურიდიული კონსულტაცია | A 7 |
| პროექტი | A 8 |
| სტუმარი | B 2 |
| მეცნიერება და ტექნიკა | B 3 |
| ალპინიზმი | B 4 |
| ალპინიზმი | B 5 |
| სპორტი | B 6 |
| რევიუ | B 7 |
| სხვადასხვა | B 8 |

## საახალწლო საჩუქარი

კახეთის სამხარეო ადმინისტრაციამ და ლაგოდეხის გამგეობამ, რაიონის მოსახლეობას საახალწლო საჩუქარი მოუმზადა. ხუთწლიანი ინტერვალის შემდეგ რაიონს გაზმომარაგება აღუდგა. ტექნიკური სამუშაოები გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ აწარმოა, ხოლო სისტემის აღდგენითი სამუშაოებისთვის ფინანსები რაიონის ბიუჯეტიდან გამოიყო. ლაგოდეხში გაზის სისტემაში გაშვების ცერემონიალს ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი გიორგი არველაძე ესწრებოდა. პრეზიდენტის რწმუნებულმა კახეთის რეგიონში პეტრე ცისკარიშვილმა განაცხადა, რომ გაზიფიცირების პრობლემა სულ მალე მთლიან რეგიონში დაიძლევა, მათ შორის სოფლებშიც. გუშინვე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა თელავში ორი სპორტული მოედანი, რომელიც რაიონის გამგეობამ დააფინანსა.

*24 საათი*

## აფხაზებს სააკაშვილი-ბაგაფშის შეხვედრის არ სჯერათ

აფხაზეთის თვითგამოცხადებული მთავრობის საინფორმაციო პოლიტიკის დეპარტამენტი კატეგორიულად უარყოფს ქართულ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და აფხაზთა ლიდერს შორის 2006 წლის თებერვლის პირველ ნახევარში დაგეგმილი შეხვედრის შესახებ. დეპარტამენტის მიერ გუშინ პრესისათვის გავრცელებულ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ სააკაშვილი-ბაგაფშის შეხვედრის დროის და ადგილის საკითხი განხილვის სტადიაშია. თვითგამოცხადებული მთავრობის დეპარტამენტის ინფორმაციით, გაეროს ეგიდით, ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდი, სავარაუდოდ, 2006 წლის პირველ ნახევარში, ჟენევაში გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები მიიღებენ.

*ინტერპრესი*

## უცნობი თავისუფლება

**გადაცემის სტუმარია მწერალი დათო ტურაშვილი**

**დათო ტურაშვილი:** სამი დღეა, ჩამოვედი ესპანეთიდან. ჯერ სასამართლოზე ვიყავი. ვისარგებლებ შემთხვევით და ჩვენს მსმენელს მოვულოცავ დამდეგ ახალ წელს.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** ესპანეთიდან დაბრუნდი და როგორი საქართველო და თბილისი დაგხვდა?

**დ. ტ.:** ეს წელი ჩემთვის ძალიან დიდი სიხარულის მომტანი იყო. ჩემი ბავშვობის ოცნება ავისრულე, დიდხანს ვიწვალე, რომ მადრიდის უნივერსიტეტში მოვხვედრილიყავი და ეს სტიპენდია მომეპოვებინა. კონკურსი ძალიან რთულია, მთელი მსოფლიო იღებს მონაწილეობას. წელს ეს პატივი მერგო - ესპანეთის სამეფო სტიპენდია მაქვს მადრიდის უნივერსიტეტში. უნივერისტეტის ბიბლიოთეკაში რომ შეხვალ, ვეღარ გამოხვალ. "იბერიული ეთნოგენეზისი" - ამ თემას ვაკეთებ. მინდა ავხსნა, არის თუ არა შემთხვევითობა, რაც გვაკავშირებს აღმოსავლეთის იბერიელებს, ქართველებსა და დასავლეთის იბერიელებს, ესპანელებს.

**ა. ე.:** შეძლებ ამის დამტკიცებას?

**დ. ტ.:** იმას მაინც შევძლებ, რომ პირველი ნაბიჯი გადავდგა, უამრავი თანხვედრაა ტოპონიმიკაში, ტრადიციებში, სიტყვებში... ერთწლიანი სტიპენდია მაქვს და ამ ხნის განმავლობაში მაქვს საშუალება, ეს ვიკვლიო. ევროპაში ასეთი ნათესავები არ გვყავს. ჩვენ არანაირი კავშირი არ გვაქვს არც რუსეთთან და არც ამერიკასთან. ჩვენი სახლი არის ევროპა. იბერიული ცივილიზაცია, რომელიც წინ უსწრებს იმ ცივილიზაციებს, რომელსაც გვასწავლიდნენ, როგორც პირველ ცივილიზაციებს. ამის დამტკიცება მინდა. რთულია, მაგრამ ღირს წვალებად. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება, რაც შემიძლია, ცხოვრებაში გავაკეთო. საქართველოში ცხოვრობენ ესპანელები, მინდა, მათაც მივულოცო მომავალი დამდეგი ახალი წელი.

**ა. ე.:** ხოსე დიასი იყო, მოგეხსენება, ერთი კარგი კაცი. პატარა წვლილი მეც მიმიძღვის მის ვერის სასაფლაოდან სევილიაში გადასვენებაში.

**დ. ტ.:** დედამისი იყო ესპანეთის კომუნისტური პარტიის ლიდერი. თვითონ მფრინავი იყო, ძალიან მაგარი. მისი ისტორია საკმაოდ ტრაგიკულია. ბასკი იყო, საბჭოთა მხარეს იბრძოდა, მაგრამ კაგებე-მ მოკლა მერე, სასტუმრო "თბილისის" მეოთხე სართულიდან გადმოაგდეს. საინტერესოა, რომ საბჭოთა პერიოდში პირველი დაფინანსება რუსებისგან ჰქონდათ ბასკებს. ქართველ მეცნიერებს დაავალეს, ემუშავათ იმ მიმართულებით, რომ ჩვენ და ბასკები ნათესავები ვართ. ანუ, ეს დახმარება, რასაც საბჭოთა კავშირი ახორციელებდა ბასკების მიმართ, არ იყო შემთხვევითი. რასაკვირველია, ბასკები და ქართველები ნათესავები არიან, მაგრამ ესპანეთში სხვა იბერიელებიც ცხოვრობენ, იგივე კატალონიელები, ანდალუზიელები, კასტიაც.

**ა. ე.:** ახლა ჩვენს ქვეყანაზე ვისაუბროთ...

**დ. ტ.:** ჩვენი ქვეყანა დამხვდა ძალიან უცნაურად. ჩემი შვილი ძალიან უცნაურ გადაცემას უყურებდა – "ჯეობარს". ესპანეთშიც არის ასეთი გადაცემა. ერთი უცნაური კადრი ვნახე ამ გადაცემაში: საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთი დეპუტატი ბართან იდგა ერთი საათი, კონვერტი ედო ილლიაში. თურმე ერთ-ერთი მონაწილის გულშემატკივარია, მისთვის წერილი უნდა გადაეცა. თავიდან გამეცინა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ცუდად არის საქმე, რადგან დეპუტატს მეტი საქმე არ აქვს. სხვაგანაც არის ეს გადაცემები, მაგრამ იქ მის მაყურებელს სხვა საქმე არა აქვს....

**ა. ე.:** საინტერესოა, იმ კონვერტში, წერილი, გარდა, სხვა რამე ხომ არ იდო?

**დ. ტ.:** არა, ჩემი ოჯახი თქვენი გულშემატკივარიაო და გადასცა ეს წერილი.

**ა. ე.:** "ჯეობარის" გარდა, რა ნახე?

**დ. ტ.:** ციხეები... დიდი გამოცდილება მაქვს. ერთი წელია, ინგლისელებთან ერთად ვახორციელებ საგანმანათლებლო პროგრამას ციხეებში, წიგნები დამქონდა, ხშირად მქონდა კონტაქტი პატიმრებთან. სულ ვამბობდი, პატიმრებს ყურადღება მიაქციეთ-მეთქი. სამწუხაროდ, რაც ახლა ხდება ციხეებში, არის ლოგიკური შედეგი იმისა, რაც წინ უსწრებდა ამას. ნებისმიერი სახელმწიფოსთვის ყველაზე მარტივი ტესტი არის ციხე. რამდენადაც ზრუნავ პატიმრებზე, იმდენად სერიოზული სახელმწიფო გაქვს. დასავლეთშიც ასეა.

**დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საყურადღებოდ!**

შპს "საქართველოს რკინიგზა"-მ საკუთარ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა საკონკურსო წესით შესასყიდი პროდუქციის ნუსხა. (ტურნიკეტები, სავაგონო საწორი და სხვა) შესყიდვებთან დაკავშირებული ყველა დამატებითი ინფორმაცია გთხოვთ მოიძიოთ http://www.railway.ge (ტენდერები) მისამართზე.

## ახალი სასწავლო ცენტრი სამედიცინო უნივერსიტეტში

თამარ დვალი

*გუშინ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში "გადაუდებელი მედიცინის დეპარტამენტის" პრეზენტაცია გაიმართა. ახლად შექმნილი დეპარტამენტი ექსტრემალური მედიცინის ცენტრს, კლინიკური ჩვევების სასწავლო ცენტრალურ ლაბორატორიას, ანესთეზიოლოგიის, კრიტიკულ მდგომარეობათა და კატასტროფების მედიცინის კათედრებს აერთიანებს. აღნიშნულ ცენტრში, სტუდენტების გარდა, სწავლებას გაივლიან საპატრულო პოლიციის თანამშრომლები და სახანძრო დახმარების მუშაკები.*



ზაურ ბელაშვილის ფოტო

იმისათვის, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გადაუდებელი მედიცინის დეპარტამენტი შექმნილიყო, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას დამატებითი რესურსებისა და სახსრების დახარჯვა არ დასჭირვებია.

**"გადაუდებელი მედიცინის დეპარტამენტი რამდენიმე თეორიულ კათედრასა და პრაქტიკულ ბაზას აერთიანებს. მათი გაერთიანებით ჩვენ შევძელით, სწავლის პროცესი გაგვეადვილებინა. დეპარტამენტი არა მარტო ჩვენს სტუდენტებს მისცემს პრაქტიკული მუშაობის შესაძლებლობას, არამედ - ისეთ პირებსაც, რომლებიც პირველადი, სასწრაფო დახმარების ტექნოლოგიებს უნდა ფლობდნენ, იქნება ეს საპატრულო პოლიცია, სახანძრო დახმარების მუშაკი თუ უბრალო გამცილებელი,"** – განაცხადა "24 საათთან" საუბრისას სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა დავით თელიამ. მისივე თქმით, მულიაჟებით სწავლების მეთოდი, რომელიც ამ დეპარტამენტში იქნება შესაძლებელი, ერთ-ერთი ყველაზე მიღებული მეთოდია მსოფლიოში.

როგორც გადაუდებელი მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გიორგი გორგოშიძე აცხადებს, სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცემათ, პრაქტიკული მუშაობა რესპუბლიკურ საავადმყოფოში განთავსებულ, სამედიცინო უნივერსიტეტის ბაზაზე აწარმოონ.

**"ჩვენ შევეცადეთ, თეორიული და პრაქტიკული მუშაობა გაგვეერთიანებინა, რათა სტუდენტისთვის სასწავლო პროცესი პირველივე კურსიდან საინტერესო იყოს. ადრე ისე ვამთავრებდით უნივერსიტეტს, რომ ავადმყოფს ვერ ვნახულობდით, რის გამოც ბევრი რამის სწავლა მუშაობის დაწყების შემდეგ გვიწევდა. ახლა სტუდენტებს პირველივე კურსზე მიეცემათ შესაძლებლობა, ჯერ მულიაჟებზე იმეცადინონ და აითვისონ უნარ-ჩვევები და შემდეგ ჩვენს კლინიკაში დახვეწონ,"** – აღნიშნა გორგოშიძემ. მისივე განმარტებით, თითო მულაჟის ფასი 200 ათას დოლარს აღემატება. ასეთი სახის სასწავლო ბაზას კი პოსტსაბჭოთა სივრცეში ანალოგი არ მოეპოვება.

## უბიუჯეტოდ, მაგრამ შადრევნით

პირველი გვერდიდან

**რა თქმა უნდა, ბიუჯეტის პროექტის კორექტირება უნდა მოხდეს, მაგრამ მე არ ვეთანხმები იმას, რომ ბიუჯეტი უნდა უყოს ათმილიონნახევარი. რუსთავის შემოსავლითი ნაწილი გაცილებით მეტი უნდა იყოს, ჩვენი პროგრამა მინიმუმი 12 მილიონია, მაგრამ ეს ამ ბიუჯეტში ვერ აისახება,"** - ასეთია ქალაქი მერის დავით ნადაშვილის პოზიცია. მისივე თქმით, ჯერ არავის დაუთვლია, რამდენი იქნება შემოსავალი ყოფილი მეტალურგიული კომბინატიდან ან ყოფილი აზოტიდან და ამ მხრივ სამუშაოები ჩასატარებელია.

რუსთავს უკვე ხუთი თვეა ახალი მერი ჰყავს. დასაწყისში ის საკრებულოს ერთსულოვანი მხარდაჭერით სარგებლობდა, თუმცა მას შემდეგ, რაც ქალაქის მთავრობა თითქმის მთლიანად გადახალისდა და ახალი სახეებით შეივსო, თვითმმართველობასა და მმართველობას შორის ურთიერთობა დაიძაბა. საკრებულომ მერის ოთხი მოადგილიდან ერთის დამტკიცება ჯერ გაურკვეველი მიზეზით ჩააგდო, რამდენიმე დღის შემდეგ კი ასევე გაურკვეველი მიზეზით დაამტკიცა. ახალი მერის საკადრო პოლიტიკამ საკრებულოს ნაციონალურ უმრავლესობაში მდუმარე უკმაყოფილება და ჩუმი პროტესტი გააჩინა. სიტუაცია უფრო გაამწვავა იმან, რომ კეთილმოწყობის სამსახურის უფროსობიდან ადგილობრივი ნაციონალების კადრი, გია მაზმიშვილი ორ თვეში გაათავისუფლეს. საკადრო "ომი" რუსთავში ახლა იწყება - ახლები თვითდამკვიდრებას ცდილობენ, ძველები - პოზიციების შენარჩუნება-გამაგრებას.

**"რუსთავის ახალი მთავრობის შედეგები ბოლო ოთხი თვის განმავლობაში დამაკმაყოფილებელი, ნორმალური, კარგია... თუმცა შენიშვნები გვაქვს. რაც შეეხება ახალ კადრებს, ამ ხალხს ჯერ გამოცდილება არ აქვს და იანვრიდან მოგვეცემა საშუალება, შევაფასოთ მათი მუშაობა,"** - ამბობს საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჩიქოვანი, რომელიც ჯერ კიდევ მერაბ ტყეშელაშვილის მერობის დროს არ მალავდა, რომ ქალაქის მერის არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებდა.

2006 წელს რუსთაველების მარადიული პრობლემის - უწყლობის მოგვარება უნდა დაიწყოს. ამ პროექტს მუნიციპალური განვითარების ფონდი დააფინანსებს და დაახლოებით 13 მილიონი დოლარი დაჯდება. წყლისა და გზების რეაბილიტაცია მომავალ წელს ქალაქის მთავარი პრიორიტეტი იქნება და მისი შესრულება, რეალურად, გადაწყვეტს კიდეც თვითმმართველობის არჩევნების ბედს.

ეს მომავალში. ამჟამად კი რუსთავში წინასაახალწლო ფაციფუცია. დამდეგი ახალი წლის აღნიშვნისას რუსთავის ხელისუფლება პრეზიდენტის კურსს არ ღალატობს და მის მოსაწონ ღონისძიებას გეგმავს - ახალი წლის ღამეს რუსთავი ახალი შადრევნით შეხვდება.

## ნაძვებს მაინც ჭრიან

პირველი გვერდიდან

უკანონოდ მოჭრილი ნაძვები სატყეო მეურნეობას გადაეცა, შემდეგ ისინი განადგურდება. გარემოსთვის მიყენებულმა ზიანმა დაახლოებით 900 ლარი შეადგინა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

გარემოს დაცვის ინსპექციის იმავე რეგიონის ბიუროს თანამშრომლებმა ამბროლაურის რაიონის სოფ. ნიკორწმინდაში აღმოაჩინეს სარეალიზაციოდ გამზადებული 300-მდე ძირი ნაძვის ხე. ზიანი დაახლოებით 10 ათას ლარს შეადგენს. ნაძვის ხეების უკანონოდ მოპოვების ფაქტი დაფიქსირდა ამავე რაიონის სოფელ ბეთლემშიც. კერძოდ, ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის ტერიტორიაზე დამალული იყო 150-მდე ძირი ნაძვის ხე. სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა ჯერ კიდევ დგინდება.

გარემოს დაცვის ინსპექციის თბილისის სწრაფი რეაგირების სამსახურის თანამშრომლებმა, პატრულის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ბორჯომის მატარებელში სარეალიზაციოდ გამზადებული 90-მდე ძირი ნაძვის ხე აღმოაჩინეს. გარემოს დაცვის ინსპექციის სწრაფი რეაგირების სამსახურის დასავლეთ საქართველოს ბიუროს თანამშრომლებმა ხონის რაიონში აღმოაჩინეს 516 ძირი ნაძვის ხე, რომელიც სარეალიზაციოდ იყო გამზადებული. გარემოზე მიყენებულმა ზიანმა 25 ათასი ლარი შეადგინა. ჯამში, გარემოს დაცვის ინსპექციის მიერ განცხორციელებული ოპერაციების შედეგად ათზე მეტი საქმეა აღძრული.

საინტერსოა, რომ თბილისში ჰოლანდიური, დანიური და გერმანიიდან ჩამოტანილი ნაძვი გამოჩნდა. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ეს საქართველოდან გატანილი თესლით მოყვანილი ნაძვებია. ნაძვებს სპეციალური იარლიყი ადევთ და მათი გარჩევა რთული არ არის, თუმცა ფასები თითქმის ორჯერ მაღალია, ვიდრე წინა წლებში.

**"24 საათი" მკითხველს სთავაზობს იმ წერტილების ნუსხას, სადაც ნაძვებით ვაჭრობაა დაშვებული.**

***ვაკე-საბურთალოს რაიონი:*** *იპოდრომის და სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიები.*

***მთაწმინდა-კრწანისის რაიონი:*** *თაბუკაშვილისა და ჯავახიშვილის ქუჩების კვეთაზე; ვერის ბაღის მიმდებარე ტერიტორია. ათონელის ქუჩაზე სავაჭრო ცენტრ GTC-ს მიმდებარე ტერიტორია.*

***დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი:*** *რკინიგზელთა სახლის და დიღმის ბაზრის მიმდებარე ტერიტორია, მიქელაძის ქუჩის მხრიდან.*

***ისანი-სამგორის რაიონი:*** *ნავთლუღის ბაზრის მიმდებარე ტერიტორია; ჯავახეთის ქუჩა; ქეთევან წამებულის გამზირი - ბაზარი "კედარი". ავლაბრის მეტროს მიმდებარე ტერიტორია.*

***გლდანი-ნაძალადევის რაიონი:*** *მეტრო ახმეტელის მიმდებარე სკვერი; მეტრო ღრმაღელის მიმდებარე ტერიტორია.*

## პარლამენტის თავმჯდომარე საკანონმდებლო „მოსავალს" ახარისხებს

*პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მიმდინარე წლის საკანონმდებლო საქმიანობას აჯამებს და სამომავლო გეგმებზე საუბრობს. "2005 წელი მთლიანად ქვეყნისთვის შეიძლება წარმატებულად ჩაითვალოს. პარლამენტმაც ნაყოფიერად, ეფექტურად და, რაც მთავარია, სწორი მიმართულებით იმუშავა," - მიიჩნევს პარლამენტის ხელმძღვანელი. მისი თქმით, ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო პრეზიდენტთან და მთავრობასთან კონსტრუქციულად, კოორდინირებულად თანამშრომლობდა, რაც, ბურჯანაძის შეფასებით, მეტად პოზიტიური მომენტია.*

გიორგი ასანიშვილი

მიმდინარე წელს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან სპიკერი განსაკუთრებით გამოყოფს დადგენილებას საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე, აგრეთვე - დადგენილებას რუსი სამშვიდობოების როლისა და მომავლის შესახებ. ამ უკანასკნელ დოკუმენტთან დაკავშირებით, ნინო ბურჯანაძე კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ თუ რუსი "ცისფერჩაფხუტიანების" უმოქმედება კვლავაც გაგრძელდება და 2006 წლის 10 თებერვლამდე კონკრეტული პროგრესი არ იქნება მიღწეული, პარლამენტის დადგენილება აუცილებლად ამოქმედდება.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, მთელი წლის განმავლობაში ხელისუფლება გულმოდგინედ ცდილობდა კონფლიქტების დარეგულირების პროცესის ინტერნაციონალიზაციას და ამ პროცესში მეგობრებისა და თანამოაზრეების ძებნას. **"მოვახერხეთ, რომ მსოფლიოს უმრავლეს საპარლამენტო ორგანიზაციაში მიგვეტანა ჩვენი სიტყვა კონფლიქტების მშვიდობიანი გზით დარეგულირების თაობაზე,"** - შენიშნავს ნინო ბურჯანაძე.

მას ასევე ხაზგასასმელად მიაჩნია 2005 წლის განმავლობაში მიღებული ის საკანონმდებლო გადაწყვეტილებები, რომლებიც შეეხებოდა საგადასახადო საკითხების დარეგულირებას, ლიცენზირების გამარტივებას, ე. წ "ქურდულ სამყაროსთან" ბრძოლას და ა.შ.

გუშინ გამართულ ბრიფინგზე ნინო ბურჯანაძე პარლამენტის "ჩრდილოვან" მხარეებსაც შეეხო. **"ჩვენ ხშირად გვაკრიტიკებენ იმის გამო, რომ ძალიან სწრაფად ვიღებთ კანონებს. მართლაც, ნამდვილად არ არის ნორმალური ვითარება ის, რომ ერთი სესიის განმავლობაში ათობით კანონპროექტს ეყრება კენჭი,"** - აღნიშნავს პარლამენტის სპიკერი. იგი იმედოვნებს, რომ საქართველო მალე გახდება ისეთი "მოსაწყენი" ქვეყანა, სადაც საკანონმდებლო ორგანო თვეების განმავლობაში ორი-სამი კანონპროექტის განხილვით შემოიფარგლება.

იმ ფაქტს კი, რომ მიღებულ კანონებში ხშირად შედის ცვლილებები, პარლამენტის თავმჯდომარე ორი გარემოებით ხსნის - კანონებში ან ბოლომდე არ არის გათვალისწინებული არსებული რეალობები, ან კანონების რევიზიას ამა თუ იმ პროცესის დინამიკურად განვითარება მოითხოვს.

**"ხშირად, პარლამენტის მუშაობის შედეგი იმავე წუთს არ ჩანს და მის დასანახად გარკვეული დრო არის საჭირო,"** - კრიტიკოსებს მეტი მოთმინების გამოჩენას ურჩევს პარლამენტის სპიკერი.

ნინო ბურჯანაძე 2006 წლის საპარლამენტო პრიორიტეტებზეც ამახვილებს ყურადღებას და მთავარ მიმართულებებად მიღებული კანონების კრიტიკულ ანალიზს და პარლამენტის მიერ მაკონტროლებელი ფუნქციის რეალიზებას ასახელებს.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინ თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა ქაცარავამ №4 სამშობიარო სახლის თანამშრომლებს ახალი დირექტორი ნიკოლოზ მანჯგალაძე წარუდგინა. ნიკოლოზ მანჯგალაძე 28 წლის განმავლობაში ჩაჩავას სახელობის მეან-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა. არის მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. "ბატონი ნიკო წლების განმავლობაში ჩაჩავას სახელობის ინსტიტუტში წამყვან სპეციალისტად მუშაობდა. პრაქტიკა აქვს გავლილი რუსეთში და დაკისრებულ მოვალეობას თავს კარგად გაართმევს," - განაცხადა მამუკა ქაცარავამ.

სამშობიარო სახლის ახალი დირექტორი მოადგილეების კანდიდატურას უახლოესი ორი კვირის განმავლობაში წარადგენს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ჰიდრომეტცენტრის ცნობით, მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური-კობის მონაკვეთზე ზვავსაშიშროების გამო ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია 11.00 სთ-დან 16.30 სთ-მდე; დღე-ღამის დანარჩენ პერიოდში აკრძალულია მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა, დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ზვავდამცავი გვირაბების გავლით, მხოლოდ კობიდან გუდაურის მიმართულებით, სადაც ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია კოლონებად თითოეულ კოლონაში არაუმეტეს 5 ავტომანქანა), კოლონებს შორის ინტერვალია 10-15 წუთი. კობიდან გუდაურის, აგრეთვე, მლეთა-გუდაურის მიმართულებით მოძრაობისას აკრძალულია ავტომანქანების გაჩერება.

მლეთა-გუდაურის და კობი-ლარსის მონაკვეთზე მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით.

ავტოტრანსპორტის დადგენილი რეჟიმით მოძრაობა ხორციელდება საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის უშუალო კოორდინაციით და ზედამხედველობით. გზის დანარჩენ მონაკვეთში მოძრაობა თავისუფალია. ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის 40-45 კმ-ში (ნაქერალას უღელტეხილი) ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში ეუთოს მისიის ხელმძღვანელის როი რივის განცხადებით, ეუთო ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებას მომავალშიც შეუწყობს ხელს.

"ჩვენ ყველანაირ დახმარებას აღმოვუჩენთ მხარეებს, რათა კონფლიქტის მოგვარების პროცესმა წინ წაიწიოს. ამის პოტენციალი გვაქვს. თუმცა კონფლიქტის მოგვარების პროცესი ხანგრძლივია," - აცხადებს როი რივი. მისივე თქმით, შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეების განცხადებების კომენტარის უფლება არ აქვს, თუმცა აცხადებს, რომ ზოგიერთ მათგანს არ ეთანხმება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა და თბილისის ვეტერინარიის ინსპექციამ დედაქალაქის მასშტაბით 16 აგრარული ბაზრის შემოწმება დაასრულეს.

ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ლაშა მაქაცარიას ინფორმაციით, ახალი წლის დღეებში, კეთილსაიმედო საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის მიზნით, ზედამხედველობის სამსახურის ვეტერინარიის ინსპექციის და საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ყოველდღიურ ერთობლივ რეიდებს ჩაატარებენ. "განსაკუთრებული ყურადღებით და სიფრთხილით მოეკიდეთ ხორცით და ხორცპროდუქტებით და რძითა და რძის პროდუქტებით ვაჭრობას. აუცილებლად მოითხოვეთ ჩატარებული ვეტ-ექსპერტიზის ცნობა. დოკუმენტაციის არქონის შემთხვევაში, ნუ შეიძენთ პროდუქტს და მოგვმართეთ ცხელი ხაზის ნომერზე: 37-78-70," - განაცხადა თბილისის ვეტერინარიის ინსპექციის უფროსის მოადგილემ ლალი ვაშაკიძემ პრესკონფერენციაზე.

ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილის ლევან ედილაშვილის განცხადებით კი, განსაკუთრებით საშიშია პროდუქტების შეძენა გარევაჭრობის ობიექტებში. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე თბილისში მოქმედი ბიბლიოთეკების ხელმძღვანელებს შეხვდა და მათ საახალწლოდ საჩუქრად ენციკლოპედიური გამოცემა „ფული საქართველოში" (ორ ტომად) გადასცა.

აღნიშნული ნაშრომი საქართველოს ეროვნული ბანკის ხელშეწყობით მომზადდა და ის მიზნად ისახავს საქართველოში ფულის მიმოქცევის პოპულარიზებას. ორენოვანი წიგნი (ქართულ და ინგლისურ ენებზე) „ფული საქართველოში" სამომავლოდ რეგიონში არსებულ ბიბლიოთეკებსაც გადაეცემა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სომეხი ეროვნების ზოგიერთი წარმომადგენლის უსაფუძვლო განცხადებები, საქართველოში სომხური ეკლესიების დიდი რაოდენობით არსებობის შესახებ, მოკლებულია ისტორიულ და მეცნიერულ საფუძველს, - ასეთი დასკვნა გააკეთა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდმა წლის ბოლო შეკრებაზე.

როგორც სინოდის წევრები მიიჩნევენ, აღნიშნული განცხადებები ჩვენს ქვეყნებს და ეკლესიებს შორის ურთიერთობებს ძაბავს. "საქართველოს ეკლესია მოუწოდებს სომხეთის სამოციქულო ეკლესიას საქართველოში, ასეთი ქმედებებისაგან თავი შეიკავონ. თავის მხრივ, საქართველოს ეკლესია არ დაუშვებს ურთიერთობის გამწვავებას," - აცხადებენ სინოდის წევრები. **ინტერპრესი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# მსოფლიოს წლის პოპულარულ ქალთა და მამაკაცთა ათეულები



აშშ-ში წლის ბოლოს მსოფლიოს ყველაზე პოპულარულ ქალთა და მამაკაცთა სია გამოქვეყნდა. ამერიკელები 2005 წლის ყველაზე პატივსაცემ მამაკაცად აშშ-ს პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს, ყველაზე პატივსაცემ ქალბატონად კი სენატორს და ექს-პირველ ლედის ჰილარი კლინტონს თვლიან.

ქალთა შორის კონკურენცია უფრო მწვავე იყო, ვიდრე მამაკაცთა ათეულში. პირველ ათეულში მოხვდნენ:

1. ჰილარი კლინტონი (13%);
2. ოპრა უინფრი, ტელევარსკვლავი (12%);
3. კონდოლიზა რაისი, აშშ-ს სახელმწიფო მდივანი (10%);
4. ლორა ბუში, აშშ-ს პირველი ლედი (4%);
5. მარგარეტ ტეტჩერი, დიდი ბრიტანეთის ექს-პრემიერი (3%);
6. ანჯელინა ჯოლი, კინოვარსკვლავი, აქტიურად მუშაობს ჰუმანიტარულ პროექტებზე (1%);
7. მაია ანგელუ, პოეტი და საზოგადო მოღვაწე (1%);
8. მარტა სტიუარტი, ტელეწამყვანი, ბიზნეს ვუმენი და ახლო წარსულში, პატიმარი (1%);
9. ელიზაბეტ დოული, სენატორი (1%);
10. სანდრა დეი ო`კონორი, პირველი ქალი, რომელიც აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე გახდა და ბარბარა უოლტერსი, ტელეწამყვანი.

ტეტჩერი "პირველ ათეულში" ოცდამეშვიდედ მოხვდა, უინფრი - მეთვრამეტედ, ჰილარი კლინტონი - მეთოთხმეტედ, რეკორდსმენი აქ დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ მეორეა, რომელიც წლის ყველაზე პატივსაცემ ქალბატონათა ათეულში ორმოცჯერ მოხვდა.

გამოკითხვის თანახმად, რომელსაც გელაპის სამსახური 1946 წლიდან, ყოველწლიურად ატარებს, ძლიერი სქესის ყველაზე პატივსაცემი წარმომადგენლის წოდებაზე ბუშმა საკმაოდ გაუსწრო თავის კონკურენტებს - მან ხმების 19 პროცენტი მოაგროვა. აღსანიშნავია, რომ ბუში პირველ ათეულში მეექვსედ მოხვდა, კოლინ პაუელი - მეთოთხმეტედ, კარტერი - ოცდამეოთხედ, ბილ გრეჰემი კი ორმოცდამეექვსედ (ეს რეკორდია). 2005 წლის ყველაზე პატივსაცემ მამაკაცთა ათეული ასე გამოიყურება:

1. ჯორჯ ბუში(19%);
2. ბილ კლინტონი, ექს-პრეზიდენტი (5%);
3. ჯიმი კარტერი, ექს-პრეზიდენტი (3%);
4. რომის პაპი, ბენედიქტ XVI (3%);
5. ბილ გეიტსი, კორპორაცია "მაიკროსოფტის" შემქმნელი (3%);
6. ბილ გრეჰემი, მქადაგებელი (2%);
7. ნელსონ მანდელა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი (2%);
8.კოლინ პაუელი, აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი და აშშ-ს შეიარაღებული ძალების შტაბის გაერთიანებული კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელი(2%);
9. დალაი-ლამა, ტიბეტელ ბუდისტთა ლიდერი (1%);
10. ჯონ მაკკეინი, სენატორი, ვიეტნამის ომის მონაწილე (1%) და ბონო, როკ-მომღერალი, ჯგუფ U2-ს დამფუძნებელი და ადამიანის უფლებებისთვის მებრძოლი (1%). **ინტერპრესნიუსი**

# აფეთქება ისრაელის საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან

ისრაელის საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან, რომელიც პალესტინური ქალაქიდან - თულკარმი - სამი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს, პალესტინელმა თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი აიფეთქა. აფეთქების შედეგად ერთი ისრაელელი ჯარისკაცი და სამი პალესტინელი დაიღუპა, ხოლო კიდევ სამი ისრაელელი და ექვსი პალესტინელი სამხედრო პირი მძიმედ დაიჭრა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, საკონტროლო-გამშვებ პუნქტამდე ტერორისტი ტაქსით მისულა და მძღოლისთვის მანქანიდან გადასვლა მოუთხოვია.

**"იგი ნელა გადავიდა მანქანიდან, გაიხსნა პიჯაკი და თავი აიფეთქა,"** - თქვა ტაქსის მძღოლმა, ნაფეზ შაფინმა.

არაბული ტელეარხის "ალ-არაბიას" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აფეთქებაზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე უკვე აიღო ტერორისტულმა დაჯგუფებამ "ისლამური ჯიჰადი".

ზემოაღნიშნული საკონტროლო-გამშვები პუნქტი ისრაელის ხელისუფლებამ მას შემდეგ განათავსა ქალაქ თულკარმის მახლობლად, რაც ისრაელში ჰანუკის დღესასწაულზე მოსალოდნელი ტერაქტების შესახებ გავრცელდა ინფორმაცია.

თვითმკვლელი ტერორისტის ქმედებამდე რამდენიმე საათით ადრე კი ისრაელის არმიამ მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე საარტილერიო იერიში მიიტანა.

როგორც ისრაელის ხელისუფლების ოფიციალური პირები აცხადებენ, ოფიციალური თელ-ავივის არმიის ქმედება მხოლოდ პრევენციული მიზნებითაა ნაკარნახევი, რათა ქვეყნის ტერიტორია დაიცვან თავდასხმისაგან ღაზას სექტორიდან, რომელიც ებრაელმა მენაშენეებმა სამი თვის წინ დატოვეს. **ბი-ბი-სი**

# ჩინეთი აშშ-ს სანქციებს აპროტესტებს

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, ირანთან სავაჭრო ურთიერთობებში მყოფი ცხრა უცხოური კომპანიის წინააღმდეგ სანქციების დაწესებასთან დაკავშირებით, ამ კომპანიათა წარმომადგენლების პროტესტი მოჰყვა. თუმცა, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის ადამ ერლის ანგარიშზე პროტესტი მხოლოდ კომპანიების დონეზე არ გამოთქმულა, რეზონანსი ამ ფაქტმა სამთავრობო დონეზეც გამოიწვია. ადამ ერლის მიერ გამოქვეყნებულ ცხრა არასანდო უცხოურ კომპანიათა შორის ექვსი ჩინურია.

ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა, ცინ განმა ოფიციალური პეკინის კრიტიკული შეფასება საზოგადოებას იმავე საღამოს გააცნო.

ოფიციალური პეკინი მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობასთან დაკავშირებით მყარ პოზიციას ინარჩუნებს და იღებს ყველა საჭირო ზომას ექსპორტის სისტემის გასაკონტროლებლად, აღნიშნულია ჩინეთის საგარეო უწყების განცხადებაში.

**"აშშ-ს ასეთი ქმედებები კი ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის სფეროში ორი ქვეყნის თანამშრომლობას ხელს ვერ შეუწყობს. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ ამერიკული მხარისაგან თავისი მცდარი პოლიტიკის გადახედვასა და შეცვლას,"** - დაამატა ცინ განმა.

*რიანოვოსტი*

# თეირანი რუსეთის წინადადებას „ენთუზიაზმით" განიხილავს

*თეირანი მზადაა, "ენთუზიაზმით" განიხილოს ირანის ბირთვული პროგრამის შედეგად წარმოქმნილი კრიზისიდან გამოსვლის რუსეთის მიერ შეთავაზებული გზა, - იტყობინებოდნენ გუშინ საერთაშორისო საინფორმაციო საშუალებები. და ეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ მიმდინარე კვირის დასაწყისში ისლამური რესპუბლიკა რაიმე დათმობაზე წასვლას გამორიცხავდა.*

ირანის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს უფროსის მოადგილის (იგი, ამავდროულად, ევროპის "სამეულთან" – დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი - ირანის ბირთვული პროგრამის თაობაზე დელეგაციას ხელმძღვანელობს) ჯავად ვაედის თქმით, თეირანი მზადაა მთელი "სერიოზულობითა და ენთუზიაზმით" იმსჯელოს რუსეთის წინადადებაზე. შეგახსენებთ, ეს წინადადება ირანის ბირთვული პროგრამისთვის საჭირო ურანის რუსეთის ტერიტორიაზე გამდიდრებას გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ ვაედის განცხადება სრულიად ეწინააღმდეგება რამდენიმე დღის წინ ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ პოზიციას. ისლამური რესპუბლიკის საგარეო უწყება კვირის დასაწყისში აცხადებდა, რომ ურანის გამდიდრება მხოლოდ ქვეყნის ტერიტორიაზე მოხდებოდა. უფრო მეტიც, ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრო ირწმუნებოდა, რომ რუსეთიდან არავითარი ოფიციალური წინადადებაც კი არ მიუღია. თუმცა, როგორც უკანასკნელი განცხადებებიდან ჩანს, წინადადებაც ყოფილა და, რაც მთავარია, ამ წინადადების მიმართ გამოხატული ინტერესიც.

თუმცა, ვაედის განცხადება თავისთავად არ გულისხმობს, რომ ურანის გამდიდრება რუსეთის ტერიტორიაზე მართლაც მოხდება. ერთადერთი, რაზეც იგი მიანიშნებს, ისაა, რომ მოცემულ მომენტში თეირანისთვის უაღრესად არახელსაყრელია ევროპელებთან მოლაპარაკებებში მკვეთრად არაკონსტრუქციული პოზიციის დაკავება.

შეგახსენებთ, ის რომ, რუსეთის შუამავლობაც არ აღმოჩნდა ირანის "მოსათვინიერებლად" საკმარისი, ევროპელებისთვის ფრიად საწყენი იყო. მით უმეტეს, რომ ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებდა ირანის მიმართ ვაშინგტონის შეურიგებელი პოზიციის მართებულებას.

ასე რომ, ირანმა მსგავსი "დათმობით" უკიდურესად დაძაბული ვითარების განმუხტვას თუ არა, შერბილებას მაინც შეუწყო ხელი. თანაც ისე, რომ ბოლომდე არ გამოუთქვამს თანხმობა რუსეთის ტერიტორიაზე გამდიდრებული ურანის გამოყენებაზე. საბოლოოდ, ურანის გამდიდრების საკითხი დასავლეთის სასარგებლოდ, შესაძლოა, არც გადაწყდეს, მაგრამ ამასობაში თეირანი ესოდენ საჭირო დროს მოიგებს და გაწელავს ე.წ. "ირანის დოსიეს" გადაცემას გაერო-ს უშიშროების საბჭოზე განსახილველად (შესაბამისად, თავიდან აიცილებს გაერო-ს სანქციებს.).

ირანი, ერთი შეხედვით, "წაუგებელ თამაშს" თამაშობს. მაგალითად, შეუძლია რუსეთსაც გაუფუჭოს ურთიერთობები დასავლურ სამყაროსთან. თეირანში უკვე დღესვე ამბობენ, რომ რუსეთის წინადადება საინტერესოა, მაგრამ... არაკონკრეტული.

საქმე ისაა, რომ ირანელი დიპლომატების თქმით, რუსეთის ნოტაში ურანის ერთობლივად გამდიდრებას (რუსეთის ტერიტორიაზე) მხოლოდ ერთი წინადადება ეთმობა. ასე რომ, თეირანს ევროპულ "სამეულთან" მოლაპარაკებებისას სრულიად თავისუფლად შეუძლია განაცხადოს: ჩვენ სულაც არ ვართ ამ წინადადების წინააღმდეგნი, მაგრამ რუსეთი არაფერს რეალურს ჯერჯერობით არ გვთავაზობს. ხოლო რუსეთს აუხსნას, რომ ნებისმიერი ერთობლივი საწარმოს გახსნაზე დასავლეთთან შეთანხმების შემდეგ შეიძლება საუბარი. შემდეგ კი, დროთა განმავლობაში, როცა პროცესი უსაშველოდ გაიწელება, კატეგორიული პოზიცია დაიკავოს – რუსეთის ტერიტორიაზე ურანის გამდიდრება არ გამოდის, ასე რომ, სხვა გზა არ არსებობსო...

ასეთ ვარაუდებს ამყარებს დღეისთვის მეტად აქტუალური კითხვა: რა სურს სინამდვილეში ირანს - ბირთვული იარაღის შექმნა, თანაც მსოფლიო თანამეგობრობის მხრიდან სანქციების დაწესების გარეშე, თუ, მართლაც, მშვიდობიანი ატომური ენერგეტიკის განვითარება?

ეჭვი, რომ ენერგორესურსებით მდიდარ ქვეყანას მხოლოდ და მხოლოდ ბირთვული "კოზირის" მიღება უნდა, რბილად რომ ვთქვათ, საფუძველს მოკლებული არ არის.




# გსე სართიჭალის მოსახლეობას ელექტროენერგიის საფასურის დაფარვისკენ მოუწოდებს

"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" (სგსე) ქვემო ქართლის ფილიალის ადმინისტრაცია სართიჭალის მოსახლეობას მოხმარებული ელ.ენერგიის საფასურის სასწრაფოდ დაფარვისკენ მოუწოდებს.

კერძოდ, ქვემო ქართლის ფილიალის დირექტორის არკადი ელაშვილის განცხადებით, კომუნალური მრიცხველების დამონტაჟებიდან სართიჭალის მოსახლეობამ 497 625 ლარის ღირებულების ელექტროენერგია მოიხმარა, საიდანაც მხოლოდ 136 124 ლარია გასტუმრებული, ანუ დავალიანება სულ 361 500 ლარს შეადგენს.

მისი თქმით, ამჟამად, სართიჭალის 2 452 მცხოვრებიდან, დავალიანების გამო, ელექტროენერგია 2 353-ს არ მიეწოდება.

**"დავალიანების გამო გათიშული ტრანსფორმატორები ახალი წლის დღეებშიც არ ჩაირთვება,"** - აღნიშნა მან.

დავალიანების გამო გათიშულმა, სოფელ სართიჭალის მოსახლეობამ დაუყოვნებლივ უნდა დაფაროს არსებული დავალიანება, წინააღმდეგ შემთხვევაში ელ.ენერგიით მომარაგება არ აღდგება.

ელაშვილის განმარტებით, რამდენიმე ხნის წინ არაერთგზის აღინიშნა ტრანსფორმატორების თვითნებურად ჩართვის პრეცედენტები და მომავალში, თუნდაც ერთი ასეთი ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში გაითიშება შესაბამისი ფიდერი, მსგავსი კანონდარღვევის გამეორების შემთხვევაში კი დასახლებისთვის ელ.ენერგიის გამორთვა მოჰყვება.

**"ზემოხსენებული მიდგომა სგსე-ს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, ქვემო ქართლის რეგიონში ვრცელდება,"** - დასძენს ფილიალის დირექტორი და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს აქტიური მხარდაჭერისკენ მოუწოდებს.

**"ქვემო ქართლის ფილიალის ადმინისტრაცია იმედოვნებს, რომ მოსახლეობა გულისხმიერებით მოეკიდება ზემოხსენებულ საკითხს და ახალ წლამდე დაფარავს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს, რათა კომპანიამ გადამხდელი აბონენტების მომსახურებაზე არსებული ტრანსფორმატორების მიერთება მოასწროს,"** - ამბობს ელაშვილი.

თავის მხრივ, "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" მოსახლეობას კიდევ ერთხელ შეახსენებს, რომ ძველი ტრადიცია, რომლითაც ახალი წლის დღეებში ელ.ენერგია გადამხდელ და ურჩ გადამხდელ აბონენტებს ერთნაირ რეჟიმში მიეწოდებოდა, დამდეგ ახალ წელს აღარ იარსებებს.

*24 საათი*

## მოკლედ

### პრემიერ-მინისტრი "გაზპრომთან" ურთიერთობაში პრობლემას ვერ ხედავს

პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, საქართველოს მთავრობა "გაზპრომთან" ურთიერთობაში არავითარ პრობლემას არ აწყდება. "საქართველოს "გაზპრომის" პრობლემა არ გააჩნია. მართალია, გაზის ტრანსპორტირებისთვის ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ "გაზპრომისთვის" მისაღები არ აღმოჩნდა, მაგრამ კომპანიამ წარმოადგინა ალტერნატიული წინადადება საქართველოზე გამავალი გაზსადენის ქსელის შესყიდვის შესახებ. შესაბამისად, საქართველოს მთავრობა თავისი პოზიციის ჩამოყალიბებაზე მუშაობს," - აცხადებს ზურაბ ნოღაიდელი. **მედიანიუსი**

### თბილისელები ბუნებრივი აირის მოხმარებისთვის 34.2 თეთრს გადაიხდიან

თბილისში ბუნებრივი აირის ღირებულება 34,2 თეთრამდე გაიზრდება. როგორც გუშინ, ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სხდომაზე სემეკის თავმჯდომარემ გიორგი თავაძემ განაცხადა, 2006 წლის 1 იანვრიდან, რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში იმპორტირებული ბუნებრივი აირის ფასის მკვეთრმა გაძვირებამ ტარიფების გადაანგარიშება განაპირობა. ახალი გადაანგარიშებით, თბილისში ბუნებრივი აირის ღირებულება 7,9 თეთრით გაიზრდება და 26,45 თეთრიდან 34,2 თეთრამდე მოიმატებს. 9,26 თეთრით გაიზრდება ბუნებრივი აირის ღირებულება ქუთაისში. თუ აქამდე, ქუთაისში 1 კუბური მეტრი ბუნებრივი აირი 27,4 თეთრი ღირდა, 1 იანვრიდან იგი 36,7 თეთრამდე გაიზრდება. ბუნებრივი აირის ღირებულება მოიმატებს საქართველოს რეგიონის ყველა რაიონში. თუმცა, იმის გამო, რომ თითოეული რაიონის გაზგამანაწილებელ კომპანიას ინდივიდუალური ტარიფი გააჩნია, ამის შესახებ სემეკი თითოეულ კომპანიას ინდივიდუალურად აცნობებს. თბილისსა და რეგიონებში მოსახლეობა გაზრდილი ბუნებრივი აირის საფასურს 2006 წლის 1 მაისიდან გადაიხდის, რადგან თბილისში გაზის ტარიფის სუბსიდირებას ყაზახური კომპანია გეგმავს, რომელმაც "თბილგაზი" უნდა იყიდოს. ხოლო რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისათვის 5 მილიონი ლარის სუბსიდირებას სახელმწიფო ბიუჯეტი მოახდენს. **ინტერპრესნიუსი**

### გაზის ტარიფის სუბსიდირება შესაძლოა ყაზახურმა კომპანიამ განახორციელოს

თბილისის მოსახლეობისათვის გაზრდილი გაზის ტარიფის სუბსიდირება შესაძლოა ყაზახურმა კომპანია "კაზგაზტრანსმა" განახორციელოს. ამის შესახებ გუშინ ენერგეტიკის მინისტრის პირველმა მოადგილემ ალეკო ხეთაგურმა განაცხადა. მისი თქმით, 35 მილიონი ლარიდან, რომელიც 2006 წლის 1 იანვრიდან 1 მაისამდე მოსახლეობის მიერ მოხმარებული გაზის სუბსიდირებას მოხმარდება, 30 მილიონი ლარი - თბილისის მოსახლეობაზე, 5 მილიონი ლარი კი - რეგიონებზე მოდის. როგორც მან აღნიშნა, "კაზგაზტრანსი" თანახმაა, თბილისის მოსახლეობის სუბსიდირებისთვის განკუთვნილი 30 მილიონი ლარი "თბილგაზის" პრივატიზაციის სანაცვლოდ გადაიხადოს. **"აღნიშნული თანხა "თბილგაზის" საპრივატიზაციო თანხას გამოაკლდება,"** - განაცხადა ხეთაგურმა. თუმცა, ჯერჯერობით საპრივატიზაციო თანხის სრული მოცულობა დადგენილი არ არის. "თბილგაზს" ყაზახური "კაზტრანსგაზი" კომპანიის გაკოტრების საქმის დასრულებისთანავე შეისყიდის, რაც მომავალი წლის 15 თებერვლამდე იგეგმება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### სს "მაუდი" ბრიტანულმა კომპანიამ შეისყიდა

კამვოლური დართვის კომბინატის, სს "მაუდის" აქციები საქართველოს საფონდო ბირჟაზე ბრიტანულმა კომპანია შპს "ლენნერ ჰოლდინგ ლიმითედ"-მა 2,232 მილიონ ლარად შეისყიდა. როგორც პრაიმ-ნიუსს ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორიდან "კაპიტალინვესტიდან" აცნობეს, ''ლენნერ ჰოლდინგ ლიმითედი", რომელიც საწარმოს აქციათა 94,98 პროცენტის მფლობელი გახდა, გიბრალტარშია რეგისტრირებული და მისი წარმომადგენლები არიან გიორგი ბეგიაშვილი და გიორგი ჯაოშვილი. როგორც "კაპიტალინვესტის" ოპერატორმა ნადია ღლონტმა განაცხადა, საფონდო ბირჟაზე სავაჭრო გარიგება საბროკერო კომპანია "ბონას" საშუალებით განხორციელდა. მისი ინფორმაციით, შპს "ლენნერ ჰოლდინგ ლიმიტედის" საქმიანობა საფეიქრო მრეწველობას არ უკავშირდება, ის სერვისკომპანიაა. "მაუდის" აქციები 1998 წლიდან ეკუთვნოდა რუსულ კომპანია "ლოგოვაზს", რომლის ერთ-ერთი მფლობელი ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილია. როგორც პრაიმ-ნიუსს საწარმოში განუცხადა, 1998 წელს პატარკაციშვილმა კომბინატის აქციები 10 000 აშშ დოლარად შეისყიდა. შალის ქსოვილის მწარმოებელი სს "მაუდის" საწესდებო კაპიტალი 2,232 ლარს შეადგენს. **პრაიმ-ნიუსი**

### სოხუმი-სოჭის რკინიგზაზე მოძრაობა იანვრიდან აღდგება

სოხუმი-სოჭის მიმართულებით ელექტრომატარებლის მოძრაობა მომავალი წლის იანვრიდან აღდგება. ამის შესახებ აფხაზი სეპარატისტების ლიდერი სერგეი ბაგაფში და რუსეთის რკინიგზის ჩრდილოკავკასიური სამმართველოს უფროსი ვლადიმირ ვორობიოვი შეთანხმდნენ. სოხუმი-სოჭის ელექტრომატარებლის რეისი ივნისში გაგრის რაიონში გამწევი ქვესადგურის მწყობრიდან გამოსვლის გამო შეწყდა. ქვესადგური წყალდიდობის დროს დაიტბორა. გაგრის გამწევი ქვესადგური ახლახან აღადგინეს, მაგრამ შემდეგ რუსეთ-აფხაზეთის "საზღვრის" სიახლოვეს მეწყერის შედეგად რკინიგზის საკონტაქტო ქსელის საყრდენები დაზიანდა. ამჟამად სეპარატისტული სოხუმის ენერგეტიკოსები ენერგოქსელის საყრდენებს ცვლიან. **მედიანიუსი**

**საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ვაკანტურია გენერალური პროკურტურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობა, სამეურნეო დარგში. უმაღლესი განათლების მქონე მსურველები დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: საქართველოს გენერალური პროკურატურა, ქ. თბილისი, ვ.გორგასლის ქ.N24 ტელეფონები; 877 71 29 56, 98 21 62**

## საბიუჯეტო მონიტორინგი

The Eurasia Foundation
Georgia Office

EPRC
Economic Policy Research Center

**"ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ "ევრაზიისაგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს პროექტს "სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ანტიკორუფციული ექსპერტიზა". მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას არ გამოხატავდეს. მასალების შინაარსზე პასუხს "ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი" აგებს.**

# ახალი საგადასახადო კოდექსი - ახალი გამოწვევა ბიუჯეტისთვის

პირველი გვერდიდან

წინასწარი დაგეგმარების უზუსტობებზე თუ ხელოვნურ შემცირებაზე ყველაზე ნათლად ის რიცხვები მიუთითებს, რომლებიც წლის ბოლოს გამოჩნდა. დეკემბრის დასასრულს მთავრობის მიერ პარლამენტში შეტანილი ბიუჯეტის კიდევ ერთხელ გაზრდილი პროექტის მაჩვენებლები და მისი თავდაპირველი მონაცემები ძალიან განსხვავებული აღმოჩნდა. თავად განსაჯეთ: 2005 წლის ბიუჯეტის პირველად მიღებულ ვერსიასთან შედარებით, შემოსავლებისა და გრანტების პარამეტრი წლის განმავლობაში, არც მეტი, არც ნაკლები, 610 მილიონი (!) ლარით გაიზარდა. განსაკუთრებით ეს ეხება კაპიტალური შემოსავლების ნაწილს, რომელმაც წლის დასაწყისში დაგეგმილი 94 მილიონის ნაცვლად, საბოლოოდ, მთელი 387 მილიონი ლარი შეადგინა, ანუ თავდაპირველ პარამეტრზე 311 პროცენტით მეტი აღმოჩნდა. შედარებისთვის: იმავე საგადასახადო შემოსავლების პარამეტრი, სადაც მატება ასევე თვალნათელი იყო, საბოლოო ანგარიშით, მხოლოდ 14 პროცენტით გაიზარდა.

### ჩავარდნილი გეგმები

თუმცა, აუცილებლად ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ შემოსავლების ჯამური მატების მიუხედავად, მაინც გამოიკვეთა ის სეგმენტები, სადაც გეგმის შესრულება ვერ მოხერხდა და მთავრობა იძულებული გახდა, ამ დანაკარგების დასაფარად საგანგებო მანიპულაციები მოეხდინა. ასეთი აღმოჩნდა, მაგალითად, აქციზის გადასახადი, სადაც დაგეგმილი პარამეტრი ხელისუფლებამ წლის ბოლოს 38 მილიონი ლარით (318-დან 280 მილიონამდე) ანუ გეგმის 12 პროცენტით შეამცირა, რითაც, პრაქტიკულად, დაადასტურა იმ სკეპტიკოსების მოსაზრებების სისწორე, რომლებიც ხშირად მიუთითებდნენ, რომ ადგილობრივად წარმოებული აქციზური საქონლის ზოგიერთი კატეგორიის დასაბეგრად საგადასახადო კოდექსში იმთავითვე გაუმართლებლად მაღალი განაკვეთები ჩაიდო. ჩავარდნა სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული აქციზური პროდუქციის დაბეგვრის წილად მოვიდა. ამ ნაწილში დაგეგმილი 119 მილიონის ნაცვლად მხოლოდ 64 მილიონის მობილიზება მოხერხდა, ანუ გარღვევამ 55 მილიონი ლარი შეადგინა და ვერც აღმოიფხვრა: მართალია, იმპორტირებული აქციზური პროდუქციის დაბეგვრის პარამეტრი წლის ბოლოს კიდევ 17 მილიონით გაიზარდა, მაგრამ დანაკარგების გადასაფარად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

საბოლოო ანგარიშით გამოკვეთილი სურათი მიუთითებს, რომ რეალობისგან, გარკვეულწილად, მოწყვეტილი აღმოჩნდა საბიუჯეტო შემოსავლების პროგნოზი იმპორტის მოცულობისა და მისი დაბეგვრის თვალსაზრისითაც, რამაც პირდაპირი ასახვა ჰპოვა საბაჟო გადასახადის მობილიზების კუთხითაც. აქციზის გადასახადის მსგავსად, წლეულს მისი პარამეტრიც საბოლოოდ შემცირებისკენ გადაისინჯა. შედეგად, საბაჟო გადასახდიდან ბიუჯეტს 123 მილიონი ლარი შეემატება. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბიუჯეტის უკანასკნელ კორექტირებამდე ეს მაჩვენებელი 135 მილიონს უტოლდებოდა, ცხადი ხდება, რომ ამ თვალსაზრისით მოლოდინი გაცილებით მეტი იყო.

ანალოგიური მანიპულაციით ბიუჯეტის ბოლო შესწორებისას მთავრობამ 20 მილიონით შეამცირა არასაგადასახადო შემოსავლების პარამეტრიც (280-დან 260 მილიონამდე), რითაც თავდაპირველად განსაზღვრული გეგმა 7 პროცენტით შეიკვეცა. თუმცა, სხვა შემოსავლებში მიღებულმა ნამატმა ეს დანაკარგები, როგორც აღვნიშნეთ, საკმაოდ დიდი რეზერვით გადაფარა.

### ვინ როგორ ავსებს ბიუჯეტს

როგორც ცნობილია, საგადასახადო შემოსავლების ფორმირება საქართველოში ოთხი ძირითადი გადასახადის ფორმით აკრეფილი თანხებიდან ხდება. 2005 წლის განმავლობაში კიდევ ერთხელ გამოიკვეთა, რომელი გადასახადები რა დოზით უზრუნველყოფენ საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზებას და რომელს რა წილი აქვს გადასახადების ერთიან კალათაში.

როგორც მოსალოდნელი იყო, ბიუჯეტის ძირითად შემავსებლად კვლავაც დარჩა დამატებული ღირებულების გადასახადი. ერთიან საგადასახადო შემოსავლებში, რომელთა მოცულობაც საბოლოოდ 1 მილიარდ 767 მილიონი ლარით განისაზღვრა, დღგ-ს წილად 962 მილიონი ლარი მოვიდა. და ეს იმის გათვალისწინებით, რომ 1 ივლისიდან ანუ წლის მთელი მეორე ნახევრის განმავლობაში დღგ-ს განაკვეთი 20 პროცენტიდან 18 პროცენტამდე იყო შემცირებული. ეს არის რეკორდული მაჩვენებელი როგორც დღგ-ს მობილიზების თვალსაზრისით საქართველოს მთელი პოსტსაბჭოთა ისტორიის მანძილზე, ასევე მისი წილის მიხედვით მთლიან საგადასახადო შემოსავლებში, რომელიც საბოლოოდ 54 პროცენტს გაუტოლდა. შესაბამისად, მხოლოდ ამ ერთ გადასახადზე მთელი საგადასახადო შემოსავლების ნახევარზე მეტი მოდის, რაც ნიშნავს, რომ ბიუჯეტის დამოკიდებულება ამ გადასახადზე კიდევ უფრო მაღალი გახდა.

ერთიან გადასახადებში წილის მიხედვით, სიდიდით მეორე - სოციალური გადასახადია, რომელზეც ბიუჯეტის საბოლოო პროექტში 393 მილიონი ლარი ანუ მთელი საგადასახადო შემოსავლების 22,2 პროცენტი განისაზღვრა. სოციალური გადასახადის ეს ხვედრითი წილიც პერმანენტულ ხასიათს ატარებს და, როგორც განვლილი თვეების ანალიზი მიუთითებს, ჯამურად დაახლოებით იმდენივეა ხოლმე, რაც დარჩენილი ორი გადასახადი - აქციზი და საბაჟო - ერთად აღებული.

აქციზის გადასახადის სახით ბიუჯეტში მობილიზებული თანხების ოდენობა, ზემოთ უკვე ნახსენები გეგმის ჩავარდნის მიუხედავად, მაინც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ამ ხაზით აკრეფილ 280 მილიონ ლარს საგადასახადო შემოსავლების საერთო კალათის 15,8 პროცენტი შეედგინა.

დაბოლოს, მეოთხე შემავსებელი - საბაჟო გადასახადი, რომლის ხვედრითი წილიც ერთიან გადასახადებში ყველაზე დაბალია. ბიუჯეტის უკანასკნელ კორექტირებამდე არსებული გეგმა, როგორც აღვნიშნეთ, ბოლოს აქაც შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. თუმცა, ეს დიდ გავლენას არ მოახდენს ამ გადასახადის საბოლოო "წონაზე", რომელიც 2005 წელსაც ერთიან გადასახადებში ტრადიციულთან მიახლოებულ ნიშნულს – 7 პროცენტს შეადგენს.

### საფრთხე ტერიტორიული ბიუჯეტებისთვის

მომავალი წლიდან ამ პროპორციებში სიახლე, ალბათ, გარდაუვალი იქნება. კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, 2006 წლიდან მოგების გადასახადის მობილიზება, ადგილობრივი ბიუჯეტების ნაცვლად, ცენტრალურ ბიუჯეტში მოხდება. ამ გადასახადის სახით კი, 2005 წელს ტერიტორიულ ბიუჯეტებში, დაახლოებით, 200 მილიონ ლარამდეა მობილიზებული. მომავალ წელს ეს თანხები უკვე ცენტრალური ბიუჯეტის განკარგულებაში გადავა, რაც დღის წესრიგში როგორც ახალი სახარჯო რესურსის ამოქმედების, ასევე რეგიონებისთვის დამატებითი სატრანსფერო სახსრების გამოძებნის საჭიროებას აყენებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს საკმაოდ მძიმე დარტყმა იქნება ტერიტორიული ბიუჯეტებისთვის, ვინაიდან მათ სიდიდით მეორე შემოსავლის წყარო აკლდებათ: ადგილობრივ ბიუჯეტებში მობილიზებული თანხების მოცულობით მოგების გადასახადს მხოლოდ საშემოსავლო გადასახადი აღემატება (2005 წელს ეს მაჩვენებელი 280 მილიონი ლარის ნიშნულზე გავა), სხვა შემოსავლები კი ამ წყაროს ჯეროვნად ჩამოუვარდება. შედარებისთვის: ქონების გადასახადიდან წლეულს ადგილობრივი ბიუჯეტები, დაახლოებით, 40 მილიონ ლარს მიიღებენ, საპრივატიზებო შემოსავლებიდან - 33 მილიონს, მიწის გადასახადიდან - 22 მილიონს, სხვა გადასახადებიდან - კიდევ უფრო მცირე თანხებს.

შესაბამისად, ცენტრსა და რეგიონებს შორის გადასახადების ახლებური გადანაწილება რეგიონებისთვის დანაკარგების მაკომპენსირებელი ღონისძიებებით უნდა იყოს თანხლებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყნის მასშტაბით ბიუჯეტირების პროცესი ახალი საფრთხეების წინაშე აღმოჩნდება, რეგიონები კი, რომელთა უმეტესობაც საქართველოში თავისი ხასიათით დოტაციურია - საარსებო წყაროს გარეშე.

# აურზაური არაფრის გამო

*საქართველოს კერძო სადაზღვევო საქმიანობა თხუთმეტ წელს ითვლის. შედარებით "ახალგაზრდაა" სოფლის მეურნეობის სადაზღვევო პროდუქტი, თუმცა ისეთი აგრარული ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა - დაზღვევის სხვა სახეობებზე არანაკლებ მნიშვნელოვანი და საჭირო.*

ნანა გიორგაძე

დღეისათვის უშუალოდ მოსავლის დაზღვევას საქართველოში არც ერთი სადაზღვევო კომპანია აღარ ახორციელებს. თუმცა, არსებობს ამ საჭიროებისათვის ბანკებიდან გაცემული მიკროსესხების დაზღვევის პრაქტიკა.

მიმდინარე წელს სადაზღვევო კომპანია "ალდაგმა" და "სახალხო ბანკმა" კახეთის რეგიონში მოსახლეობისათვის სწორედ ასეთი ტიპის ერთობლივი პროდუქტი დანერგეს, ანუ "სახალხო ბანკსა" და სადაზღვევო კომპანია "ალდაგს" შორის შედგა შეთანხმება მიკროსესხების დაზღვევის თაობაზე. აღნიშნული შეთანხმების თანახმად "სახალხო ბანკი" გასცემს კრედიტს (სესხს) კახეთის რეგიონში მცხოვრებ გლეხებზე, ხოლო "ალდაგი" ვალდებულებას იღებს კრედიტის დაბრუნების სადაზღვევო უზრუნველყოფაზე. იგივე ხელშეკრულების თანახმად, "ალდაგი" იმ შემთხვევაში გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას, თუ გლეხის მოსავალი ისე დაისეტყვება, რომ გადარჩენილი მოსავლის ღირებულება საკმარისი არ აღმოჩნდება ბანკისთვის კრედიტის დარჩენილი ნაწილის დასაფარად.

აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით შეიქმნა გაუგებრობა - სეტყვამ და ქარიშხალმა ყვარლის რაიონის რამდენიმე სოფელი მნიშვნელოვნად აზარალა, მათ შორის - ის ვენახებიც, რომლის პატრონებმაც ბანკიდან კრედიტები გაიტანეს. გლეხები კი აცხადებენ, რომ ანაზღაურების გაცემაზე "ალდაგმა" ფერმერებს უარი უთხრა, მიუხედავად იმისა, რომ მდგომარეობის შესასწავლად ყვარელში სადაზღვეო კომპანიის წარმომადგენლობა ჩავიდა და დაზიანების ხარისხი დაადგინა. გლეხები "ალდაგისაგან" ზარალის ანაზღაურებას ითხოვენ - ანაზღაურებას, რომელიც რეალურად არ ეკუთვნით, რადგან რეალური სიტუაცია სხვაგვარია:

"ალდაგში" აღნიშნავენ, რომ წინამდებარე სადაზღვევო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, **"ალდაგი" თანხას უნაზღაურებს ნებისმიერ შემთხვევაში მხოლოდ ბანკს, როგორც მოსარგებლეს და არა უშუალოდ გლეხებს. სადაზღვევო ანაზღაურების ლიმიტის განსაზღვრა ყველა კონკეტული ხელშეკრულების გაფორმებისას განისაზღრა ბანკის მიერ, გაცემული კრედიტის პროპორციულად. "ალდაგიც" სადაზღვევო ანაზღაურებას გასცემს ბანკისთვის დაუფარავი კრედიტის შესაბამისად".**

სადაზღვევო ასოციაციის პრეზიდენტის დევი ხეჩინაშვილის განცხადებით, **"მოვლენების ისეთი ინტერპრეტაცია, რომ "ალდაგმა" დააზღვია გლეხების მოსავალი და გლეხებს დაზღვევის საფასური აღარ გადაუხადა, არასწორია. სინამდვილეში "ალდაგმა" დააზღვია არა გლეხების მოსავალი, არამედ ბანკის ინტერესი ანუ სესხი. ბანკის ინტერესი კი იყო ის, რომ თუ გლეხის მოსავალი ვერ უზრუნველყოფს ბანკის სესხის დაფარავს, სწორედ ამ ეტაპზე ჩნდებოდა "ალდაგის" ვალდებულება. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ მთელი რისკ-მენეჯმენტი გასწია "სახალხო ბანკმა", რომელმაც გაიაზრა თავისი რისკი ამ დაკრედიტების დროს და უზრუნველყო იმ ნაწილის დაზღვევა, რომელიც ბანკისათვის მნიშვნელოვან რისკად მიიჩნია. ეს ასეა მთელ მსოფლიოში - ყველა აზღვევს თავის ინტერესს, იქნება ეს ფერმერი თუ რომელიმე დაწესებულება. ფერმერის ინტერესია, რომ იყიდოს ისეთი დაზღვევა, რომელიც მოსავლის განადგურების შემთხვევაში ზარალს აუნაზღაურებს, ხოლო ბანკის ინტერესია, დაუბრუნდეს ფული, რომელიც გასცა. ფორმულირება გასაგებია და კანონიერი".**

დევი ხეჩინაშვილი აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში, გლეხს არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე პრეტენზია, რადგან აიღო ბანკიდან ფული, მოიყვანა მოსავალი და მოსავალი რომ განადგურდა, ნამატი არ დარჩა. მისი ზარალი სწორედ ისაა, რომ მისმა შრომამ მუქთად ჩაიარა. მაგრამ პრეტენზიები ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიმართ გაუმართლებელია, რადგან გლეხს თავისი ინტერესი არ დაუზღვევია და შესაბამისად მისი ინტერესი ვერ იქნება დაცული. მიუხედავად ამისა, გლეხი მაინც მოგებულია, რადგან მას ბანკის ვალი არ დარჩა, ანუ მისი ვალი სადაზღვევო კომპანიამ უნდა გადაიხადოს.

აღსანიშნავია, რომ ასეთი ტიპის დაზღვევისა თუ გარიგებების შემთხვევაში, ბანკის პოზიცია გასაგებია - მისცეს გლეხს სარგებლობისათვის კრედიტი. იგი ამ შემთხვევაში რისკავს, მაგრამ, ამავე დროს, საკუთარ რისკს აზღვევს, რაც სრულიად ბუნებრივი და ნორმალური ფაქტია.

რაც შეეხება სადაზრვევო კომპანია "ალდაგს", იგი წლების მანძილზე ნოვატორი და განმახორციელებელი გახლდათ თითქმის ყველა იმ სადაზღვევო პროდუქტისა და სერვისისა, რაც ქართულ ბაზარზე დროთა განმავლობაში ფეხს იკიდებდა. "ალდაგმა" მოსავლის დაზღვევის კულტურაც საქართველოში პირველად დანერგა (ამ მიმართულებით "ალდაგის" მიერ ანაზღაურებულ ზარალის თანხამ 652 721 ლარი შეადგინა).

კომპანიაში აღნიშნავენ, რომ, მიუხედავად დიდი ზარალისა, რაც კომპანიას წლების განმავლობაში მოსავლის დაზღვევის გამო ადგებოდა, "ალდაგი" შეგნებულად მიდიოდა ასეთ წინასწარპროგნოზირებად რისკზე და ხარჯებზე, რათა ხელი შეეწყო მოსავლის დაზღვევის პოპულარიზაციისთვის.

"ალდაგის" იურიდიული და ანაზღაურების დეპარტამენტის დირექტორი დავით მაცაბერიძე აღნიშნავს, რომ **"საქართველოში სოფლის მეურნეობა დღეს არადაზღვევადია, ვინაიდან არ არის გამჭვირვალე აღრიცხვა, ძალზე ცუდი კაპიტალიზაციაა. შეუძლებელია რისკის შეფასება, თუნდაც იმიტომ, რომ არ არსებობს სათანადო სტატისტიკური მონაცემები, რისკის დივერსიფიცირება, სამართლიანი პრემიის დანიშვნა, ზარალების ობიექტური შეფასება.**

**ყველაფერ ამას ემატება ანტისელექციაც, რაც გულისხმობს, რომ იზღვევოდა ისეთ ტერიტორიაზე გაშენებული ვენახები, რომლებიც მაღალი ალბათობით დაისეტყვებოდა. დაზღვევის ამ სახეობას პერსპექტივა ექნება, თუ თანაბრად დაიზღვევა როგორც სეტყვაჭარბი, ისე ნაკლებად სეტყვაჭარბი რეგიონები და ტერიტორიები. ამ შემთხვევაში მოხერხდება სადაზღვევო რისკის გაშლა, რაც საშუალებას მისცემს კომპანიებს, დააბალანსონ პორტფელი".**

მისივე განცხადებით, **"მნიშვნელოვანია, რომ სადაზღვევო კომპანიის იმიჯსა და საქმიანობაზე ყველაზე ნათლად მის მიერ ანაზღაურებული ზარალები მეტყველებს. ამიტომ "ალდაგი" ამ თემას განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება და ზარალების ანაზღაურების მიმართ ხშირად ზედმეტად ლიბერალურ პოლიტიკასაც კი ატარებს. უხერხულია, ალბათ, იმაზე საუბარი, რომ "ალდაგი" არ ანაზღაურებს მცირე თანხებს, მაშინ როდესაც კომპანიას ზარალის ასანაზღაურებლად საქართველოს მასშტაბით უპრეცედენტო თანხები აქვს გადახდილი. მიმდინარე წელს ალდაგის მიერ გადახდილმა მხოლოდ ერთი ზარალის თანხამ 2 მილიონ დოლარს გადააჭარბა. მთლიანად გასული 2005 წლის 11 თვის შედეგებით კი "ალდაგის" მიერ ანაზღაურებული ზარალის თანხა 4, 268, 970 ლარს შეადგენს".**

რაც შეეხება საქართველოში სადაზღვევო პროდუქტების დანერგვის დინამიკას, "ალდაგში" აღნიშნავენ, რომ ქართულ საზოგადოებაში დაზღვევის კულტურა ჯერ კიდევ დაბალია. ხშირად დაზღვევის პირობების უცოდინრობა ან არასაკმარისი ინფორმაციის ფლობა ანაზღაურებაზე პრეტენზიის უსამართლოდ გაცხადების საბაბი ხდება.

აღნიშნულ კონკრეტულ შემთხვევაში კი, "ალდაგი" ანაზღაურების პროცესში "სახალხო ბანკთან" დადებული სახელშეკრულებო პირობებიდან გამომდინარე მოქმედებს. კომპანიის მესვეურთა განცხადებით, სუბიექტური შეხედულებებით მოქმედება არამიზანშეწონილი და არასერიოზულია ისეთი კომპანიისთვის, როგორიც "ალდაგი" გახლავთ, რადგან კომპანიის თხუთმეტწლიანი საქმიანობის მანძილზე მისი მთავარი ფასეულობა დაზღვეული ადამიანებისა თუ ორგანიზაციების მოთხოვნილებებზე ორიენტირება, ზარალის დარეგულირების ოპერატიული და ლიბერალური პოლიტიკა იყო, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს "ალდაგის" მიღწევებსა და წარმატებებს.

# პრეზიდენტსა და მთავრობას სარეზერვო ფონდების თვითნებური ხარჯვის უფლება მიენიჭათ?

არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" "2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონს" მიულებლად მიიჩნევს. როგორც "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში" განაცხადეს, "საქართველოს 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით" პრეზიდენტსა და მთავრობას სარეზერვო ფონდების თვითნებური ხარჯვის უფლება ენიჭება. როგორც ორგანიზაციაში განმარტავენ, კანონპროექტში ნათქვამია, რომ "საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრების განკარგვა სხვადასხვა სახელმწიფოებრივი ღონისძიებების დასაფინანსებლად განხორციელდება."

**"კანონის ეს მუხლი აბსოლუტურად ბუნდოვანია. იგი პრეზიდენტსა და მთავრობას შეუზღუდავ უფლებამოსილებას აძლევს, განკარგოს ფონდის სახსრები ნებისმიერი ღონისძიების დასაფინანსებლად. გაუგებარია, რა იგულისხმება "სხვადასხვა სახელმწიფოებრივ ღონისძიებებში – თოვლის ბაბუას სვანეთიდან ჩამოყვანის ძვირადღირებული ცერემონიალი თუ სტიქიით დაზარალებულ ადამიანთა დახმარება,"** - აცხადებენ ასოციაციაში. **ინტერპრესნიუსი.**




- თითოეული მუხლის კომენტარი
- ციტატები მომიჯნავე კანონებიდან
- ხარვეზები და წინააღმდეგობები
- ლაბირინთები და ხაფანგები
- პრაქტიკული მაგალითები და რჩევები

მეწარმის სამაგიდო წიგნი

მომზადდა და გამოიცა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციაში, ევრაზიის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. კომენტარების შესაძენად მიაკითხეთ საცალო ქსელს ან ფედერაციას: წერეთლის 61, ტელ. 35 01 57; 35 43 97; 35 67 56.

# საახალწლო ანაბარი

წლიური

**11,75%**

დოლარი / ევრო




## + საჩუქრად



- საპროცენტო სარგებლის წინასწარი, ყოველთვიური ან ვადის ბოლოს გატანის შესაძლებლობა;
- საპროცენტო სარგებლის მიღება მიმდინარე ანგარიშიდან ან პლასტიკური ბარათის მეშვეობით;
- მოთხოვნისთანავე შესაძლებელია სესხის აღება ანაბარზე დასარიცხ პროცენტს + 4% წლიური განაკვეთით;
- მოთხოვნისთანავე შესაძლებელია ოვერდრაფტის დაშვება კლიენტის მიმდინარე ან საბარათო ანგარიშზე.

**BR ბანკი რესპუბლიკა** 29 45 99

ცენტრალური ფილიალი
თბილისი, გრ.აბაშიძის ქ. 2
ტელ: (995 32) 294598, 294599; ფაქსი: (995 32) 227566

დელისის ფილიალი
თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი 47ა
ტელ: (995 32) 312161, 312181; ფაქსი: (995 32) 312161

სამტრედიის ფილიალი
სამტრედია, რაზმაძის ქ. 2
ტელ: (8 211) 21353, 21157, 21938, 569855, 560740
ფაქსი: (8 211) 560740

სადგურის ფილიალი
თბილისი, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია
ტელ: (995 32) 911117, 911118, 237043; ფაქსი: (995 32) 911117, 911118

გლდანის ფილიალი
თბილისი, ხიზანიშვილის ქ.20
ტელ: (995 32) 590770, 590880; ფაქსი:(995 32) 590660

ზუგდიდის ფილიალი
ზუგდიდი, ზვ.გამსახურდიას გამზ. 34
ტელ: (8 215) 5 00 08, 5 08 08

ბათუმის ფილიალი
ბათუმი, ქუთაისის ქ. 6
ტელ: (8 222) 32810, 32811; ფაქსი: (8 222) 32812

# პოლ ხლებნიკოვის მკვლელობის გამოძიების გაუხმაურებელი დეტალი

*ჟურნალ Forbes-ის მთავარი რედაქტორის მკვლელობის გამო დაპატიმრებული ჩეჩენი ნოტარიუსი რუსი სამართალდამცველების მიერ გაუხმაურებელ ფაქტებს მოკლულის ძმას აცნობს.*



*პოლ ხლებნიკოვის ბოლო ერთ-ერთი პრესკონფერენცია.*

ცნობილი ეკონომიკური ჟურნალის Forbes-ის მთავარი რედაქტორის პოლ ხლებნიკოვის სავარაუდო მკვლელთა და მკვლელობის ორგანიზატორთა სასამართლო პროცესი გუშინ ნაფიც მსაჯულთა შერჩევით დაიწყო. თავად სასამართლო პროცესი დახურულ კარს მიღმა წარიმართა, რადგანაც საქმეს დართული ზოგიერთი დოკუმენტი "ზესაიდუმლოდ" მოინათლა. რუსეთში ყოველთვის ასე ხდება, როდესაც საქმე სპეცსამსახურების მიერ მიწოდებულ მასალებსა და ინფორმაციას ეხება.

როგორც ცნობილია, პოლ ხლებნიკოვი შარშან, 9 ივლისს მოკლეს, როდესაც იგი სამუშაო დღის ბოლოს რედაქციიდან გამოდიოდა. პირდაპირ ქუჩაში მას რამდენიმე ტყვია ესროლეს. სიკვდილით კი სასწრაფო დახმარების შენობის გაჭედილ ლიფტში გარდაიცვალა ისე, რომ მკვლელების შესახებ ვერაფრის თქმა ვერ შეძლო.

თავდაპირველად მიიჩნევდნენ, რომ მკვლელობა რუსეთის ბაზარზე ახალდამკვიდრებული ჟურნალის - Forbes-ის მთავარი რედაქტორის სამსახურებრივ საქმიანობას უკავშირდებოდა. ჟურნალის მეორე ნომერშივე ხომ რუსეთის ყველაზე მდიდარი მოქალაქეების ასეული გამოქვეყნდა, რამაც დიდი ხმაური და ბევრი ამ სიაში შესული პირის უკმაყოფილება გამოიწვია. სამართალდამცველთა ეჭვქვეშ მოექცა დიდ ბრიტანეთში მცხოვრები ფინანსური მაგნატი ბორის ბერეზოვსკიც, რადგანაც თავის წიგნში - "კრემლის ნათლიმამა" - ხლებნიკოვმა მისი არცთუ სახარბიელო სახე აჩვენა.

თუმცა, ცოტა ხანში გამოძიებამ ეს ვერსია უარყო და ეგრეთ წოდებულ "ჩეჩნურ კვალს" დაადგა. პოლ ხლებნიკოვმა თავის წიგნში – "საუბარი ბარბაროსთან" – გავლენიანი ჩეჩენი ბიზნესმენი და ყოფილი საველე მეთაური მეტად მუქ ფერებში აღწერა. გამოძიების ვერსიის თანახმად, სწორედ ხოჟახმედ ნუხაევმა, შურისძიების მიზნით, ხლებნიკოვის მოსაკლავად მკვლელები დაიქირავა. ჩეჩნებმა – კაზბეკ დუკუზოვმა და მუსა ვახაევმა, ასევე, მოსკოველმა ნოტარიუსმა ფაილ სადრეტდინოვმა ახლა სასამართლოს წინაშე უნდა აგონ პასუხი. საბრალდებო დასკვნის თანახმად, ისინი იმ დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრები არიან, რომელიც მოსკოვში 2002 წლიდან მოქმედებს და, რომელსაც არაერთი დანაშაული ბრალდება. თავად ბრალდებულები ყველა ბრალდებას უარყოფენ.

აღსანიშნავია, რომ ხლებნიკოვის მკვლელობაში ეჭვმიტანილები "ჩეჩნური კვალისთვის" უპირატესობის მიმნიჭებელმა სამართალდამცველებმა ერთ-ერთი ინფორმატორის მიერ მიწოდებული ვარაუდის საფუძველზე დააპატიმრეს; კერძოდ, მავანი ინფორმატორის მიერ მიწოდებული ცნობა, ხლებნიკოვის მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე მომხდარი, ჩეჩნეთის ყოფილი ვიცე-პრემიერის იან სერგუნინისა და ხლებნიკოვის მკვლელობებს შორის კავშირისა და ამ საქმეებში ვინმე კაზბეგის ურთიერთობის შესახებ, საგამოძიებო მოქმედებების დაწყებისა და წარმატებით დაგვირგვინების საბაბად იქცა.

ინფორმატორმა გამოძიებას ამ კაზბეკის მობილური ტელეფონის ნომერიც კი აცნობა. ნომრის შემოწმებისას კი აღმოჩნდა, რომ ჟურნალისტის მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე და ცოტა ხნის შემდეგ მეტროსადგურ "ბოტანიკური ბაღის" მიმდებარე ტერიტორიიდან ამ ნომრიდან ზარები განხორციელდა; ასევე გაირკვა, რომ საიდუმლოებით მოცული კაზბეკი სამ სხვადასხვა გვარზე გაფორმებულ პასპორტს იყენებს, მათ შორის, ორი გვარი სამართალდამცველებისთვის ცნობილია: დუკუზოვი და იბრაგიმოვი. გამოძიებამ ჩეჩენ კოლეგებს მიმართა და აღმოჩნდა, რომ მათ კაზბეკ დუკუზოვის შესახებ ბევრი რამ იციან. მის შესახებ არსებულ დოსიეში წერია: "კაზბეკ დუკუზოვი, დაბადებული 1974 წელს, იმყოფება მოსკოვში, სადაც ორგანიზებას უკეთებს და ასრულებს შეკვეთილ მკვლელობებს. მოსკოვის კრიმინალურ სამყაროში განიხილება მისი კანონიერ ქურდად აღიარების საკითხი".

მოსკოველი სამართალდამცველები კაზბეკისა და მისი ნაცნობების ტელეფონების მოსმენას შეუდგნენ. სწორედ ამ სატელეფონო საუბრების მოსმენისას შეიტყვეს, რომ კაზბეკის მეგობრის ვინმე ასლან საგაევის ბინაში ამყოფებენ გატაცებულ ბანკირს აჰმედ-ფაში ალიევს. მძევალი 27 სექტემბერს გაათავისუფლეს, კაზბეგმა კი მოსკოვის დატოვება მოახერხა. თუმცა, სამართალდამცველებმა მოახერხეს იმის დადგენა, რომ მან რუსეთის საზღვარი იბრაგიმოვის გვარზე გაფორმებული ყალბი პასპორტით გადალახა და მინსკში ჩავიდა. მთავარი ეჭვმიტანილის გაქცევის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე სპეცსამსახურებმა მისი მეგობრის, ვინმე ვახაევის დაპატიმრება შეძლეს. სწორედ ამის შემდეგ გაირკვა, რომ ხლებნიკოვზე თავდასხმის დროს ის მეტროსადგურ "ბოტანიკური ბაღის" მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდა და ხლებნიკოვის მკვლელობიდან რამდენიმე წუთში სწორედ მას დაურეკა კაზბეკმა. გამოძიება ვარაუდობს, რომ ვახაევი მკვლელს მანქანის მოშორებაში დაეხმარა. მისი თითის ანაბეჭდი ნაპოვნი მანქანის სალონში აღმოაჩინეს. მკვლელად კი გამოძიება კაზბეკს მიიჩნევს; მეტიც, არსებობს ეჭვი, რომ მას, ხლებნიკოვისა და სერგუნინის გარდა, კიდევ ორი ადამიანი ჰყავს შეკვეთით მოკლული.

უნდა აღინიშნოს, რომ გამოძიების მიერ ამორჩეულ "ჩეჩნურ კვალს" იმთავითვე არადამაჯერებლად მიიჩნევდნენ სხვადასხვა ექსპერტები და ხლებნიკოვთან ახლო ურთიერთობაში მყოფი რუსი ჟურნალისტებიც. ყველაზე გავრცელებული აზრით, ეჭვს იწვევს ის ფაქტი, რომ გამოძიების მიერ შეთავაზებული ეს ვერსია მხოლოდ და მხოლოდ შურისძიების მოტივს ემყარება.

სხვათა შორის, მეტად მნიშვნელოვანია ბრალდებული ნოტარიუსის სადრეტინოვის მიერ პოლ ხლებნიკოვის ძმისთვის – მაიკლისთვის მიწერილი წერილი. წერილში ის ახსენებს რუსეთის გენერალური პროკურატურის მიერ ამერიკის საგამოძიებო ფედერალური ბიუროდან – FBI-დან გამოთხოვილ მასალებს, რომლებსაც ის შემთხვევით, საკუთარი სისხლის სამართლის საქმის კითხვისას გაეცნო. სადრეტინოვის წერილში ნათქვამია, რომ FBI-ის ანგარიშის თანახმად, პოლ ხლებნიკოვის ნათესავებთან და კოლეგებთან საუბრის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ Forbes-ის მთავარი რედაქტორი თვალყურს ადევნებდა "მსხვილ და საზარელ პროექტს", რომელთანაც ბერეზოვსკის საქმიანობა, თავად ხლებნიკოვის სიტყვებით, "ბავშვური თამაშია". ამავე ანგარიშში, თითქოს, დასახელებულია გავლენიანი მოსკოველი სახელმწიფო ჩინოვნიკებისა და ბიზნესმენების სახელებიც. სადრეტინოვის აზრით, ეს ანგარიში მეტყველებს, რამდენად საეჭვოა ვერსია ნუხაევის შეკვეთით ხლებნიკოვის მკვლელობის შესახებ.

ბრალდებულ დუკუზოვის ადვოკატის რუსლან ხაზანოვის თქმით კი, რუსი სამართალდამცველებისთვის სერიოზულ დანაშაულებებში "ჩეჩნური კვალის" აღმოჩენა მეტად მოხერხებულია: **"ჩეჩნური კვალი ამჟამად, თითქმის, ყველა ვერსიაში არსებობს. ეს ხელს აძლევს საზოგადოებასაც და გამოძიებასაც, მაგრამ იმედი მინდა ვიქონიო, რომ ამას ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღება"**, - განაცხადა ხაზანოვმა.

*24 საათი*

# საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოსამართლეთა ბედს შეცვლის

პირველი გვერდიდან

მოსარჩელეებმა და მათმა ადვოკატებმა საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიას არგუმენტირებულად დაუსაბუთეს, რომ მოსამართლე, რომლის მიმართაც სადისციპლინო საბჭოს მიერ გამოტანილია გადაწყვეტილება მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, მოკლებულია შესაძლებლობას, ეფექტურად დაიცვას თავისი უფლებები, წარადგინოს სასამართლოში მტკიცებულებები, იშუამდგომლოს მოწმეთა დაკითხვის თაობაზე, მოითხოვოს ექსპერტიზის დანიშვნა და ა.შ.

როგორც ჩვენთან საუბარში "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ერთ-ერთმა ადვოკატმა მანანა კობახიძემ განაცხადა, საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება დააფუძნა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტებზე და ცალსახად მიუთითა, რომ მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ მათი დისციპლინური საქმის არსებითი, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება და სასამართლო, რომელიც განიხილავს სადისციპლინო საქმეებს, უნდა აკმაყოფილებდეს ევროპის კონვენციით დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებს. კობახიძის განმარტებითვე, აღნიშნული გარემოებები საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა ჯერ კიდევ 2004 წელს 28 ივნისს მიღებული გადაწყვეტილებით საქმეზე "ზახტაძე საქართველოს წინააღმდეგ".

**"აღნიშნული გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლომ პარლამენტს მაშინვე დაავალა "საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" კანონში სათანადო ცვლილებების განხორციელება იმ მიმართულებით, რომ მოსამართლეთათვის გარანტირებული ყოფილიყო საქართველოს კონსტიტუციის 42-ე და ევროპის კონვენციის მე-6 მუხლებით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლება. თუმცა, პარლამენტმა საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილება აღასრულა არა იმთავითვე, არამედ წელიწადნახევრის დაგვიანებით, მხოლოდ მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართეს ყოფილმა მოსამართლეებმა, ჩვენი დაცვის ქვეს მყოფებმა - ალექსი მარიამიძემ და პაატა ქობულაძემ, რითაც პირდაპირ დაარღვია საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონი. შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ სწორედ ამ სარჩელებით ვაიძულეთ პარლამენტი, განეხორციელებინა საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც მნიშვნელოვანად გააუმჯობესებს მოსამართლეთა სამართლებრივი დაცვის მექანიზმებს"**, - განგვიცხადა ადვოკატმა მანანა კობახიძემ. მისივე მტკიცებით, პარლამენტმა სრულიად უმართებულოდ მიუთითა, რომ ეს ცვლილებები ძალაში შედის 2006 წლის მარტიდან, ეს კი ნიშნავს იმას, რომ მანამდე კვლავ იმოქმედებს მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოც და სასამართლოს მიერ მოსამართლეთა საჩივრების განხილვის კასაციის წესიც. აღნიშნული კი ისევ და ისევ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციასა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2004 წლის 28 ივნისისა და 2005 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებებით, კიდევ ერთხელ დადასტურებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

**"განხორციელებული ცვლილებებით, უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგია საერთოდ გაუქმდა, შეიქმნა უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა, რომელიც უკვე არსებითად განიხილავს მოსამართლეთა საჩივრებს, ნაცვლად აქამდე არსებული კასაციის წესისა. რაც მთავარია, აღარ იარსებებს მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭო, როგორც ინკვიზიციური ორგანო და მოსამართლეებს უფლება ექნებათ, დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება პირდაპირ სასამართლოში გაასაჩივრონ"**, - აცხადებს მანანა კობახიძე.




# ქართველი „კანონიერი ქურდი" სანკტ პეტერბურგში მოკლეს

*რუსეთში კიდევ ერთი ქართველი "კანონიერი ქურდი" მოკლეს. რამდენიმე დღის წინ ლენინგრადის ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანში მამუკა ცისკარაშვილი, მეტსახელად "კიო", მოკლეს. გავრცელებული ინფორმაციით, მომხადრი დანაშაული, შესაძლოა, ე.წ. ქურდულ გარჩევას უკავშირდებოდეს. გარდაცვლილის მეგობრები კი აცხადებენ, რომ იგი ხელისუფლებამ მოიშორა თავიდან, მკვლელი კი პოლიციელია. საქმეს სანკტ პეტერბურგის შინაგან საქმეთა სამინისტრო იძიებს.*

ზვიად რუაძე
კახეთი

"კანონიერი ქურდის" მამუკა ცისკარაშვილის ცხედარი რამდენიმე დღის წინ ლენინგრადიდან ჩამოასვენეს და გურჯაანში დაკრძალეს. მომხდარის შესახებ პოლიცია კომენტარს არ აკეთებს. გარადაცვლილის მეგობრები კი, რომლებიც რუსეთში "კიოსთან" ერთად ცხოვრობდნენ, მომხდარით გაოგნებულები არიან და მკვლელობის კონკრეტულ მიზეზებზე ვერ საუბრობენ.

ჩაცხრილვის ფაქტის შესახებ რამდენიმე ვერსია არსებობს. **"რუსეთში მასთან ერთად ვცხოვრობდი და არ გამიგია, რომ მას ვინმესთან დაპირისპირება მოსვლოდეს. ეჭვი კი შეიძლება ასეთი იყოს - იგი ხელისუფლებამ მოიშორა, მკვლელი კი პოლიციელია. ეს ეჭვი იმიტომ არის, რომ მამუკას იქ არავინ ჰყავდა განაწყენებული"**, - ამბობს მოკლული ქურდის მეგობარი, რომელიც ვინაობის გამხელისგან თავს იკავებს. მამუკა ცისკარაშვილის გადარჩენა, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოხერხდა, რადგან მას სასიკვდილო ჭრილობა კისრისა და გულმკერდის არეში რამდენჯერმე ჰქონდა მიყენებული. ოჯახის წევრები მომხდარზე ჯერჯერობით არ საუბრობენ.

მამუკა ცისკარაშვილი სანკტ პეტერბურგში ერთ წელწადს ცხოვრობდა. რუსეთში წასვლამდე იგი კახეთის სამხარეო პოლიციამ ანტიკრიმინალური ღონისძიების დროს დააკავა. მიზეზი, ტრადიციულად, **"ფ-1"-ის ტიპის ასაფეთქებელი ხელყუმბარისა და ნარკოტიკების შენახვა იყო. თუმცა, იგი ციხიდან მალევე გამოვიდა და თავი რუსეთს შეაფარა. "კახეთში სულ ორი კანონიერი ქურდი იყო - ერთი "კიო", მეორე კი სოფელ შაშიანში მცხოვრები ბიძინა ზურაბაშვილი. აღნიშნული პიროვნებები თავის დროზე სასჯელს იხდიდნენ. უნდა ითქვას, რომ ამჯერად რეგიონში ქურდები აღარ გვყავს, რადგან თუ ვინმე იყო დარჩენილი, ყველამ რუსეთს შეაფარა თავი"**, - "24 საათთან" სატელეფონო საუბარში განაცხადა კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსმა თეიმურაზ ანჯაფარიძემ.

რატომ მოკლეს მამუკა ცისკარაშვილი, უკავშირდებოდა თუ არა ეს მკვლელობა რომელიმე კრიმინალურ გარჩევას, გარეულია თუ არა ამ მკვლელობაში ხელისუფლება ან პოლიცია, ეს, წესით, სანკტ პეტერბურგის შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა გაარკვიოს. თუმცა, ამის ქურდული სამყაროს წარმომადგენლებს ნაკლებად სჯერათ. ისინი დამნაშავის ძებნას თავად განაგრძობენ და მკვლელს ქურდული ტრადიციებით გასამართლებას უპირებენ.

# შს მინისტრმა ათი საუკეთესო პოლიციელი და ხუთი ჟურნალისტი დააჯილდოვა

საქართველოს შს სამინისტრომ 2005 წლის ყველაზე წარმატებული ათი თანამშრომელი და ხუთი საუკეთესო ჟურნალისტი დააჯილდოვა. წლის წარმატებულ სპეცოპერაციად ჩაითვალა სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციები, როდესაც 300-მდე ნარკორეალიზატორი დააპატიმრეს. "წლის წარმატებული სპეცოპერაციისთვის" სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის უფროსი ერეკლე კოდუა დაჯილდოვდა.

"წლის გამომძიებად" დასახელდა აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის თბილისში ვიზიტის დროს თავისუფლების მოედანზე განხორციელებული ტერაქტის გამოძიება. ჯილდო კონტრტერორისტული ცენტრის უფროსს გიორგი გაბუნიას გადაეცა.

"წლის პატრულში" გამარჯვებული გახდა - თბილისის საპატრულო პოლიციის უფროსი გიორგი გრიგალაშვილი.

ნომინაციაში "წლის საქმე" - გამარჯვებულად დასახელდა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი დავით ახალაია.

"წლის დაკავებად" - გორის ტერაქტში ეჭვმიტანილების დაკავება ჩაითვალა; ჯილდო გადაეცა კონტრდაზერვის დეპარტამენტის უფროსს შალვა ჟღენტს.

"წლის მაშველში" საქართველოს შს სამინისტრომ გამარჯვებულად გამოავლინა ოსი ეროვნების მაშველი მერაბ გაზაევი.

"წლის პროფესიონალად" დასახელდა გენერალური ინსპექციის უფროსი ვასილ სანოძე. მინისტრმა ხუმრობით მას შს სამინისტროში "ყველაზე საძულველი ადამიანი" უწოდა.

"წლის წარმატების" ნომინაციაში ჯილდო გადაეცა შოთა ხიზანიშვილს. იგი შსს-ში რეფორმის განხორციელებას უწევს ზედამხედველობას. მინისტრმა მას "ყველაზე საყვარელი ადამიანი" უწოდა.

"წლის პოლიციელი" გახდა კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსი თემურ ანჯაფარიძე. შს სამინისტროდან წლის ყველაზე წარმატებული რესპონდენტი გახდა თბილისის პოლიციის თანამშრომელი ვახტანგ ქავთარაძე.

რაც შეეხება საუკეთესო ჟურნალისტებს, ნომინაციაში "წლის რეპორტაჟი" გაიმარჯვა ტელეკომპანია "იმედის" ჟურნალისტმა დაჩი გრძელიშვილმა. ნომინაციისთვის "წლის კადრი" დაჯილდოვდა გადაცემა "პატრულის" ოპერატორი დავით კოპალიანი. "წლის ექსკლუზივისთვის" ჯილდო გადაეცა "რუსთავი 2"-ის ჟურნალისტ ნანუკა ჟორჟოლიანს, "წლის საუკეთესო ინტერვიუსთვის" დაჯილდოვდა გაზეთ "24 საათის" ჟურნალისტი ინგა ალავიძე, ხოლო "წლის კრიტიკისთვის" - გაზეთ "ალიას" ჟურნალისტი რეზო შატაკიშვილი. მინისტრის განცხადებით, ამგვარი დაჯილდოვება 2006 წელსაც გაიმართება და ღონისძიება უფრო მასშტაბურ ხასიათს მიიღებს.

**ინტერპრესნიუსი**



**1**

იურიდიული ოფისი „გაპი“ და გაზეთი „24 საათი“

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

**2**

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო კუპონის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი კუპონები. ქსეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის კუპონები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, აჭსებს უფასო შეკითხვის კუპონის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

**3**

ყუთები განთავსებული არიან ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართზე:

1. მეტროს სადგური „ახმეტელის თეატრი“ (გლდანი);
2. მეტროს სადგური „მარჯანიშვილი“;
3. მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი“;
4. მეტროს სადგური „წერეთელი“;
5. მეტროს სადგური „სამგორი II“;
6. მეტროს სადგური „ვარკეთილი“;
7. მეტროს სადგური „გოცირიძე II“, (ყოფილი მეტროს სადგური „დელისი“);
8. მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანი I“;
9. მეტროს სადგური „დიდუბე“;
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპის“ ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის კუპონი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

"24 საათის" მკითხველისთვის

**ანა ცუცქირიძე**

მინდა გავხსნა ინდ.მეწარმე, ვაწარმოო ღვეზელი, ხორციანი ბლინი, ბულკი და ა.შ. გთხოვთ, განმიმარტოთ, რა არის საჭირო ამისათვის. ობიექტში შეტანისას დამჭირდება თუ არა ლიცენზია, სერთიფიკატი.

ქალბატონო ანა,

"მეწარმეთა შესახებ" კანონის მე-5 პრიმა მუხლის თანახმად:

**მუხლი 51. ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციის პირობები**

51.1. ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციისათვის ინდივიდუალური მეწარმე ან საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი დაზღვეული წერილით საგადასახადო ორგანოში გზავნის ან უშუალოდ წარადგენს ანკეტას 2 ეგზემპლარად.

51.2. ანკეტის შესავსებად პირს უფლება აქვს გამოიყენოს საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ანკეტა ან ანკეტის ასლი. ნებისმიერ პირს უფლება აქვს საგადასახადო ორგანოში დაუბრკოლებლად მიიღოს ანკეტა, აგრეთვე თავისუფლად და უნებართვოდ გადაიღოს ანკეტის ასლი.

51.3. ანკეტის ორივე ეგზემპლარი უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

51.4. შევსებული ანკეტა უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) საფირმო სახელწოდებას;

ბ) ინდივიდუალური მეწარმის სახელს, გვარს, საცხოვრებელ ადგილს და პირადობის მოწმობის (პასპორტის) ნომერს;

გ) ინდივიდუალური მეწარმის ხელმოწერას.

51.5. საგადასახადო ორგანო ვალდებულია ინდივიდუალური საწარმო რეგისტრაციაში გაატაროს ანკეტის წარდგენიდან 1 დღის ვადაში. დაუშვებელია ამ მუხლით გათვალისწინებულის გარდა რაიმე სხვა დოკუმენტის ან ინფორმაციის მოთხოვნა. თუ ამ ვადაში განმცხადებელს წერილობით არ ეცნობება მოტივირებული უარის შესახებ, ინდივიდუალური საწარმო რეგისტრირებულად ჩაითვლება. საგადასახადო ორგანო ვალდებულია რეგისტრირებულ ინდივიდუალურ საწარმოს მიანიჭოს სარეგისტრაციო ნომერი და დაუყოვნებლივ გასცეს შესაბამისი ცნობა.

51.6. თუ საგადასახადო ორგანოში პირის მიერ წარდგენილი ანკეტა აკმაყოფილებს ამ მუხლის მოთხოვნებს, საგადასახადო ორგანო მას უსვამს ბეჭედს და მიუთითებს რეგისტრაციის თარიღს და სარეგისტრაციო ნომერს, აგრეთვე გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერს.

51.7. ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციაზე უარის თქმა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ანკეტა არ არის წარდგენილი 2 ეგზემპლარად;

ბ) ანკეტის თითოეული ეგზემპლარი არ არის დამოწმებული სანოტარო წესით.

51.8. სამეწარმეო რეესტრში შეიტანება:

ა) ამ კანონის მე-5 მუხლის 51.4 პუნქტის "ა"-"გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემები;

ბ) რეგისტრაციის ნომერი და თარიღი.

51.9. ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციისათვის არ გადაიხდევინება სახელმწიფო ბაჟი, მოსაკრებელი ან სხვა რაიმე გადასახდელი.

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" 2005 წლის 24 ივნისის კანონის თანახმად, ჩამოთვლის რა, თუ რომელ საქმიანობას სჭირდება ლიცენზია და ნებართვა, არ მოიცავს თქვენ მიერ დასახელებულ საქმიანობას, აგრეთვე ამ კანონის მე-4 მუხლის თანახმად:

მუხლი 4. დამატებითი ლიცენზიისა და ნებართვის შემოღების დაუშვებლობა

1. ლიცენზირებადი საქმიანობის და სანებართვო ქმედების სფეროების ლიცენზიისა და ნებართვის სახეების ამომწურავ ჩამონათვალს განსაზღვრავს ეს კანონი. დაუშვებელია სხვა საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტით ლიცენზიისა და ნებართვის შემოღება ამ კანონით გაუთვალისწინებელ საქმიანობასა და ქმედებაზე.

2. დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ისეთი ვალდებულების შემოღება, რომელიც გულისხმობს რაიმე საქმიანობაზე ან ქმედებაზე შინაარსობრივად სალიცენზიო ან სანებართვო რეჟიმის დაწესებას ან რაიმე სახით ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობის აუცილებლობას.

**ნინო ნიკოლაიშვილი**

14 წელია გათხოვილი ვარ. მეუღლესთან მაქვს ხშირი კონფლიქტები, ამის გამო ჩვენ ერთმანეთს ვშორდებით. მყავს ორი შვილი (ქალ-ვაჟი). ბინა (3 ოთახიანი ე.წ. "ხრუშჩოვკა") შეძენილია ჩვენი ცოლ-ქმრობის პერიოდში და პრივატიზირებულია ჩემი ქმრის სახელზე. მეუღლესთან ჯვარი მაქვს დაწერილი და ხელი მოწერილი. მაინტერესებს, როგორ გაიყოფა ჩვენი ბინა და საერთოდ გვეკუთვნის თუ არა რაიმე ნაწილი ბინიდან მე და ჩემს შვილებს?

ქალბატონო ნინო,

სამოქალაქო კოდექსის შემდეგი მუხლების თანახმად:

**მუხლი 1158. მეუღლეთა თანასაკუთრება**

1. მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი.

**მუხლი 1161. მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრება**

თითოეული მეუღლის საკუთრებას წარმოადგენს:

ა. ქონება, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე;

ბ. ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით.

**მუხლი 1168. არასრულწლოვანი შვილების ინტერესების გათვალისწინება თანასაკუთრების გაყოფისას**

1. იმ ქონების გაყოფისას, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს, მეუღლეთა წილი თანაბარია, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს არასრულწლოვანი შვილების ინტერესების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების გათვალისწინებით; კერძოდ, ერთ-ერთი მეუღლის წილი შეიძლება გადიდდეს იმის გათვალისწინებით, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რომ ის შრომისუუნაროა, ანდა - თუ მეორე მეუღლე ხარჯავდა საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ.

3. აღნიშნული საფუძვლით სასამართლოს შეუძლია თითოეული მეუღლის საკუთრებად ცნოს ის ქონება, რომელიც შეძენილია თითოეული მათგანის მიერ ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის ან მათი ცალ-ცალკე ცხოვრების დროს.

**მუხლი 1171. თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა**

განქორწინებულ მეუღლეთა თანასაკუთრების ქონების გაყოფის თაობაზე მოთხოვნებისათვის დადგენილია ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

**მიხეილ ბერძენიშვილი**

ვერ გაგვირკვევია მცირე მეწარმეების რომელი კატეგორია არის განთავისუფლებული გადასახადისაგან. საგადასახადო გვეუბნება, არავინ არ არის განთავისუფლებულიო. მაინც გადასახადს ვიხდით. გთხოვთ, გამოაქვეყნოთ იმ კატეგორიის გადამხდელები, რომლებსაც ეკუთვნის შეღავათები და როდემდე, ერთი თუ ორი წლით როგორც პრეზიდენტმა დაგვპირდა. მაგალითად მაქვს მაღაზია 15 კვ/მ ფართი, მე თვითონ უმუშევარი ვარ, მყავს გამყიდველი, მეკუთვნის თუ არა გადასახადი? მაქვს ავტომანქანა ტაქსი ან სატვირთო ან ტრაქტორი, ვეწევი მეწარმეობას, მეკუთვნის თუ არა გადასახადი და რამდენი? გთხოვთ, პასუხი იყვეს ისეთი, რომელსაც საგადასახადო მიიღებს როგორც დოკუმენტს.

ბატონო მიხეილ,

საგადასახადო კოდექსის შემდეგი მუხლების თანახმად:

მუხლი 165. გადასახადის გადამხდელი საშემოსავლო გადასახადის გადამხდელია:

ა) რეზიდენტი ფიზიკური პირი.

მუხლი 167. გადასახადის განაკვეთი

ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 12 პროცენტით.

მუხლი 168. გადასახადისაგან განთავისუფლება

1. საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება ფიზიკურ პირთა შემოსავლების შემდეგი სახეები:

ლ) იმ მეწარმე ფიზიკურ პირთა შემოსავალი, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ახორციელებენ მხოლოდ "ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის" (NACE) შესაბამისად განსაზღვრული ცალკეული კატეგორიის ეკონომიკური საქმიანობიდან

ერთ-ერთს:

№ / საქმიანობის სახე / ფართობის მაქსიმალური ოდენობა მ² 1 2 3 სექცია A

1. / 01.41.1 ქვეკლასით გათვალისწინებული მომსახურება:
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანა, რომელიც ხორციელდება ტრაქტორებით ან კომბაინებით.

სექცია

2. / 17.51.1 ქვეკლასით გათვალისწინებული:
- ხალიჩებისა და ორხოვისებრი ნაწარმის წარმოება. 20

3. / 17.72.1 ქვეკლასით გათვალისწინებული:
- პულოვერებისა და ანალოგიური ნაწარმის წარმოება. 15

4. / 18.22.1 ქვეკლასით გათვალისწინებული:
- ზედა ტანსაცმლის წარმოება, გარდა მოდელების დემონსტრირებისა და ჩვენებისა. 10

5. / 18.23.1 ქვეკლასით გათვალისწინებული:
- საცვლების წარმოება. 10

6. / 18.24.1 ქვეკლასით გათვალისწინებული:
- თავსაბურავების წარმოება. 10

7. / 18.24.9 ქვეკლასით გათვალისწინებული:
- დანარჩენი ტანსაცმლისა და აქსესუარების წარმოება. 10

8. / 20.51.1 ქვეკლასით გათვალისწინებული:
- ხის სხვადასხვა ნაწარმის წარმოება
- ტანსაცმლისა და თავსაბურავების ხის საკიდების წარმოება;
- ხის საოჯახო ნივთებისა და სამზარეულოს საკუთნოების წარმოება. 20

9. / 26.21.1 ქვეკლასით გათვალისწინებული:
- ფაიფურისა და ქაშანურის სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ნაკეთობების წარმოება. 20

10. / 28.75.2 ქვეკლასით გათვალისწინებული:
- სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჭურჭლის და ინვენტარის წარმოება. 20

11. / 36.30 კლასით გათვალისწინებული:
- მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება
- აკორდეონებისა და ანალოგიური საკრავების, მათ შორის ტუჩის გარმონიკების წარმოება;
- სასულე მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება ინსტრუმენტების წარმოება. 15

12. / 36.62. კლასით გათვალისწინებული:
- ცოცხებისა და ჯაგრისების წარმოება. 10

სექცია

13. / 50.20 კლასით გათვალისწინებული:
- ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი. 40

14. / 52.7 კლასით გათვალისწინებული:
- საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი
- საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი, თუ ის ხორციელდება ამ საგნების წარმოების, საბითუმო და საცალო ვაჭრობისაგან დამოუკიდებლად, თუ რემონტი ხორციელდება საქმიანობის სხვა სახეობებთან ერთად, მაშინ იგი განეკუთვნება საცალო და საბითუმო ვაჭრობის ან ამ საქონლის წარმოების შესაბამის დაჯგუფებებს. 20

15. / 52.71 კლასით გათვალისწინებული:
- ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის რემონტი. 20

16. / 52.72 კლასით გათვალისწინებული:
- საყოფაცხოვრებო ელექტრონული ნაწარმის რემონტი. 20

17. / 52.73 კლასით გათვალისწინებული:
- საათებისა და საიუველირო ნაწარმის რემონტი. 2

18. / 52.74.1 ქვეკლასით გათვალისწინებული:
- ტანსაცმლის გადაკეთება და რემონტი. 10

19. / 52.74.9 კლასით გათვალისწინებული:
- საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი. 20

სექცია H

20. / 55.23.0 ქვეკლასით - სხვა საცხოვრებელი ადგილები - გათვალისწინებული:
- საცხოვრებელი ადგილების მოკლე ვადით გადაცემა სოფლის სახლებში (შალეებში), კოტეჯებში და ბინებში. 60 სექცია

21. / 74.85.0 ქვეკლასით გათვალისწინებული:
- სამდივნო და თარგმნითი მომსახურების გაწევა. 5

22. / 93.01.1 ქვეკლასით გათვალისწინებული:
- თეთრეულისა და სხვა საფეიქრო ნაწარმის რეცხვა და დამუშავება. 20

23. / 93.02.0 ქვეკლასით გათვალისწინებული:
- თმის დაბანა, შესწორება და კრეჭა, დაწყობა, შეღებვა, შეფერადება, დახვევა, გასწორება და ანალოგიური სამუშაოები მამაკაცებისთვის და ქალებისათვის, აგრეთვე გაპარსვა და წვერის შესწორება. 20

24. / 95.0 კლასით გათვალისწინებული:
- შინამეურნეობის გაძღოლასთან დაკავშირებული მომსახურება.

მ) 2007 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული

ფიზიკური პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული შემოსავალი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ამ ფიზიკური პირის მიერ ამ მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 100 000 ლარს.

მუხლი 169. გადასახადის გადამხდელი

1. მოგების გადასახადის გადამხდელია:

ა) საქართველოს საწარმო;

2. ამხანაგობა და სხვა ანალოგიური წარმონაქმნი მოგების გადასახადს

გადაიხდიან ამ კოდექსის 206-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 171. გადასახადის განაკვეთი

1. საწარმოს დასაბეგრი მოგება იბეგრება 20 პროცენტით, გარდა ამ მუხლის

მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.

მუხლი 172. გადასახადისაგან განთავისუფლება მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება:

ვ) 2007 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის

სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული მოგება, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ამ პირის მიერ ამ მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 100 000 ლარს;

ზ) 2007 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული მოგების ის ნაწილი, რომლის რეინვესტირებაც ხდება ამ საქმიანობის ფარგლებში;

თ) 2007 წლის 1 იანვრამდე ჟურნალ-გაზეთების მიწოდებით ან/და ჟურნალგაზეთებით სარეკლამო მომსახურების გაწევით მიღებული მოგება.

მუხლი 221. სავალდებულო რეგისტრაცია

1. პირი ვალდებულია გატარდეს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციაში, თუ:

ა) ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 100 000 ლარს; მან ამ მომენტის დადგომიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა საგადასახადო ორგანოში უნდა წარადგინოს განცხადება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის;

ბ) ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ახორციელებს აქციზური საქონლის წარმოებას ან/და იმპორტს, იგი უნდა გატარდეს რეგისტრაციაში აქციზური საქონლის მიწოდებამდე.

მუხლი 253. აქციზის გადამხდელი

1. აქციზის გადამხდელია პირი, რომელიც:

ა) აწარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში;

ბ) ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში;

გ) ახორციელებს შავი ან/და ფერადი ლითონების ექსპორტს.

2. დამკვეთის ნედლეულით საქართველოში წარმოებულ საქონელზე აქციზის გადამხდელად ითვლება საქონლის მწარმოებელი.

მუხლი 265. აქციზისაგან გათავისუფლება აქციზისაგან გათავისუფლებულია:

ა) ფიზიკური პირის მიერ საკუთარი მოხმარებისათვის წარმოებული ალკოჰოლური სასმელები;

ბ) ფიზიკური პირის მიერ 2 ლიტრი ალკოჰოლური სასმელისა და 200 ღერი სიგარეტის იმპორტი;

გ) საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებით შემომსვლელი პირის ავტოსატრანსპორტო საშუალების იმ სტანდარტულ ავზში არსებული საწვავი, რომელიც ძრავის კვების სისტემასთან კონსტრუქციულად და ტექნოლოგიურად არისდაკავშირებული.

მუხლი 266. გადასახადის გადამხდელი

სოციალური გადასახადის გადამხდელად ითვლებიან:

ა) დამქირავებელი;

ბ) საწარმო/ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი, რომელიც საქართველოში გაწეულ მომსახურებას უნაზღაურებს საგადასახადო ორგანოში გადამხდელად არარეგისტრირებულ ფიზიკურ პირებს;

გ) მეწარმე ფიზიკური პირები, ამხანაგობის წევრი ფიზიკური პირები (ამ კოდექსის 206-ე მუხლის შესაბამისად), რომლებიც საქართველოში ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას.

მუხლი 268. გადასახადის განაკვეთი

სოციალური გადასახადის განაკვეთი შეადგენს დაბეგვრის ობიექტის 20 პროცენტს.

მუხლი 270. გადასახადისაგან გათავისუფლება

სოციალური გადასახადისაგან გათავისუფლებულია:

ვ) ამ კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის "ლ" და "მ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ფიზიკურ პირთა შემოსავალი;

ზ) 2007 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული

და საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით დაკავებული პირის მიერ აღნიშნულ საქმიანობაში დაქირავებულისათვის გადახდილი ანაზღაურება, თუ კალენდარული წლის განმავლობაში დამქირავებლის მიერ ამ მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 100 000 ლარს.

მუხლი 272. დაბეგვრის ობიექტი

1. საქართველოს საწარმოსათვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, დაუმთავრებელი კაპიტალური დაბანდებანი და არამატერიალური აქტივები.

3. ორგანიზაციებისათვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის ბალანსზე რიცხული ქონება ან ქონების ნაწილი, რომელიც გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის.

4. ფიზიკური პირისათვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის საკუთრებაში არსებული:

ა) უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობები ან მათი ნაწილი), გარდა ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონებისა;

ბ) ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონება;

გ) საქართველოში დადგენილი წესით რეგისტრირებული მსუბუქი ავტომობილები (საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდით გათვალისწინებული საქონელი);

დ) საქართველოში დადგენილი წესით რეგისტრირებული იახტები (კატარღები), თვითმფრინავები, შვეულმფრენები.

5. საქართველოს ან უცხოური საწარმოსათვის, ორგანიზაციისათვის ან/და ფიზიკური პირისათვის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

ა) საკუთრებაში არსებული მიწა;

ბ) კოდექსით გათვალისწინებულ სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა.

მუხლი 273. გადასახადის განაკვეთები

1. ამ კოდექსის 272-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით განსაზღვრულ დაბეგვრის ობიექტებზე გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების (გამოიანგარიშება წლის დასაწყისისა და წლის ბოლოსათვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით) არა უმეტეს 1 პროცენტის ოდენობით.

2. ამ კოდექსის 272-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ დაბეგვრის ობიექტზე გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება ქონების ღირებულების (გამოიანგარიშება ამ კოდექსის 211-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრული აქტივების ღირებულებისა და 183-ე მუხლის მე-3 ნაწილში მოცემული ამორტიზაციის ნორმების გათვალისწინებით) არა უმეტეს 1 პროცენტის ოდენობით.

3. ამ კოდექსის 272-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულ დაბეგვრის ობიექტზე გადასახადის განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით და განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

ა) კალენდარული წლის განმავლობაში 40 000 ლარიდან 60 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,05 პროცენტისა და არა უმეტეს 0,2 პროცენტისა;

ბ) კალენდარული წლის განმავლობაში 60 000 ლარიდან 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,2 პროცენტისა და არა უმეტეს 0,4 პროცენტისა;

გ) კალენდარული წლის განმავლობაში 100 000 ლარი და მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,4 პროცენტისა და არა უმეტეს 0,8 პროცენტისა.

4. ამ კოდექსის 272-ე მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ დაბეგვრის ობიექტზე გადასახადის განაკვეთი დიფერენცირებულია მსუბუქი ავტომობილის სახეობების ძრავის მოცულობის და ხნოვანების მიხედვით.

6. ამ კოდექსის 272-ე მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრულ პირთათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის საბაზისო განაკვეთი დიფერენცირებულია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და მიწის ხარისხის მიხედვით და დგინდება წელიწადში ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით, ლარებში.

7. ამ მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრულ მიწაზე ქონების გადასახადის საბაზისო განაკვეთები კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის მიწის ხარისხისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, შეიძლება გადიდებულ ან შემცირებულ იქნეს არა უმეტეს 50 პროცენტით.

8. ამ კოდექსის 272-ე მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრულ პირთათვის, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის საბაზისო განაკვეთი დგინდება წელიწადში მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე ქონების არა უმეტეს 0,24 ლარის ოდენობით.

9. ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრებისათვის დადგენილი განაკვეთით იბეგრება ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისათვის შესაბამისი ლიცენზიის გაცემის

საფუძველზე გამოყოფილი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა.

მუხლი 276. გადასახადისაგან გათავისუფლება

1. ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია:

ა) ამ კოდექსის 272-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტის მესაკუთრე, რომლის ოჯახის მიერ კალენდარული წლის

განმავლობაში მიღებული შემოსავალი არ აღემატება 40 000 ლარს;

ღ) 2004 წლის 1 მარტის მდგომარეობით ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული, 5 ჰექტრამდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

მუხლი 206. თანამფლობელობა

იურიდიული პირის დაფუძნების გარეშე ერთზე მეტი პირის საკუთრების ბაზაზე ამხანაგობის ან სხვა წარმონაქმნების ერთობლივი ფლობის (თანამფლობელობის)

შემთხვევაში დასაბეგრი მოგება (შემოსავალი) მიეკუთვნება მათ მფლობელებს წილის შესაბამისად და ჩაირთვება მათ ერთობლივ შემოსავალში.

მუხლი 25. საწარმო

1. საწარმოდ ითვლება შემდეგი წარმონაქმნები, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას ან შექმნილნი არიან ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად:

ა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირები;

გ) გაერთიანებები, ამხანაგობები და სხვა მსგავსი წარმონაქმნები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით.

2. საწარმოს არ განეკუთვნება ინდივიდუალური საწარმო.

**ნოდარ გადილია**

მაქვს კაფე გარკვეული შემოსავლის მქონე, არ ვიხდი დღგ-ს. შესყიდულ პროდუქტებზე ვადგენ საგადასახადო დოკუმენტებს შემდეგნაირად:

1. იურიდიული პირისაგან: - სალაროს ჩეკი,
- ვადგენ შემოსავლის ფაქტურას ნაყიდი პროდუქტების ჩამონათვალით და ფასებით, მაღაზიის მისამართით, გამყიდველის გვარითა და საიდენტიფიკაციო ნომრით.

2. ფიზიკური პირისაგან შეძენილი სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე:
- ბაზრის მისამართი,
- ადგილის ნომერი,
- გამყიდველის გვარი, სახელი და საცხოვრებელი მისამართი, შესაბამისად ვადგენ შემოსავლის ფაქტურას.

გთხოვთ, დამიდასტუროთ, მისაღებია თუ არა ასეთი საგადახადო დოკუმენტი?

ბატონო ნოდარ,

საგადასახადო კოდექსის შემდეგი მუხლების თანახმად:

მუხლი 93. გადასახადით დასაბეგრი ობიექტების აღრიცხვა 1. გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი ვალდებულია აწარმოოს სააღრიცხვო დოკუმენტაცია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იმ ოპერაციებზე, რომლებიც წარმოშობს:

ა) აღნიშნული პირის საგადასახადო ვალდებულებას;

ბ) აღნიშნული პირის მიერ გადასახადის დაკავების ვალდებულებას;

გ) აღნიშნული პირის მიერ საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებით მონაცემების წარდგენის ვალდებულებას.

2. პირველად საგადასახადო დოკუმენტად მიიჩნევა წერილობითი საბუთი, რომელშიც უნდა აღინიშნოს:

ა) დოკუმენტის დასახელება;

ბ) დოკუმენტის შედგენის თარიღი;

გ) დოკუმენტის ნომერი, რომლის განმეორება აკრძალულია;

დ) სამეურნეო ოპერაციის მონაწილე მხარეთა რეკვიზიტები (ფიზიკური პირის შემთხვევაში - სახელი და გვარი, გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი, დოკუმენტის გამცემი ორგანოს დასახელება და მისი გაცემის თარიღი; სხვა პირის შემთხვევაში - პირის სრული დასახელება, მისი მისამართი, გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი);

ე) სამეურნეო ოპერაციის შინაარსი;

ვ) გადაცემული საქონლის/მომსახურების დასახელება (სრული ჩამონათვალი), მისი ოდენობა და ზომის ერთეული (თუ შესაძლებელია მისი ოდენობისა და ზომის განსაზღვრა);

ზ) გადაცემული საქონლის/მომსახურების ღირებულება (ჩამონათვალის მიხედვით);

თ) აქციზისა და დღგ-ის თანხა (აქციზურ საქონელზე);

ი) დღგ-ის თანხა (დღგ-ით დასაბეგრ არააქციზურ საქონელზე/მომსახურებაზე);

კ) სამეურნეო ოპერაციის მონაწილე მხარეთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების სახელი, გვარი და ხელმოწერა.

3. პირველადი საგადასახადო დოკუმენტი დგება არანაკლებ ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება პირს, რომელმაც შეადგინა და გასცა აღნიშნული დოკუმენტი, ხოლო მეორე გადაეცემა და ინახება იმ პირთან, რომლისთვისაც განკუთვნილია ეს დოკუმენტი.

4. თუ გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის სააღრიცხვო და სხვა დოკუმენტები შედგენილია უცხოურ ენაზე და ისინი გაუგებარია საგადასახადო ორგანოსათვის, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია მოითხოვოს მათი თარგმნა სახელმწიფო ენაზე.

5. თუ გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი სააღრიცხვო დოკუმენტაციას აწარმოებს ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით, იგი ვალდებულია, საგადასახადო კონტროლის განხორციელების ფარგლებში, საგადასახადო ორგანოს მოთხოვნისთანავე წარუდგინოს სააღრიცხვო დოკუმენტის ქაღალდზე ამობეჭდილი ასლი.

6. გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი ვალდებულია შეინახოს სააღრიცხვო დოკუმენტაცია იმ კალენდარული წლის დამთავრებიდან, რომელსაც იგი მიეკუთვნება, არანაკლებ 6 წლის განმავლობაში. მუხლი 100. გადასახადის გადამხდელთა აღრიცხვა .

1. საწარმო/ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი ვალდებულია, რეგისტრაციიდან ან ეკონომიკური საქმიანობის დაწყებიდან 10 დღის ვადაში, საგადასახადო აღრიცხვის შესახებ განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს თავისი საქმიანობის ადგილის მიხედვით.

2. "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ფიზიკური პირი ვალდებულია საგადასახადო აღრიცხვის შესახებ განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების ადგილის მიხედვით, ეკონომიკური საქმიანობის დაწყებიდან 10 დღის ვადაში.

3. ფიზიკური პირი, გარდა ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ფიზიკური პირებისა, ვალდებულია საიდენტიფიკაციო ნომრის მისაღებად მიმართოს საგადასახადო ორგანოს თავისი საცხოვრებელი ადგილის

მიხედვით, მიმდინარე გადასახადების გადახდის ან საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადამდე არანაკლებ 10 დღით ადრე.

4. თუ გადასახადის გადამხდელს საგადასახადო აღრიცხვის ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით აქვს სირთულეები, მის მიერ წარდგენილი მონაცემების საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს საგადასახადო ორგანო.

**სიმონ ლომსაძე**

2000 წლამდე გადაყვანის წესით ვმუშაობდი რკინიგზის N1 პროფსასწავლებლის დირექტორად. 1988 წელს მომენიჭა დამსახურებული მასწავლებლის წოდება, რისთვისაც ხელფასზე გარკვეულ დანამატს ვღებულობდი. 2000 წლის მარტში პროფსასწავლებელი რკინიგზის უფროსმა გააუქმა და გადაყვანის წესით გადამიყვანეს რკინიგზის სასწავლო ცენტრში, დღეს უკვე რკინიგზის ინსტიტუტი. მიუხედავად ჩემი წერილობითი მოთხოვნისა ხელფასზე დანამატს არ მაძლევდნენ. დღეს ინსტიტუტში ის განყოფილება, სადაც მე ექვსი წელი ვიმუშავე, რკინიგზის უფროსის ბრძანებით გაუქმდა. ინსტიტუტის იურისტმა ჩემს მოთხოვნაზე წერილობით მიპასუხა, რომ ინსტიტუტი არის კერძო სამართლის სუბიექტი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ ფინანსდება და თქვენი მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდებაო. დღევანდელი რკინიგზის ინსტიტუტი ხომ რკინინიგზის ცენტრის სამართალ მემკვიდრეა, რატომ არ მეკუთვნის დამატება ხელფასზე წოდებისათვის?

ბატონო სიმონ,

"საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და "შრომის კანონთა კოდექსის" 75-ე მუხლის თანახმად:

მუხლი 37. შრომითი გასამრჯელო (ხელფასი)

1. ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას, საჯარო სამსახურში წელთა ნამსახურობისათვის დაწესებულ და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს.

მუხლი 75. შრომის ანაზღაურება

1. მუშაკისათვის შრომის ანაზღაურება ხდება შრომის ოდენობისა და ხარისხის მიხედვით.

2. შრომის ანაზღაურებისას აკრძალულია რაიმე შეზღუდვა მუშაკის რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

3. მუშაკისათვის შრომის ანაზღაურება ხდება შრომის ხელშეკრულებით (კონტრაქტით) დადგენილი წესითა და პირობებით. თუ საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაცია ჩათვლის მიზანშეწონილად, შეიძლება გამოიყენონ სატარიფო სისტემა. სატარიფო სისტემით ანაზღაურების პირობები განისაზღვრება შრომის ხელშეკრულებით (კონტრაქტით).

4. თანამდებობის პირის, სპეციალისტია და მუშაკის შრომის ანაზღაურების თანამდებობრივ სარგოებს განსაზღვრავს ადმინისტრაცია მუშაკის თანამდებობისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით შრომის ხელშეკრულებით (კონტრაქტით) დადგენილი წესით მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

"საჯარო სამსახურის შესახებ" კანონი არეგულირებს იმ ურთიერთობებს, რაც დაკავშირებულია საჯარო მოსამსახურეთა მუშაობასთან სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში და შესაბამისად ამ კანონის ნორმები ვრცელდება საჯარო მოსამსახურეებზე, ხოლო რაც შეეხება კერძო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, მათში მომუშავე პირებზე ვრცელდება "შრომის კანონთა კოდექსის" ნორმები.

# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

## მიმართვა

### საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს
### საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს
### საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ზურაბ ნოღაიდელს

დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე უმთავრესი და გადამწყვეტი არის მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დაბრუნება და საქართველოს იურისდიქციის გავრცელება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

საქართველოს ყოფილი ხელისუფლების და რუსეთის დანაშაულებრივი პოლიტიკის გამო აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობა აღმოჩნდა ჩათრეული საომარ მოქმედებებში, რომლის შედეგად იქიდან გამოდევნილი ქართველები, უკვე 13 წელზე მეტია, ვერ ბრუნდებიან მშობლიურ ადგილებში, სადაც მათ ელოდებათ წინაპართა უმეთვალყურეოდ მიტოვებული საფლავები.

ამ ურთულესი პრობლემის მოგვარების გზაზე, განსაკუთრებით მისასალმებელია საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები საერთაშორისო არენაზე.

ჩვენთვის გასაგებია ისიც, რომ ურთულესი კონფლიქტების გადაწყვეტის გასაღები, მათ შორის, ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური მხარეების ურთიერთშეთანხმებაშია.

უეჭველია, რომ სახალხო დიპლომატიას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად ქვეყნის ძლიერი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა მიგვაჩნია.

აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ქართული მოსახლეობა, რომელიც ადრე არაერთხელ აღმოჩენილა "განტევების ვაცის" მდგომარეობაში, თბილისსა და სოხუმს, თბილისსა და ცხინვალს შორის დადებული შეთანხმების შედეგად, იმედს იტოვებს, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება მაინც ერთგული იქნება დემოკრატიული თანასწორუფლებიანი პრინციპებისადმი.

ჩვენ, საზოგადოებრივი მოძრაობა "საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის", რომელიც აერთიანებს ომის ვეტერანებს, დევნილი საზოგადოების სამეცნიერო-პედაგოგიური და შემოქმედებითი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებს, მოვითხოვთ:

რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ძალები, რომლებიც რეალურად სასაზღვრო ძალების ფუნქციებს ასრულებენ, ხშირ შემთხვევაში გამოდიან დაძაბულობის ინიციატორად, ხელს უწყობენ არალეგალურ ბიზნესს, უპირობოდ გაყვანილ იქნან საქართველოს ტერიტორიიდან.

წინა ხელისუფლების მიერ დადებული, საქართველოსათვის საზიანო ხელშეკრულებების დენონსაციას: "1994 წლის 4 აპრილი, მოსკოვი, "ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების შესახებ"; 1994 წლის 9 აპრილი, სოჭი, "ლტოლვილთა და ადგილნაცვალთა ნებაყოფლობითი დაბრუნების საკითხზე ოთხმხრივი კომისიის პირველი შეხვედრის შედეგების შესახებ"; 1994 წლის 14 მაისი, მოსკოვი "შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ" და სხვა.

განხორციელდეს ერთობლივი მხოლოდ ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური პროექტები.

საქართველოს ხელისუფლების მიერ აფხაზური მხარისათვის შემოთავაზებულ კონცეფციაში აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული აფხაზეთის მკვიდრ ქართველთა პოლიტიკური და სოციალური ინტერესები.

დევნილი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, 2006 წელს დევნილთა შემწეობის თანხის გაზრდა 30 ლარამდე.

ცენტრალურმა ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს აფხაზეთის მკვიდრ ქართველთა და აფხაზთა, აგრეთვე, ცხინვალის რეგიონის ქართველთა და ოსთა პირდაპირ ფართო დიალოგს სამთავრობო თუ არასამთავრობო ხაზით.

## მოკლედ

### სოჭი-სოხუმი

2006 წლის იანვრიდან ელექტრომატარებლის სოჭი-სოხუმის მოძრაობა აღდგება.

ამის შესახებ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში და ჩრდილოკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსი ვლადიმირ ვოროზიოვი სოხუმში გამართულ შეხვედრაზე შეთანხმდნენ.

სოხუმის ხელისუფლების სახელმწიფო ინფორმაციის სამმართველოს ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეთა წარმომადგენლებმა აფხაზეთის გავლით სოჭი-თბილისის სარკინიგზო მიმოსვლის სავარაუდო აღდგენასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს.

სოჭი-სოხუმის სარკინიგზო მონაკვეთზე ელექტრომატარებლის მოძრაობა მიმდინარე წლის ივნისში გაგრის რაიონში წყალდიდობის შედეგად რკინიგზის მონაკვეთის სერიოზული დაზიანებისა და დატბორვის გამო შეწყდა.

აფხაზეთის რკინიგზის სამმართველოს ინფორმაციით, წყალდიდობით დაზიანებული მონაკვეთის აღდგენა სწრაფად დასრულდა, მაგრამ რუსეთ-საქართველოს საზღვართან ახლოს მეწყერმა სარკინიგზო მონაკვეთზე ენერგოსისტემის საყრდენები დააზიანა და ამჟამად მათი შეცვლის სამუშაოები მიმდინარეობს.

სოჭი-სოხუმის სარკინიგზო მონაკვეთზე ელექტრომატარებლის მოძრაობა, ქართული მხარის პროტესტის მიუხედავად, 2002 წლის 25 იანვარში აღდგა.

### "აფხაზვინო"

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი სახელმწიფო საწარმო "აფხაზვინო" 2006 წელს მოსკოვში 3 მილიონ ბოთლ ღვინოს შეიტანს.

"აფხაზვინოს" გენერალური დირექტორის ვალერი ავიძბას განცხადებით, საწარმოში მიმდინარე ტექნიკური და ტექნოლოგიური გადაიარაღების შემდეგ, 2006 წელს საწარმო გამოშვებული პროდუქციის რაოდენობას მნიშვნელოვნად გაზრდის.

მისივე თქმით, ხარისხიანი პროდუქციის გამოშვება, ძირითადად, მოლდოვას ღვინის საწარმოებთან დადებულ ხელშეკრულებებს უკავშირდება. აფხაზეთში ხარისხიან ღვინომასალებს მოლდოვადან, ბოთლებს - ჩეხეთიდან, ხოლო საცობებს პორტუგალიიდან შეიტანენ.

ავიძბას მტკიცებით, შემოტანილი ღვინომასალების გარდა, ყურადღება მიექცევა ყურძნის ტრადიციული აფხაზური ჯიშების "კაჭიჭის", "ალასარხუს" და "ამლახუს" აღორძინებას.

"აფხაზვინოს" გენერალური დირექტორის ინფორმაციით, ერთ-ერთი მოსკოვური ფირმის დაკვეთით, 2006 წელს, საწარმო მოსკოვში 10-ზე მეტი დასახელების 3 მილიონამდე ბოთლ ღვინოს შეიტანს. მოსკოვში შესატან ღვინოებს შორისაა "ლიხნი", "აფხაზეთი" და "ანაკოპია".

### "ერთობა"

საზოგადოებრივი მოძრაობა "ერთობა" გალის რაიონის თავად-აზნაურთა გვარის წარმომადგენლებსა და მათ თანამოაზრეებს აერთიანებს. ქალაქ გალში მოძრაობის დაფუძნების პრეზენტაციაში მონაწილეობა რაიონის საზოგადოებრიობის, გაეროს მისიისა და სოხუმში მოქმედი ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრის წარმომადგენლებმა მიიღეს.

მოძრაობა, რომლის დამფუძნებლები თავად-აზნაურთა გვარების ინალ-იპას, ზუხბაიას, მაანის, ემხაას წარმომადგენლები არიან, მიზნად გალის რაიონში თავად-აზნაურთა ტრადიციებისა და ისტორიული ძეგლების აღორძინებას, სოფლებში დიხაზურგაში, რეჩხში, ნაბაკევში, ჭუბურხინჯსა და ოქუმში საგვარეულო სალოცავების აღდგენას და გიმნაზიის გახსნას ისახავს, რომელშიც არამარტო თავად-აზნაურთა შთამომავლები მიიღებენ სწავლა-განათლებას.

მოძრაობა "ერთობის" საინიციატივო ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში 10 დამფუძნებელია, მოძრაობის ხელმძღვანელად სოფელ რეჩხის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი დიანა ინალიშვილი (ინალ-იპა) აირჩიეს.

"ჩვენს რაიონში ბიბლიოთეკის, სამურზაყანოს თავად-აზნაურობის მუზეუმის გახსნას ვგეგმავთ. ამის გარდა, ჩვენ ვამზადებთ დოკუმენტებს სამურზაყანოს რეპრესირებულ თავად-აზნაურთა შესახებ. უდანაშაულო ხალხი რეაბილიტირებული უნდა იქნეს," - აცხადებს დიანა ინალიშვილი.

*ინტერ-პრესი*

**პროექტი "თქვენი აფხაზეთი"**
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი"**, ყოველ ოთხშაბათს და საიტზე - www.yourabkhazia.ge; forum.yourabkhazia.ge

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

# მე დავბრუნდები!

დავით ბარათელი

*"მაკვირვებს საქართველოს ხელისუფლების ცალკეულ წარმომადგენელთა სამხედრო რიტორიკა. ჩვენ და აფხაზებმა ხომ ერთად უნდა ვიცხოვროთ?!" - აცხადებს დევნილი იზოლდა ჭანია, რომელსაც მიაჩნია, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირებას ალტერნატივა არ გააჩნია.*




იზოლდა ჭანია გამონაკლისი როდია იმ დევნილებს შორის, რომლებიც ამგვარად ფიქრობენ – ჯერ კიდევ მარტში აფხაზეთის საინფორმაციო პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, გამოკითხულ დევნილთა 87 პროცენტი კონფლიქტის დარეგულირების მშვიდობიან მეთოდს ანიჭებდა უპირატესობას. საინტერესოა, რომ გამოკითხულთა შორის არ ჭარბობდნენ შვილმკვდარი დედები და ექსკომბატანტები – ახალგაზრდობა, რომელსაც ომის სისასტიკე ბუნდოვნად ახსოვს, ჩატარებული ინტერაქტივის ყველაზე აქტიური და მრავალრიცხოვანი მონაწილე იყო.

სამშვიდობო პროცესის უალტერნატივობაზე, დევნილებისგან განსხვავებით, ხელისუფლებიდან 2005 წელს ცოტა თუ ლაპარაკობდა. პარამილიტარისტულ განცხადებებს, ძირითადად, ისინი აკეთებდნენ, ვისთვისაც კონკრეტულ ვითარებაში საკუთარი რეიტინგის ამაღლება უფრო მნიშვნელოვანი იყო.

დევნილთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, 2005 წელი სხვა პოსტკონფლიქტური წლებისგან არსებითად არ განსხვავდებოდა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებულ უდავოდ მნიშვნელოვან აქციებს კოდორში, სამეგრელოსა და იმერეთში, დევნილებს ისევე უჭირდათ, როგორც გასულ წლებში. ვითარება არ მოწესრიგებულა კოდორის ხეობაშიც. მიტოვებული ხეობის მონახულების სურვილი ცენტრალური ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს არ გასჩენია, ხოლო ავტონომიის ხელისუფლების ლიდერთა ხანმოკლე და ხანგრძლივი ვიზიტების დროს, მკვიდრი მოსახლეობა, ძირითადად, იმაზე საუბრობდა, რომ კოდორში გზა არ არის, გაუქმებულია თავდაცვითი ფუნქციების მქონე ბატალიონი "მონადირე", დაუსაქმებელთა რაოდენობა დღითიდღე მატულობს და ხეობა ცარიელდება. ხეობაში ჩასულ ხელისუფალთა პიროვნულმა ავტორიტეტმა ხეობის მოსახლეობაზე 2005 წელს გაჭრა. გაჭრის თუ არა ეს "შარმი" 2006 წელს, ძნელი სათქმელია.

უფრო ძნელი სათქმელია, რამდენად მოახერხებენ საერთაშორისო ორგანიზაციები და ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლები (გვარებს შეგნებულად არ ვასახელებთ) სამშვიდობო პოლიტიკის უალტერნატივობის ლობირებას 2006 წელს. ახალგაზრდა "ნაციონალთა" მზარდი მადა და სპონტანური გამარჯვებებით თვითტკბობა, რომელიც 2003 წელს, "ვარდების რევოლუციის" დროს დაიწყო და "აჭარის ლომის" გაძევებით გამძაფრდა, მაჭრის ღვინოდ გადაქცევის საფუძველს არ იძლევა. არადა, აჭარის დედა-სამშობლოში დაბრუნებისგან განსხვავებით, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაბრუნება მხოლოდ PR-აქციებით წარმოუდგენელია. გარდა ჭკუისა და გონებისა, ხელისუფლებას მოთმინების უნარიც უნდა ჰქონდეს და ცალკეულმა წარუმატებლობებმა, კრიმინალური ვითარების დაძაბვამ თუ ადამიანის უფლებათა დარღვევის მზარდმა სტატისტიკამ მოთმინების ძაფი არ უნდა გაუწყვიტოს.

**"ღირსეული დაბრუნება ის დაბრუნებაა, როდესაც აფხაზები და ქართველები საერთო ფასეულობათა სისტემას შექმნიან და არა ის, რასაც ამ სიტყვაში ხელისუფლების წარმომადგენლები გულისხმობენ. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ დაბრუნების შემდეგ აფხაზები მოტყუებულ მდგომარეობაში არ უნდა აღმოჩნდნენ, მათ კი არ უნდა ინანონ, რომ წამოვიდნენ სამშვიდობო დიალოგზე, გაგვიხსნეს გზა გალისკენ, ოჩამჩირისკენ, სოხუმისკენ თუ გაგრისკენ, არამედ თავიანთი გადაწყვეტილებით უნდა იამაყონ, რომ ეფემერული დამოუკიდებლობა არაეფემერულ და რეალურ ფასეულობებზე, მშვიდობაზე, თანასწორუფლებიანობაზე და დემოკრატიაზე გაცვალეს,"** - ამბობს დევნილი არკადი ეფემია, რომელიც ერთ-ერთია მათ შორის, ვინც ტერიტორიული მთლიანობისთვის იბრძოდა.

სამშვიდობო პროცესის უალტერნატივობაზე საუბარი ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის არცთუ პოპულარულია, "...დიახ, ჩვენ ვირჩევთ მშვიდობას, მაგრამ, თუ...". ეს "მაგრამ" და "თუ" ენგურგაღმა სივრცეში ძალიან აღიზიანებთ.

**"მე ვიცნობ აფხაზს, რომელიც ომობდა, რომელიც გამარჯვებულია, მაგრამ ამ გამარჯვებით არ გაგიჟებულა, ის ფიქრობს, იცხოვროს თუ არა ერთიან სახელმწიფოში, თან უნდა და თან ეშინია. ამბობს, ახლა რომ გვემუქრებით, მერე წარმომიდგენია, რაღას იზამთო. აფხაზეთში პოპულარულია ანდაზა: წავეჩხუბეთ ძაღლებს (იგულისხმებიან ქართველები) და დავმეგობრდით ღორებთან (იგულისხმებიან რუსები). ჩემი ნაცნობი ამბობს, რომ ქართველები პუდელები ვერ გახდებიან და ეს კარგია, მაგრამ, არც ბულტერიერობას გვირჩევს,"** - გვითხრა ლევან სიხარულიძემ, რომელიც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელია. მისი ორგანიზაცია საზოგადოებების წარმომადგენლობებს შორის დიალოგის გამართვის პროექტებზე მუშაობს.

სტერეოტიპი, რომ რუსები ისეთები არ არიან, როგორიც უნდა ყოფილიყვნენ, აფხაზებს მაშინ ჩამოუყალიბდათ, როდესაც პირველი "დემოკრატიული" არჩევნები ჩატარდა და რუსეთმა ხაჯიმბას მხარდაჭერა გადაწყვიტა. მოკლე ისტორიული მეხსიერების კავკასიელ ხალხებს, წლების შემდეგ, შესაძლოა, რუსეთის იმპერიალიზმის გამოვლინებები ისევე დაავიწყდეს, როგორც რუსების მიერ მე-19-ე საუკუნეში განხორციელებული, აფხაზების ეთნიკური წმენდა და გენოციდი დაავიწყდა აფხაზ ხალხს, მაგრამ, ისიც უდავოა, რომ მოცემულ ეტაპზე ქართულ მხარეს აფხაზებისთვის საკუთარი სახით რუსების ალტერნატივის შეთავაზება მართებს.

**"რომელიღაც საჯარო პირი ამბობდა, აფხაზი საზოგადოების დეიზოლაცია უნდა მოხდესო და ვეთანხმები. შავი ხვრელების არსებობას მსოფლიო არ დაუშვებს. რომელიღაც ეტაპზე, თვით რუსეთშიც კი (აღარაფერს ვამბობ ბელორუსზე, ტაჯიკეთზე, და ა.შ) ერთადერთი უალტერნატივო დემოკრატია გაიმარჯვებს და ამ პირობებში აფხაზი ერის იზოლაციონიზმი წარმოუდგენელი იქნება,"** - ასეთ იმედს გამოთქვამს აშშ-ში განათლებამიღებული ექსპერტი ქეთევან სარჯველაძე.

"მე დავბრუნდები აფხაზეთში," - ეს ლოზუნგი აქტუალური მაშინაც უნდა იყოს, როდესაც დაბრუნების კონტურები მართლა გამოიკვეთება. ოპტიმისტები ვარაუდობენ, რომ 2006 წელს ყველაფერი იმაზე უკეთ წარიმართება, ვიდრე 2005 წელს იყო. განახლებული, ძირითადად, "გაუპიარებელი" ქართულ-აფხაზური დიალოგი ამის საფუძველს იძლევა. ვნახოთ!

# "შოკირებული ვარ"

*ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) უფლებების საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენლის ვალტერ კელინის საქართველოში ვიზიტი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის მოწვევით გაიმართა, მძიმე შთაბეჭდილებებით დასრულდა. სამი დღის განმავლობაში, თბილისის გარდა, იგი ეწვია აფხაზეთს, სამეგრელოს რეგიონსა და სამხრეთ ოსეთს. შეხვდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს, სახელმწიფო მინისტრს კონფლიქტების მოგვარების საკითხებში, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს და აფხაზეთის დევნილობაში მყოფი მთავრობის თავმჯდომარეს. ასევე შეხვდა დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს აფხაზეთსა და ცხინვალში. დისკუსიები გამართა საერთაშორისო სააგენტოებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. გაესაუბრა კომპაქტური ჩასახლების ცენტრებსა და დაბრუნების ადგილებში მცხოვრებ დევნილებს.*


*ვალტერ კელინი.*

**"მე შოკირებული ვარ იმ გაუსაძლისი ყოფის ხილვით, რომელშიც დევნილთა ნაწილი საომარი მოქმედებების დასრულებიდან ათწლეულის შემდეგ კვლავ იმყოფება. დევნილებს უწევთ დამატებით სხვა ისეთ პრობლემებთან გამკლავება, რაც მოსახლეობის დანარჩენი ნაწილის წინაშე არ დგას. ისინი არა მხოლოდ იძულებულნი იყვნენ მიეტოვებინათ ნორმალური ცხოვრება და, ხშირ შემთხვევაში, დაეტოვებინათ რაც კი რამ გააჩნდათ, არამედ მათგან ბევრს თითქმის დანგრეულ, კომპაქტური ჩასახლების ცენტრებში ცხოვრება უწევს. ისინი ხშირად გარიყულები და იზოლირებულები არიან, არ იციან, მომავალში რა ელით და კვლავაც ომით გამოწვეული ფსიქოლოგიური ტრავმის ქვეშ არიან,"** - აღნიშნა ვალტერ კელინმა ვიზიტის დასასრულს.

საქართველოს მთავრობის ოფიციალურმა პირებმა ბატონ ვალტერს განუცხადეს, რომ დევნილთა უმრავლესობას სურს დაუბრუნდეს საკუთარ სახლს და დაადასტურეს, რომ დევნილთა თავისუფალ არჩევანზე იქნება დამოკიდებული, მოხდება თუ არა მათი დაბრუნება.

**"დევნილთა დახმარება, რათა მათ ნორმალურ პირობებში ცხოვრება შეძლონ, კი არ გამორიცხავს, არამედ განამტკიცებს საბოლოო დაბრუნების შესაძლებლობას. კარგად ინტეგრირებული ადამიანები უფრო პროდუქტიულები არიან და საზოგადოებაში თავიანთი წვლილი უკეთ შეაქვთ, რაც საბოლოოდ, როცა შესაფერისი დრო დადგება, მათ დაბრუნების ძალას მისცემს,"** – განაცხადა ბატონმა ვალტერმა

მან რეკომენდაცია მისცა საქართველოს მთავრობას, რომ სამოქალაქო საზოგადოებასთან და დევნილებთან მჭიდრო თანამშრომლობით შექმნას და განახორციელოს ყოვლისმომცველი სტრატეგია და პოლიტიკა, რათა დევნილებმა შეძლონ მათთვის მინიჭებული ყველა უფლებით სარგებლობა, როგორც ეს ქვეყნის შიგნით გადაადგილების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებშია მოცემული.

რაც შეეხება აფხაზეთში დაბრუნების პროცესს, გაეროს წარმომადგენლისათვის სასიამოვნო იყო ის ფაქტი, რომ დევნილთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა გალის რაიონში დაბრუნება შეძლო. მან ორივე მხარეს მოუწოდა, შეემუშავებინათ საომარი მოქმედებების განახლების წინააღმდეგ და დაბრუნების უფლების შესახებ ერთობლივი დეკლარაციის საბოლოო ვარიანტი, რაც მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა დევნილთა კრიზისის მოსაგვარებლად. წარმომადგენელი დაარწმუნეს, რომ მდგრადი დაბრუნება და საზოგადოებრივი ინტეგრაცია ხელს შეუწყობს სამშვიდობო პროცესის გაღრმავებასა და სტაბილიზებას. ამავე დროს, მან ყველა მონაწილე მხარეს არსებული დაძაბული მდგომარეობის მავნე ზემოქმედებისგან იძულებით გადაადგილებულთა დაცვისკენ მოუწოდა.

**"მე შეშფოთებული ვარ გალის რაიონში მომხდარი ძალადობის ფაქტების გამო, რომლებიც დაბრუნების დამაბრკოლებელი მთავარი ფაქტორი გახლავთ,"** – ბრძანა ბატონმა ვალტერმა და დაბეჯითებით მოუწოდა ხელისუფლებას აფხაზეთში, გააკეთოს ყველაფერი (მათ შორის, ითანამშრომლოს კონფლიქტის მეორე მხარის ხელისუფლების წარმომადგენლებთან), რათა თავიდან აიცილოს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები და დასაჯოს ადამიანის უფლებათა დამრღვევები.

**"მათ უნდა დაუშვან გალში გაეროს სამოქალაქო პოლიცია და თანხმობა განაცხადონ იქ გაეროს ადამიანის უფლებათა მუდმივი ოფისის გახსნაზე. მე მივესალმები სოხუმში მიღებულ გარანტიას, რომ ხსენებული საკითხი კვლავ დღის წესრიგშია. ამ საკითხის დადებითი გადაწყვეტა საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღქმული იქნება, როგორც ძალიან კონსტრუქციული ნაბიჯი,"** - აღნიშნა გაეროს წარმომადგენელმა. მან ასევე მოუწოდა ხელისუფლებას აფხაზეთში, თავი შეიკავონ დაბრუნების უფლებისა და შესაბამისი საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების საწინააღმდეგო ქმედებებისგან, როგორიცაა სკოლებში ქართული ენის შეზღუდვა და დაბრუნებულთა იძულება, მიიღონ აფხაზეთის მოქალაქეობა.

დაბოლოს, დევნილთა სახელით წარმომადგენელმა საერთაშორისო სააგენტოებს, საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს მათ მიერ, დონორების მხრიდან დაფინანსების შემცირების პირობებში, გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა. მან დაბეჯითებით მოუწოდა დონორებს, აღიარონ დევნილთა და რეპატრიანტთა დახმარების აუცილებლობა და ინტეგრაციის კუთხით ძალისხმევას მხარი დაუჭირონ. მან გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს გააქტიურებისაკენ მოუწოდა.

*მასალა მოგვაწოდა
გაეროს მისიამ საქართველოში*

# დემოგრაფიული „ხის ვარდნა" დევნილებში

*საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის შესახებ ჩატარებული კვლევები ისეთი მწირია, რომ სრულიად ვერ ასახავს რეალურ სურათს. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების შეჯერება საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ საქართველოში დევნილთა სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა, რბილად რომ ვთქვათ, საგანგაშოა.*

ლელა მარგიანი

1993 წლიდან მოყოლებული, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ, აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა საერთო რაოდენობა დაახლოებით 300 000-დან 262 000-მდე მერყეობს.

2004 წელს ჩატარებული უკანასკნელი კვლევის მიხედვით, 5-9 წლის დევნილი ბავშვების რაოდენობა 10-14 წლისების 1/3-ს შეადგენს, 0-4 წლამდე ბავშვები კი - 5-9 წლის ბავშვების მხოლოდ 15 პროცენტია, რაც "დემოგრაფიული ხის" ვარდნას მიუთითებს.

დასტურდება გაზრდილი მოკვდაობა (9,7 ადამიანი 1000 სულზე, საერთო პოპულაციაში ამ დროს არის 8,7 – 1000 სულზე) და შემცირებული შობადობა (3,5 – 1000 სულზე, საერთო პოპულაციაში 10,17 – 1000 სულზე).

იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის მაღალია ფსიქო-ნევროლოგიური დაავადებების მაჩვენებლები: ნევროზები – 4,7 პროცენტი, ნევროლოგიური დარღვევები – 1,5 პროცენტი.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ დევნილთა 90 პროცენტი კლინიკური დეპრესიის ზღვარზე იმყოფება, როცა ადგილობრივ მოსახლეობაში ანალოგიური მაჩვენებელი 65 პროცენტია.

გულ-სისხლძარღვთა დაავადებები დევნილებში, ძირითად მოსახლეობასთან შედარებით, 2-ჯერ უფრო მაღალია. ასევე უფრო მეტადაა გავრცელებული კუჭის წყლული, ჩიყვი და ასთმა.

ბავშვებში გავრცელებულია ისეთი დაავადებები, როგორიცაა ზრდაში ჩამორჩენა, ანემია, იოდის დეფიციტი და ვაქცინაციით მართვადი დაავადებები.

ზემოაღნიშნულ საკითხებზე სპეციალურ კონფერენციაზე ისაუბრეს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილემ თამარ მახარაშვილმა, აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრმა ელგუჯა ბერიამ, თსსუ-ს ლექტორმა გიორგი ბურკაძემ, პროფესორმა ირაკლი ციციშვილმა, პროფესორმა გიორგი ჩახუნაშვილმა.

თამარ მახარაშვილი: **"ძალიან სავალალო ვითარება გვაქვს. ქვეყანა შეძლებისამებრ ეხმარება ადამიანებს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არაა საკმარისი.. 2006 წლიდან ვაპირებთ რიგი პროგრამების განხორციელებას დევნილთა სოციალური მდგომარეობის გამოსწორების კუთხით. ერთ-ერთი დიდი პრობლემა არის მათი საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფა. ბევრი 5-7-სულიანი ოჯახი 1 ან 2 ოთახში ცხოვრობს. არსად არ იყო გათვალისწინებული ამ ადამიანების ბინით დაკმაყოფილება. ამავე დროს, გვყავს ბევრი დევნილი (800 განცხადება დევს სამინისტროში), ვინც ჯერ კიდევ ქირით ცხოვრობს. აუცილებლად უნდა შევცვალოთ მიდგომა ამ ადამიანების მიმართ. მათ ძალიან გაუგრძელდათ დევნილობაში ყოფნა, ვფიქრობთ, ყველა სახელმწიფო სტრუქტურამ უნდა გავაერთიანოთ ძალისხმევა. "ბუტიაობის დრო" დამთავრდა. სამინისტროს ახალ ხელმძღვანელობას ყველასთან თანამშრომლობის ნება და სურვილი აქვს. ყველა ორგანიზაციამ, ადგილობრივმა თუ საერთაშორისომ, ვისაც კი დევნილთა პრობლემები ეხება, უნდა ვითანამშრომლოთ და დავდოთ საერთო ხედვა, თუ როგორ გავაუმჯობესოთ მათი მდგომარეობა."**

ელგუჯა ბერია: **"ათ წელზე მეტია, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს სპეციფიკური ფაქტორების სრული კომპლექსი: არასასურველ ცვლილებათა ხანგრძლივი პერიოდი, ცუდი საცხოვრებელი პირობები, საცხოვრებელი ფართის სიმჭიდროვე, ანტისანიტარია, მძიმე სოციალური ფონი, უმუშევრობა, სიღარიბე, არაბალანსირებული კვება, უხარისხო წყალი და ა.შ. ყოველივე ეს დევნილ მოსახლეობას სიღარიბის ზღვარს მიღმა აყენებს, ისინი მუდმივად ჯანმრთელობის გაუარესების მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან."**

აფხაზეთის დევნილი მთავრობის ჯანდაცვის სამინისტროს ანალიზის მიხედვით, ყველაზე გავრცელებული დაავადებების რაოდენობა დევნილებში, საშუალოდ, ორჯერ (!) აღემატება ამავე მაჩვენებლებს არადევნილ მოსახლეობაში. განსაკუთრებით კოლექტიურ ცენტრებში მცხოვრებნი ავადმყოფობენ. დევნილთა შორის მაღალია ტუბერკულოზით ავადობის მაჩვენებელი, რასაც ხელს უწყობს ცუდი ეკონომიკური პირობები, მჭიდროდ ჩასახლებული, დანგრეული საცხოვრებელი ადგილები.

საგანგაშო მდგომარეობაა დევნილ მოზარდებში. 0-დან 14 წლამდე იმუნურად დაავადებულ ბავშვებს შორის გავრცელებულია რესპირატორული დაავადებები - 43,8 პროცენტი, ინფექციური – 31,6 პროცენტი, საჭმლის მომნელებელი სისტემის – 12,1 პროცენტი.

საგანგაშოა დევნილი მოსახლეობის დემოგრაფიული ტენდენციები. წლების მანძილზე არსებულმა დაბალმა შობადობამ და ოდნავ მაღალმა სიკვდილიანობის დონემ დევნილთა შორის ასაკობრივი პირამიდის საფუძვლის ნგრევა და "დემოგრაფიული ხის" წაქცევა განაპირობა. ახალგაზრდების წილი დევნილ მოსახლეობაში, ძირითად მოსახლეობასთან შედარებით, მუდმივად და სწრაფი ტემპით იკლებს.

გიორგი ჩახუნაშვილი: **"ჩვენი ფონდის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება ჰუმანიტარული აქციები (სამკურნალო-პროფილაქტიკური გასინჯვები) საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. უკანასკნელი მონაცემებით, წლების განმავლობაში, ფონდის მიერ განხორციელებული აქციების ფარგლებში საქართველოს მასშტაბით გაისინჯა 72 400 ბავშვი და ათასობით ხანშიშესული პიროვნება. მხოლოდ 2004 წლის მარტი-აპრილი-მაისის პერიოდში გასინჯვები ჩავატარეთ კასპში, გურჯაანში, თელავში, ახმეტაში, ლაგოდეხში, სიღნაღში, ბოდბეში, ასპინძაში, ხარაგაულში. წლების განმავლობაში ჩატარებულმა გამოკვლევებმა, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა ავადობის მხრივ, ძალიან მძიმე სურათი გვაჩვენა. გავრცელებულია პათოლოგიები, კერძოდ, 0-14 წლის ბავშვებში დაფიქსირდა ინფექციური და პარაზიტული დაავადებები (14178 შემთხვევა), ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული დაავადებები (946 შემთხვევა), ფსიქიური და ქცევითი აშლილობები (72 შემთხვევა), ტრამვები, მოწამვლები (523 შემთხვევა)."**



სტუმრად მაია ჭალაგანიძესთან

# ისე არ შეიძულეს, როგორც ელოდა



ზაურ ბულაშვილის ფოტო

**ამბიციურად ვფიქრობ, რომ ჩემი მონაწილეობა საქართველოს მთავრობის მუშაობაში პოზიტიური იყო.**

**ჩვენ შიდა სამზარეულოს ვაჩვენებთ და ცხადია, ხან რაღაც მიიწევა, ხან რაღაც გადასაგდებია, ხან არ გამოვა... მთავრობას ყველაფერი რომ გამოსდიოდეს, ხომ უნდა გაჩნდეს განცდა, რომ რაღაც არასწორია?**

პირველი გვერდიდან

*ურთიერთობების რაღაც ახალი ეტაპი დადგა ხელისუფლებას, საზოგადოებასა და მედიას შორისაც. სამოქალაქო სექტორი სულ უფრო ნაკლებად არის ჩართული პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში. ხელისუფლება მას საქმის კურსში გადაწყვეტილების მიღების შემდგომ აყენებს და ძალაუფლებით ტკბობის პოზაში ადევნებს თვალს რეაქციებს. მედია კი, რა – დანარჩენი სხვა ინსტიტუციების მსგავსად ისიც უმეტესად მოვლენების უკან მიჩანჩალებს და ჯერ არც მას უპოვია ხელისუფლებასთან თამაშის ახალი, აქამდე უცნობი წესები.*

*მსხვილი ბიზნესმენი კახა ბენდუქიძე იყო ალბათ პირველი ქართველი ჩინოვნიკი, რომელიც არ მოერიდა მედიასთან კონფრონტაციას. ამის მიუხედავად, მასთან საუბარი ჟურნალისტებს უყვართ. ქართული მედიის შესახებ კი ის მაღალი წარმოდგენის არ არის. მაგალითად, როდესაც ვეუბნებით, რომ ეს გაზეთი ინსპირირებულ სტატიებს არ ბეჭდავს, მას ჩვენი არ სჯერა. როცა ის ამბობს, რომ სახელმწიფო მინისტრობის მიუხედავად თავის ნათესავებს სამსახურს არ უკეთებს და არც კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობს, ჩვენ ეს გვჯერა. ეს უნდობლობა - ამ შემთხვევაში უკულმა და ცალმხრივი, საერთოდ კი ორმხრივი – არსებობს და ამის გაქრობას იმაზე მეტი დრო უნდა, ვიდრე საგადასახადო კანონის ლიბერალიზაციას. საინტერესო მოსაუბრე კი ის ნამდვილად არის და კაბინეტის უმრავლესობისგან ამითაც განსხვავდება. კახა ბენდუქიძე ამბობს, რომ არ უყვარს პოლიტიკაზე საუბარი, უყვარს ლობიანი და ხინკალი, მაგრამ ამის შესახებ არავინ არაფერს ეკითხება. და ეძებს ადამიანს, რომელიც დაარწმუნებს, რომ მაგისტრალური მილსადენის "გაზპრომისთვის" მიყიდვა საქართველოს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას დააკარგვინებს.*

**- წლის ბოლოა, სტანდარტულად გთხოვთ ეკონომიკური მოვლენებისა და ტენდენციების შეფასებას.**

- ეკონომიკა წელს 7-დან 8 პროცენტამდე გაიზარდა. ეს მხოლოდ მშრალი ციფრები არ არის, ეს აბსოლუტურად ხელშესახები და თვალით დასანახი რამ გახლავთ - აშენდა და შენდება ახალი საწარმოები, თან ისეთი, ორი წლის წინ რომ ვერც ინატრებდი.

ბევრ რამეს, რაც ახლა გაკეთდა, უშუალო ეფექტი წელს არ ჰქონია, ეფექტი მომავალ წელს და მრავალი წლის შემდეგ უნდა ჰქონდეს. ყველასთვის გასაგები რომ იყოს, მაგალითისთვის განათლების რეფორმას მოვიყვან, რომელსაც ძირითადი ეფექტი წლების შემდეგ ექნება. თუმცა, ამ რეფორმას მნიშვნელოვანი პოზიტიური ეფექტი წელსაც ჰქონდა, მაგრამ ეს ვერ შეედრება იმას, რასაც ეს რეფორმა მომავალში მოგვიტანს. ასეთივე ხანგრძლივვადიანი ეფექტი ექნება ეკონომიკურ რეფორმებსაც, იქნება ეს პრივატიზაცია, ლიცენზირების გაადვილება, დერეგულირება თუ სხვა.

გარდა ამისა, შეიქმნა ახალი საწარმოები. არ მინდა რომელიმეს რეკლამა გავუკეთო. შეიძლება ადამიანი ჩაჯდეს ავტობუსში, თბილისიდან კახეთის ან ფოთის მიმართულებით წავიდეს და გზაში ახალ საწარმოებს ნახავს. ცხადია, იმის თქმა არ შეიძლება, რომ კმაყოფილი ვართ, რადგან ყოველთვის იმაზე მეტი უნდა გვინდოდეს, ვიდრე გაკეთებულია.

**- ეს ზოგადად - რა მოგვიტანს ყველაზე რეალურ და სწრაფ ეკონომიკურ შედეგს?**

- ყველაზე უფრო სწრაფი შედეგი ახალი საგადასახადო გარემოს შექმნას ჰქონდა. მრავალი გადასახადი გაუქმდა, ზოგიერთის ნიშნულმა დაიწია. გახსოვთ, შარშან მწვავე კამათი გვქონდა სავალუტო ფონდთან, რომელიც გვეუბნებოდა, რომ ბიუჯეტი ისედაც მცირე გაქვთ და არაფრით არ შეიძლება გადასახადების შემცირებაო. მსგავსი არაფერი მომხდარა. გადასახადების შემცირებამ ორი მკაფიო ეფექტი მოგვცა. პირველი - საბიუჯეტო შემოსავლები გაიზარდა და მეორე - საქართველოში ლეგალური ბიზნესის წარმოება შესაძლებელი გახდა. ლეგალური ბიზნესის წარმოება ადრე მხოლოდ რამდენიმე ძალიან გამორჩეულ სექტორში იყო შესაძლებელი.

თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ საგადასახადო კოდექსი იდეალურია, ასეთი რამ არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს. მაგრამ ვმუშაობთ იმაზე, რომ საგადასახადო კოდექსში არსებული ხარვეზები შეიცვალოს. სწორი იქნება, თუ ბიზნესი ამაში მონაწილეობას მიიღებს და დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით ყოველ წელს საგადასახადო კოდექსში ხარვეზების აღმოფხვრა მოხდება.

**- ლიცენზიებს შეეხეთ და აქვე შეგახსენებთ, რომ ფოთელი მეთევზეები ამ ლიცენზიების გამო უკმაყოფილებას გამოხატავდნენ და საერთოდ, ინსტიტუციურ ცვლილებებს საზოგადოება ხშირად პროტესტით ხვდება.**

- ზოგიერთ დარგში ეს მართლაც ასეა და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. მაგალითად, უკვე ჩამოყალიბებულ მეწარმეებს ეშინიათ, რომ კონკურენცია გაიზრდება. როდესაც ზოგიერთ საქმიანობაზე ლიცენზიებსა და ნებართვებს ვაუქმებდით, ზოგიერთი მეწარმე ამას იმ მოტივით ეწინააღმდეგებოდა, რომ ახლა ყველას შეეძლება ამის გაკეთებაო. შპს-ს დასაფუძნებელი საწესდებო კაპიტალი 2000 ლარიდან 200 ლარამდე დავწიეთ, რადგან არსებობდა ხალხი, ვინც ამ 2000 ლარს გარკვეულ ბარიერად განიხილავდა. მახსოვს, მეწარმეები შეხვედრებზე ჩიოდნენ, რომ ახლა ყველას შეეძლება შპს-ს გახსნა და კონკურენცია გაიზრდებაო. ცხადია, გაიზრდება და ეს არის ჩვენი ძირითადი მიზანი.

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიების გაცემა ადრე გაურკვეველ პრინციპებზე იყო დამყარებული. ამ სფეროში მიკრორევოლუცია მოხდა - კანონით ყველა ასეთი ლიცენზია აუქციონზე გაიყიდება. ეს თევზჭერის ლიცენზიებსაც შეეხება. სამინისტრომ აუქციონის საწყისი ფასი ტონაზე ერთი ლარი დააწესა. თან წვრილი ბიზნესისათვის ხელმისაწვდომი რომ ყოფილიყო, მინიმალური ლოტი 100 ტონა იყო. აუქციონის შედეგად ფასი 7-8 ლარამდე ავიდა. მაგრამ, ზოგიერთმა პოლიტიკოსმა ამაზე სახელის გაკეთება გადაწყვიტა და ხალხის ამხედრება დაიწყო. ერთი ავტობუსი მეთევზეები პროტესტის გამოსახატად ფოთიდან თბილისში ჩამოვიდნენ. რაც აქ ჩამოსვლამდე გზა, საცხოვრებელი და კვების ხარჯები გასწიეს, იმ ფასად ნამდვილად შეძლებდნენ აუქციონზე ლიცენზიის ყიდვას. ეს იყო წმინდა წყლის პოლიტიკური აქცია.

**- ჩვენს ქვეყანაში, ტრადიციულად, პოლიტიკა განსაზღვრავდა ეკონომიკას და პოლიტიკის გარეშე ბიზნესიც არ ვითარდებოდა. რა ტენდენციებს ატყობთ ახლა?**

- კარგ ტენდენციებს ვატყობ. 2003 წლის ივნისში, სულ ახლადგამინისტრებული ვიყავი და ბატონმა ზურაბ ჟვანიამ მეწარმეებთან შეხვედრაზე დამიძახა. რომ შევედი, გამიკვირდა - დარბაზში ჩემზე უფრო ხნიერი და ჩემი ასაკის ხალხი იჯდა. რუსეთში, რომელიც მაინცდამაინც ლიბერალური ქვეყანა არ არის, ბიზნესწრეებში ერთ-ერთი უფრო ხანშიშესული პირი ვიყავი და ჩემზე ახალგაზრდები მრავლად იყვნენ. ეს ალბათ გარკვეულად ასახავდა სიტუაციას, რომელიც საქართველოში იყო - ახალი ბიზნესის განვითარების ნაცვლად უკვე ჩამოყალიბებული ბიზნესის ცოტათი გაზრდა ხდებოდა. ამ ერთ-ორი წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში მრავალი ახალი ბიზნესი წარმოიშვა და ახალი სახეებიც გამოჩნდა. ჩამოვიდნენ საქართველოდან წასულებიც. ან თვითონ დაიწყეს ბიზნესი და ან ნათესავებს დაეხმარნენ. ჩემი აზრით, საქართველოს ეკონომიკისთვის ეს მნიშვნელოვანი ფაქტორიც არის და ინდიკატორიც, რადგან ამ ხალხს ყველაზე მკაფიო წარმოდგენა აქვს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე - არ არიან ქვეყნიდან მოწყვეტილი, არ სჭირდებათ ანალიტიკოსების დაქირავება, რომ გაიგონ, რა ხდება ქვეყანაში. მათი ნათესავები, ოჯახები საქართველოში ცხოვრობენ და ის, რომ ისინი თავისი კაპიტალითა და გამოცდილებით ბრუნდებიან, ძალიან მნიშვნელოვანია.

ჩინეთის ეკონომიკის განვითარებაში ძალზე დიდი წვლილი შეიტანეს ე.წ. ჰუაციაოებმა, სხვა ქვეყნებში მცხოვრებმა ჩინელებმა. თუ არ ვცდები, 60 მილიონი ჰუაციაო არსებობს, ეს ჩინეთის მოსახლეობის 5 პროცენტია. ჰუაციაოებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს მალაიზიაში, ფილიპინებზე, სინგაპურში, შეერთებულ შტატებში და მათი კაპიტალის დაბრუნება ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ჩინეთის ეკონომიკური განვითარებისთვის. მე მიხარია, რომ საქართველოში ბევრნი ჩამოვიდნენ და კიდევ მეტნი ჩამოვლენ, რაც ძალზე მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი ეკონომიკისათვის. ეს არის ფული, რომელიც საქართველოს ეკონომიკაში იდება, მეორე - ეს არის სულ სხვა ტიპის გამოცდილება და მესამე - ეს არის კონტაქტები.

**- ერთგვარად, ქართველი ჰუაციაო ბრძანდებით - რუსეთში წარმატებულმა ბიზნესმენმა დატოვეთ საქმე, აქტივები და აქ სახელმწიფო სამსახურისთვის ჩამოხვედით. გაამართლა თქვენმა ამ ნაბიჯმა?**

- ღმერთმა მაპატიოს, ამბიციურად ვფიქრობ, რომ ჩემი მონაწილეობა საქართველოს მთავრობის მუშაობაში პოზიტიური იყო. ვფიქრობ, რომ ჩემ მიერ ან ჩემი მონაწილეობით ბევრი რამ გაკეთდა და ბევრი რამ ჩემ გამო არ გაკეთდა. ვფიქრობ, რომ იმან, რაც არ გაკეთდა, არანაკლებ კარგი შედეგები გამოიღო.

**- დავუბრუნდეთ ტენდენციებს და შედეგებს...**

- საქართველოში სხვა ტიპის და ფართო მეწარმეობის ჩამოყალიბება დაიწყო და მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ეს ყველაფერი გაკეთდეს.

მიწის პრივატიზაციის გამო დამწყევლეს, მაგინეს და სამშობლოს გამყიდველი მიწოდეს. ეს ნაბიჯი კი საშუალებას მოგვცემს, რომ სოფლის მეურნეობის სექტორში დამატებით, მინიმუმ, რამდენიმე ათეული ათასი კარგად ფეხზე დამდგარი ფერმერი გაჩნდეს. ქვეყანაში რაც უფრო მეტია დამოუკიდებლად ფულის მშოვნელი ხალხი, უფრო კარგია არა მარტო ეკონომიკისთვის, არამედ საზოგადოების სტაბილურობისთვის.

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგი, რომელსაც სტატისტიკურად ვერ დათვლი, მაგრამ ნამდვილად არსებობს - სულ უფრო მეტ ადამიანს აქვს რწმენა, რომ მუშაობის შედეგს მათ არავინ წაართმევს. წელიწადნახევრის წინათ ჩემს ერთ ნათესავს ვესაუბრებოდი. აბა, თუ მიხვდებით, რას გეტყვიან ნათესავები, როცა მინისტრი ხარ? რა თქმა უნდა, სამსახურს მოგთხოვენ. ცხადია, ვუთხარი, რომ არავითარ სამუშაოს არ ვუშოვი, მაგრამ შემიძლია ბიზნესის დაწყებაში დავეხმარო - თანაც, თუ კარგად იციან, რა ბიზნესის გაკეთება შეუძლიათ. ერთ-ერთმა მათგანმა მითხრა, არ გავაკეთებ ბიზნესს, რადგან რამდენჯერაც ვცადე, იმდენჯერვე ვიღაცამ წამართვაო. ერთხელ მანქანების რემონტი დავიწყე და ერთ-ერთი პოლიციის უფროსს მანქანის გაკეთებაში ფული რომ მოვთხოვე, შესაშინებლად ჩემს სახლს იარაღი ესროლაო. სხვაც ბევრი ასეთი რამ მომიყვა. მთავარი ის არის, რომ ეს მოისპო. ამ რწმენის გაჩენა ძალზე მნიშვნელოვანია.

**- თქვენმა ნათესავებმა საქმე დაიწყეს?**

- იმ საუბრიდან სამი თვის მერე მითხრა, რომ უკვე უნდოდა საქმის დაწყება. თქვენ შეგიძლიათ თავად ჩაატაროთ ტესტი - ორი-სამი წლის წინ რომ ვინმესთვის 100 000 დოლარი მიგეცათ, დარწმუნებული ვარ, ბევრი გიპასუხებდათ, საქართველოდან წავალო. ახლა რომ ასეთი ტესტი ჩაატაროთ, იტყვიან, საქმეში ჩავდებო.

გაგრძელება B2 გვერდზე









# ისე არ შეიძულეს, როგორც ელოდა



**ბუნების კანონია - როგორც კი რაიმე ცუდად არის მოწყობილი, ხელისუფლების ბრალია.**

**მათეს სახარების მეხუთე თავში წერია, ნეტარნი არიან ისინი, ვისაც აგინებენო... როცა საქართველოში ჩამოვედი, დარწმუნებული ვიყავი, რომ ორ წელიწადში ყველა შემიძულებდა, მაგრამ მაინც იმდენმა არ შემიძულა, რასაც ველოდი.**

B1 გვერდიდან

**- საერთაშორისო კომპანია "სტანდარტ ენდ ფურს რეიტინგ სერვისმა" საქართველოს გრძელვადიანი სუვერენული რეიტინგი მიანიჭა. რას აძლევს ეს ჩვენს ქვეყანას მაშინ, როდესაც ქვეყანაში არა მხოლოდ ფინანსური პრობლემები, არამედ ტერიტორიული კონფლიქტები გვაქვს?**

- სასაცილო კომენტარები მოვისმინე მედიიდან, რომ თურმე ასეთ რეიტინგებს ათასობით კომპანია გააკეთებს, თუ სთხოვო. მსოფლიოში ასეთი სამი სპეციალიზირებული მრავალმილიარდიანი კომპანია არსებობს და მათ შორის ყველაზე კონსერვატიული, 100 წელზე მეტი გამოცდილებით სწორედ ეს კომპანიაა. ეს კომპანიები დეტალურად იკვლევენ, რამდენად მდგრადია ესა თუ ის ქვეყანა ან კომპანია. ყველაზე მაღალი რეიტინგი არის AAA. მსოფლიოში მხოლოდ ერთი ჰოლანდიური ბანკია, რომელსაც ეს რეიტინგი აქვს. ასეთი მაღალი შეფასების მქონე ქვეყანა კი შეიძლება, სულ ოცი იყოს. ჩვენ B+ რეიტინგი მივიღეთ, თან გაუმჯობესების პერსპექტივით. ანუ მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ დაგვიწერეს ერთი ოთხიანი, AAA კი ნიშნავს რომ სუყველა საგანში ფრიადოსანი ხარ. ორი წლის წინ კი ორიანსაც ვერ მივიღებდით

B+ ნიშნავს, რომ ქვეყნის ფინანსები მსოფლიოში გასაგებია. ამან ავტომატურად გაზარდა ინტერესი ჩვენი ბანკებისადმი. რამდენიმე უძრავ ქონების ბიზნესში მომუშავე უცხოელს შევხვდი და თქვეს, რომ როგორც კი რეიტინგი მიიღეთ, მეორე დღესვე აგვიკლეს ზარებით, საქართველოში პროექტების დაფინანსება გვინდაო. ყველაზე კარგი ინდიკატორი კი ის არის, რომ საქართველოს ბანკირებმა ეს სასიხარულო ფაქტი ბანკეტით აღნიშნეს კიდეც.

ამ რეიტინგით ყველა დაინახავს, რომ რისკები მთელს ქვეყანაშია შემცირებული. ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე შეიძლება თქმა, რომ რეიტინგის მიღება არის რევოლუციის ფინანსური შედეგების საერთაშორისო აღიარება.

რეიტინგის გარდა მნიშვნელოვანი ისიც იყო, რომ 2004 წლის შედეგებით რეფორმების ჩატარების დინამიკით მსოფლიოში მეორე ადგილზე გამოვედით. ამ მეორე ადგილის მიუხედავად, არსებული ბიზნესგარემოს გამო ასმერაღაცე ადგილზე გავედით. რამდენიმე წელი უნდა ვატაროთ რეფორმები, რათა სწრაფად რეფორმირებადი ქვეყნების რიცხვში ვიყოთ და ბიზნესის წარმოების სიადვილით პირველ ოცდაათეულში შევიდეთ. ამისთვის საჭიროა რეფორმირებული საგადასახადო სისტემა, მოქნილი სახელმწიფო ბიუროკრატია, სტაბილურობა და სასამართლო სისტემა, რომელიც ჩვენი ერის გადარჩენის და განვითარების ქვაკუთხედია. თუ ქართველმა ერმა დამოუკიდებელი და ძლიერი სასამართლო სისტემა ვერ შექმნა, ეს ნიშნავს, რომ მან ვერ შეძლო ჩამოყალიბება, როგორც ერმა. ერი სასამართლოს გარშემო არ არსებობს. ამაში ქვეყნის ყველა მოქალაქეა ჩაბმული. რაც არ უნდა ბანალურად ჟღერდეს, ძლიერი საქართველო, პირველ რიგში, ძლიერი სასამართლოა.

**- რომან გოცირიძემ შარშან, ჩვენთან ინტერვიუში თქვა - "არსებობს ობიექტები, რომლებიც უახლოეს პერსპექტივაში მაინც არ ექვემდებარება რაიმე ფორმით უცხოური კაპიტალის დაბანდებას. ეს არის ბათუმის და ფოთის ნავსადგურები, ენგურის ჰიდროელექტროსადგური, გაზის სექტორი და პირველ რიგში, მაგისტრალური მილსადენები, აეროპორტები და სხვა..." .**

- რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ფოთის ნავსადგურში ნავმისადგომების უმრავლესობა ხანგრძლივვადიანი კონცესიით უკვე გაცემულია სხვადასხვა ქართულ და უცხოურ კომპანიებზე. რაც შეეხება აეროპორტს - აქ მუშაობა დაიწყო დიდმა თურქულ-ავსტრიულმა კომპანიამ. გაზის სისტემაშიც მოხდება უცხოური კაპიტალის დაბანდება და იგივე შეიძლება მოხდეს გაზსადენშიც... მე მგონია, ამ საკითხს ცხოვრებამ გასცა პასუხი.

**- თქვენ გვიმტკიცებდით, რომ საქართველოს მაგისტრალურ გაზსადენს არავითარი სტრატეგიული მნიშვნელობა არ აქვს და იგი "გაზპრომს" უნდა მივყიდოთ, მაგრამ საპირისპიროს ამტკიცებენ ექსპერტები. ჩვენი მოკავშირე ქვეყნებიც მოითხოვენ, შეინარჩუნოს საქართველომ მაგისტრალური გაზსადენი...**

- გვაქვს ჩვენი მილსადენი, ამან რაიმეთი ხელი შეუშალა ფასის გაზრდას?

**- უკრაინასთან შედარებით რატომაც არა...**

- უკრაინას შესთავაზეს ფასი, რომელიც იმ რეგიონში იქნება და საქართველოს ფასი, რომელიც იქნება ამ რეგიონში. აზერბაიჯანს და სომხეთს იმიტომ კი არ მისცეს 110 დოლარად, რომ ჩვენ მილი გვაქვს. ეს იმიტომ მოხდა, რომ აქ შუააზიური გაზია, იქ კი - ციმბირის.

**- თქვენ არც მილსადენის ფაქტორის პოლიტიკურ ბერკეტად გამოყენების საშიშროებას ხედავთ, რომელიც ხშირად მომხდარა რუსეთის მხრიდან?**

- ამბობენ, რომ თუ მილსადენს გავყიდით, ჩვენ ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას დავკარგავთ. ენერგეტიკული ბერკეტი გაზია და არა მილი. მთავარი მილი კი არ არის, არამედ ის, რაც მილში გაედინება. ჩვენს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას განსაზღვრავს არა მილი, არამედ გვაქვს თუ არა ენერგეტიკული რესურსების შემოტანა რუსეთისგან დამოუკიდებლად.

ჩვენი დასავლელი პარტნიორები თვლიან, რომ ამ მილსადენის გაყიდვა "გაზპრომს" გააძლიერებს. გვეუბნებოდნენ, რომ მილის გაყიდვა არ შეიძლებაო, გერმანიის კანცლერი კი "გაზპრომში" წავიდა სამუშაოდ.

დემოკრატიული სახელმწიფო ვართ და გვაინტერესებს ჩვენი ხალხის აზრი და არა ის, რას იტყვიან ჩვენზე ბელგიაში, ან ტეხასის შტატში. მთავარია, საქართველოში არ შევრცხვეთ. ქვეყანა, რომელიც საკუთარ მოსახლეობაზე ფიქრობს, არც ერთ სხვა ქვეყანასთან არ შერცხვება.

**- საქართველოს უდიდესი საპრივატიზაციო ობიექტები ლამის სკანდალამდე მისულ კონკურენციის პირობებში იყიდებოდა, მაგრამ შემდგომ გამარჯვებული კომპანიები უარს ამბობდნენ ობიექტის შეძენაზე...**

- რა თქმა უნდა, შეიძლებოდა პრივატიზაციის პროცესი ჩატარებულიყო ისე, რომ გარედან ერთი ბზარიც არ გამოჩენილიყო. მთავრობას "ეჩალიჩა", ყველაფერზე კულუარულად შეთანხმებულიყო და მერე ფიქტიურად გაეფორმებინა. ჩვენ სხვა გზით წავედით და ამ გზას თავისი ფასი აქვს. სახელმწიფოსთვის მაქსიმალური მოგების მოპოვებას ვცდილობთ, ამიტომ არ მივდივართ მარტივი აუქციონის გზით, რომელიც სანახავად უფრო სიმპათიური იქნებოდა. ჩვენ შიდა სამზარეულოს ვაჩვენებთ და ცხადია, ხან რაღაც მიიწვება, ხან რაღაც გადასაგდებია, ხან არ გამოვა.

ჭიათურაში ხალხმა დაინახა ის, რაც მოხდა - ფასი მაღალ ნიშნულზე ავიდა, ინვესტორმა 20 მილიონი ბე დადო, მერე გადაწყვიტა, რომ ანალოგიური ტიპის 6-ჯერ უფრო დიდი საწარმო ეყიდა უკრაინაში, ამიტომ საქართველოზე უარი თქვეს, მერე ის საქმეც ჩაეშალათ და ორივე ობიექტი დაკარგეს. ეს რეალობაა, "რეალითი შოუ" ეკონომიკაში.

**- საზოგადოების უნდობლობა უსაფუძვლო არ არის. ასეთი მსხვილი გარიგებების უკან ყოველთვის იდგა რომელიმე მაღალჩინოსანი...**

- ადრე ვინ იდგა, არ ვიცი. ახლა ვინ დგას თქვენი აზრით? მოიყვანეთ ნებისმიერი ადამიანი, და მან ჩემთან ერთად და ჩემ წინააღმდეგ დაასაბუთოს, რა იყო არასწორი პრივატიზაციაში. თქვენც, ჟურნალისტებმა, შეგიძლიათ უფრო მეტი დაწეროთ სიმართლე, თუ რა ხდება, უფრო მეტი ანალიზი შესთავაზოთ მკითხველს.

ეს უკვე მედიის ბრალია. ვინმემ დაწერა სტატია იმის შესახებ, რა მოხდა რეალურად ჭიათურაში? ვინმე წავიდა უკრაინაში, ან რუსეთში და იმუშავა ამ თემაზე? არა.

ანდა, სანაოსნოს პრივატიზაცია ავიღოთ, რომელიც გაიყიდა 93 მილიონ დოლარად და რატომღაც ამის დეტალური აღწერა მედიაში არავის მოსვლია აზრად. უყურებდით ამ შიდა სამზარეულოს, როგორ იშლებოდა გარიგებები, ან არ იშლებოდა. შედეგებზე აღარავინ ამახვილებდა ყურადღებას.

მოდით, მე ავიღებ თქვენგან ინტერვიუს. თქვენ რა იდეოლოგია გაქვთ? თავისუფლება უფრო მნიშვნელოვანია, თუ დაცულობა?

**- თავისუფლება ყველაფერზე მნიშვნელოვანია.**

- არის თუ არა საკუთრება თავისუფლების ნაწილი?

**- არის.**

- ადამიანს რომ ვეხმარებით, ამით მას ვასუსტებთ თუ ვაძლიერებთ?

**- გააჩნია დახმარებას. ერთჯერადი ვერ გააძლიერებს, გარემოს გაუმჯობესება მისთვის გაძლიერებაა...**

- თუ ასე თვლით, მაშინ თქვენ ხართ მემარჯვენე და თვლით, რომ ადამიანი უნდა იყოს თავის უფალი, თავად უნდა მოუაროს საკუთარ თავს და რაც უფრო ნაკლებად შეუშლიან ხელს, უკეთესია. შეიძლება თქვენ მემარჯვენე იდეოლოგიის იყოთ და მემარცხენე გაზეთში მუშაობდეთ? თქვენი გაზეთი როგორია?

**- ზუსტად ასეთია.**

- არა, მით უმეტეს იმის მერე, რაც სახელმწიფო განცხადებების ბეჭდვა დაიწყეთ

**- ასეა, როცა საქმეში მთავრობა ერევა, ყველაფერი ფუჭდება.**

- ეს ბუნების კანონია, როგორც კი რაიმე ცუდად არის მოწყობილი, ხელისუფლების ბრალია. რომელიღაც ხელისუფლების მაინც... რეალურად კი, თქვენს გაზეთს მივმართავ - თუ სერიოზულობაზე დებთ თავს, შეისწავლეთ რა მოხდა, რა იყო არასწორი, ვინ და რატომ დაუშვა ეს კონკრეტული შეცდომა და სხვა. გარწმუნებთ, ბევრად უფრო საინტერესო შედეგი გექნებათ.

ჩემი აზრით, საქართველოს ჟურნალისტები იცვლებიან უკეთესობისკენ. მედიის სუსტი რგოლი რედაქტორები არიან, რომლებიც კერძო ჩინოვნიკებად დარჩნენ.

**- ამას სიხარულით ვეტყვი ჩვენს რედაქტორს. გამხიარულდება.**

- გაზეთს რაღაც საკითხებში პოზიცია უნდა ჰქონდეს და ამაზე დისკუსიები უნდა იმართებოდეს. მინდა გითხრათ, რომ საქართველოში პოზიციის მქონე ცოტა გაზეთი არსებობს.

**- გაზეთი, რომელსაც ერთადერთი და ურყევი პოზიცია აქვს, უარყოფს მედიის მრავალფეროვნების პრინციპს, რაც შეცდომაა. ასეთი მხოლოდ პარტიული გაზეთი შეიძლება იყოს და არა დამოუკიდებელი, სადაც ნებისმიერი პოზიცია უნდა იკითხებოდეს.**

- რას ნიშნავს დამოუკიდებელი? ანუ, ასეც კაია და ისეც კაია? ანდა, უბრალოდ, არავითარი ანალიზი აღარ დაბეჭდოთ, ვინაიდან ნებისმიერი ანალიზი პოზიციის არსებობას ნიშნავს. ჩემთვის ყველა ცნობილ უცხოურ გაზეთს პოზიცია გააჩნია. მაგალითად, "ნიუ-იორკ ტაიმსი" არის ლიბერალურ-მემარცხენე, რომელიც უფრო დემოკრატებს უჭერს მხარს, ვიდრე რესპუბლიკელებს. "ვაშინგტონ პოსტი" - პირიქით. ასევეა სხვადასხვა "ლა მონდი" და "ლა ფიგარო".

**- ჩვენთან პოლიტიკურ ძალებსაც ვერ გაურკვევიათ მემარჯვენე-მემარცხენეობა...**

- დიახ, ვერ გაურკვევიათ, მაგრამ თქვენ თქვენს თავს მოუარეთ.

**- როგორიც არის სამი დანარჩენი ხელისუფლება, მეოთხეც ისეთია, არა?**

- არა. პოლიტიკაში ჩვენი მთავრობა მემარჯვენე-ცენტრისტულია. ამის გამო სხვას ყველას, ვისაც ჰქონდა განცდა ან დასახელებად აილო მემარჯვენე, კონსერვატიული და ცენტრისტული, ფუნქცია დაეკარგათ და არაფერია გასაკვირი, რომ მათ მემარცხენე ან ფუნდამენტალისტური იდეები აიტაცონ, რასაც ვხედავთ კიდეც.

საქართველოსთვის ეს ძალიან ცუდია, რადგან არ გვყავს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ოპოზიცია. დავუშვათ, ეს ხელისუფლება არ ვარგა. მსოფლიოში არც ერთ ქვეყანაში არ ხდება, რომ სათავეში სულ ერთი და იგივე პარტია იყოს. საქართველოში ვინ უნდა მოვიდეს ამის სანაცვლოდ?

**- რაიმე ახალი უნდა გეკითხათ, რადგან ეს შევარდნაძის დროიდან მოყოლებული მარადიული კითხვაა - თუ ის არა, მაშ ვინ? - სტანდარტულია...**

- თუ ამ კითხვას მაშინ ვერავინ პასუხობდა, ეს შევარდნაძის დროინდელი საქართველოს პრობლემა იყო. დამისახელეთ, რომელი პარტია და ვისგან ჩამოაყალიბებდა კაბინეტს... თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ "ლეიბორისტებისგან" ჩამოყალიბებული მთავრობა?

**- თვლით თუ არა, რომ სახელმწიფო მინისტრის პოსტი დემოკრატიული ინსტიტუტია?**

- ამას დემოკრატიასთან კავშირი არ აქვს. ეს, უბრალოდ, მმართველობის მოდელია. მიმაჩნია, რომ სახელმწიფო მინისტრის პოსტი სავალდებულო არ არის, შეიძლება ამ პოსტის გაუქმება. თუმცა, ზოგიერთი ფუნქცია, რომელიც სამინისტროების კოორდინაციას შეუწყობს ხელს, უნდა დარჩეს, მაგალითად პრემიერის აპარატში. ეს არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი.

**- რამდენად წაადგება კაბინეტს პერსონიფიცირება, ანუ ძლიერი მინისტრები?**

- ჩემი აზრით, მთავრობის მუშაობა რაც უფრო ნაკლებად იქნება დამოკიდებული პერსონებზე, უკეთესია. სწორია მთავრობის ისეთი აღნაგობა, სადაც ყველაფერი ინსტიტუციონილიზებულია, ანუ დალაგებულია და თავისით მუშაობს. ეს არ ნიშნავს, რომ სუსტი მინისტრები დაგვჭირდება.

**- პრივატიზაციის დასრულების შემდეგ რა რესურსებით შეივსება ჩვენი ბიუჯეტი?**

- პრივატიზაცია გარდამავალი ეტაპია. ეს არის ბიუჯეტის შემოსავლების მხოლოდ ათ პროცენტზე ნაკლები. ნებისმიერი ნორმალური ბიუჯეტი გადასახადებით ივსება.

**- როგორ უნდა იყოს მოწყობილი სოციალური სფერო?**

- ჩვენ სოციალურად მობილიზებული ბიუჯეტი გვაქვს. თუ ამას დავუმატებთ განათლებას, მილიარდ ლარზე მეტიც კი გამოდის. ჩვენ ქვეყნის მატერიალური დოვლათის 10 პროცენტს ვხარჯავთ ამ საკითხებზე.

ყბადაღებული საკითხია პენსიები სტაჟისა და დამსახურების მიხედვით. ამის მოთხოვნა ამორალურია. კაცს, რომელიც ავტოინსპექციაში ან საბჭოთა პროკურატურაში მუშაობდა, მეტი პენსია უნდა ჰქონდეს, ვიდრე ქალს, რომელსაც არსად უმუშავია და 5 შვილი გააჩინა?

**- მოდით, გავანაწილოთ პენსია პედაგოგს, სოფელში მცხოვრებ დიასახლისს, პარტმუშაკს, ქარხნის დირექტორს, ექიმსა და მზესუმზირის გამყიდველს შორის...**

- პენსია იმის მიხედვით უნდა მივცეთ, რამდენად გაჭირვებულები არიან და არა იმის მიხედვით, ვის რა ჩანაწერი აქვს შრომის წიგნაკში. საქართველოში ქალების უმრავლესობა დიასახლისი იყო, რა, ისინი 16 საათზე ნაკლებს მუშაობდნენ? არა. რას ნიშნავს შრომის მიხედვით პენსია?! არა აქვს მნიშვნელობა, ვინ იყავი, დღეს იმიტომ გეხმარებით, რომ გაჭირვებული ხარ.

**- ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში 900 000-მდე პენსიონერია, ერი დაბერებულა...**

- დიახ. სხვათა შორის, საპენსიო სისტემის მოწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს. რაც უფრო ნაკლებად გაქვს სახელმწიფოს იმედი, მით უფრო კარგი დემოგრაფიული სიტუაციაა ქვეყანაში. ყველაზე კარგი ინვესტიცია შვილების გაჩენაა. განვითარებულ ქვეყნებში სხვადასხვა საპენსიო მოწყობაა. ყველაზე უფრო ნაკლები სახელმწიფო პენსია აშშ-შია. ძირითადად კერძო, დაგროვებითი, ნებაყოფლობითი სისტემებია. ჩვენნაირი სისტემები გერმანიაში, ინგლისში ახლა იშლება. ამიტომ ამერიკა სხვებზე სწრაფად იზრდება ეკონომიკურად და სხვებზე მეტი შობადობაც აქვს.

**- ბათუმში, ყოფილი ბაზრის ტერიტორიაზე, შენდება მრავალფუნქციური ბიზნესცენტრი. გაქვთ თუ არა თქვენ ან თქვენს ახლობლებს იქ კომერციული ინტერესები?**

- ჩემი და და მისი პარტნიორები აშენებენ ამ კომპლექსს და არც არავინ მალავს ამას. მე პირადად საქართველოში მყავს ორი ავტომანქანა და მაქვს სამი ნაკვეთი გურიაში, ზღვისპირეთში. ათასი სისულელე მესმის ჩემს შესახებ, რომ მეკუთვნის რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, ზესტაფონის ფერო, 55-ე სკოლაც მე ვიყიდე, ვაკის საცურაო აუზიც მე მეკუთვნის და სხვა. აუზი ჩემი დის და მისი პარტნიორების არის, მე არაფერ შუაში ვარ. მესმის, რომ რაღაც სასახლეებს ვიშენებ, რომ შავი ზღვა, კავკასიონი, თრიალეთის ქედი და მტკვარი ვიყიდე... თუ სამი ნაკვეთისა და ორი მანქანის გარდა ვინმე რამეს აღმომიჩენს, ვაჩუქებ.

**- ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც როგორ აფასებთ თქვენს ჩამოსვლას?**

- მათეს სახარების მეხუთე თავში წერია, ნეტარნი არიან ისინი, ვისაც აგინებენო... როცა საქართველოში ჩამოვედი, დარწმუნებული ვიყავი, რომ ორ წელიწადში ყველა შემიძულებდა, მაგრამ მაინც იმდენმა არ შემიძულა, რასაც ველოდი. არ ვიცი, რა ინტერვიუ გამოგივათ, ერთი თემიდან მეორეზე დავხტივართ...







# ეთანოლი ბენზინის ნაცვლად ან ორივე ერთად

მერაბ ლორთქიფანიძე



რაც დრო გადის, სულ უფრო იწურება ნავთობის რესურსები და ადრე თუ გვიან, კაცობრიობას აუცილებლად დასჭირდება მისი ალტერნატივის გამოძებნა. უფრო მეტიც, დღეს, როცა ნავთობის ფასმა კატასტროფულ ზღვარს მიაღწია, ალტერნატიული საწვავის გამოყენება კიდევ უფრო აქტუალური გახდა.

სხვათა შორის, ზოგიერთ ქვეყანაში ალტერნატივა უკვე მოძებნილიცაა და დიდი ხანია, გამოიყენება კიდეც. ამ ალტერნატივას ეთანოლი, ანუ ეთილის სპირტი ეწოდება. მას კი დღეისათვის ყველაზე დიდი რაოდენობით ბრაზილიელი ავტომობილისტები იყენებენ.

დღეს ორივე ამერიკის, ევრაზიის და აფრიკის ბევრ ქვეყანას შემუშავებული აქვს პროგრამა, რომელიც ბიოსაწვავის პრაქტიკაში დანერგვას ითვალისწინებს. უფრო მეტიც, საფრანგეთმა და ჩინეთმა უკვე დაიწყეს განახლებადი ენერგიის გამოყენების ადაპტირების პროცესი.

კიდევ უფრო საინტერესოა ეთანოლით, როგორც საავტომობილო საწვავით აშშ-ის დაინტერესების განუხრელი ზრდა. სტატისტიკური მონაცემები ამ ზრდის დამადასტურებელია. კერძოდ, ქვეყანაში სიმინდიდან ეთანოლის წარმოების ყოველდღიურმა დონემ 249 000 ბარელს (ბარელი 158.98 ლიტრია) მიაღწია, როცა მოთხოვნა 277 000 ბარელს გასცდა.

აშშ-ში (მსოფლიოში საწვავის უდიდესი მომხმარებელია) და ევროპაში ეთანოლის ფასი ნავთობთან მიმართებაში კონკურენტუნარიანი მას შემდეგ გახდა, რაც ბარელი ნედლი ნავთობის ფასი 40 დოლარს გასცდა. ოქტომბერში კი ნიუ იორკის ბირჟაზე ბარელი ნავთობის ფასი 65 დოლარზე ქვემოთ არ ჩამოსულა. უფრო მეტიც, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ნავთობზე მოთხოვნილების განუხრელი ზრდა და მიწოდების შემცირება მის კიდევ უფრო გაძვირებას გამოიწვევს.

დღეისათვის ეთანოლის წარმოებაში მსოფლიოს ლიდერობა ბრაზილიას უპყრია. ამასთან, თუ აშშ-ში წარმოებულ სპირტს სხვადასხვა სფეროში იყენებენ, ბრაზილიური სპირტის უპირატესი დანიშნულება მისი საწვავად გამოყენებაა. ქვეყანაში სულ უფრო იზრდება მოთხოვნა სპირტზე, როგორც საწვავზე. ოღონდ, ეს სულაც არაა ნავთობზე მსოფლიო ფასების განუხრელი ზრდის გამო.

პირიქით, ბრაზილიის სახელმწიფო ნავთობკომპანია "პეტრობრასი" ყველანაირად ცდილობს ნავთობპროდუქტებზე ფასების შენარჩუნებას და შემცირებასაც კი, რათა კონკურენცია გაუწიოს სპირტის მწარმოებლებს. მაგრამ ქვეყანაში სულ უფრო იზრდება ისეთი ავტომობილების რიცხვი, რომლებიც საწვავად იყენებენ როგორც ნავთობპროდუქტებს და მათი და სპირტის ნარევებს, ასევე სუფთა სპირტსაც კი. ეგ კი არა, ბოლო ხანებში გაიზარდა ისეთი ძრავების წარმოება, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში ყველანაირ საწვავზე (მხოლოდ ბენზინი, მხოლოდ სპირტი, ან ორივეს ნარევი) მუშაობა შეუძლიათ.

საინტერესო სტატისტიკა: ბოლო წლებში ბრაზილიაში წარმოებული შაქრის ლერწმის 45 პროცენტი ეთანოლად გადამუშავდებოდა, დანარჩენი კი - შაქრად. წელს კი სპირტად გადამუშავდა შაქრის ლერწმის 51 პროცენტი. ეს პირველ რიგში, განაპირობა არა ნავთობზე მსოფლიო ფასების განუხრელმა ზრდამ, არამედ იმ ფაქტმა, რომ ქვეყანაში გაიზარდა შერეულ საწვავსა და სპირტზე მომუშავე ავტომობილებზე მოთხოვნილება.

ეთანოლს, როგორც საავტომობილო საწვავს, დღეისათვის მსოფლიოს ბაზრებზე ხელოვნურად უქმნიან ბარიერებს. ამაში კი ნავთობმომპოვებლების გარდა, ბრაზილიელი შაქრის მწარმოებლებიც არიან დაინტერესებულნი. უფრო მეტიც, ისინი შეშფოთებულნი არიან იმ ფაქტით, რომ საავტომობილო საწვავად სპირტის გამოყენების გამო, ბრაზილია შაქრის ლერწამს შაქრის წარმოების ნაცვლად, ეთანოლის მისაღებად გამოიყენებს, რასაც აუცილებლად მოჰყვება მსოფლიოში შაქრის დეფიციტი და მასზე ფასების ზრდა.

ბრაზილია დღეისათვის მსოფლიოს ლიდერია შაქრის წარმოებაში. მაგრამ თუ მისი შაქრის ლერწმის რესურსების დიდი ნაწილი სპირტის წარმოებას მოხმარდება, მაშინ მსოფლიოს ბაზარზე წარმოიქმნება შაქრის დეფიციტი. ამას მოჰყვება ფასების ზრდა, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს ამ ბიზნესით სხვა ქვეყნების დაინტერესებას და ბრაზილიასაც დომინანტის როლი დაეკარგება. ეს კი ქვეყნის შაქრის მწარმოებელთა ინტერესებს არ შეესაბამება.

ასეა თუ ისე, არცთუ შორეულ მომავალში, სპირტის წარმოებაში ბრაზილიას ლიდერობას მაინც ჩამოართმევს აშშ-ი - ცოტა ხნის წინ ქვეყნის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ხელი მოაწერა აშშ-ის ახალ ენერგეტიკულ პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს ნავთობსაწვავში დანამატის სახით ბიოსაწვავის (ეთანოლის, მცენარეული ზეთის) გამოყენებას.

2003 და 2004 წლებში აშშ-ში წარმოებული სიმინდის დაახლოებით 11 პროცენტი სპირტად გადამუშავდა. წელს კი, აშშ-ის აგრიკულტურის დეპარტამენტის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 14.5 პროცენტს მისწვდება. და ეს მოხდება მანამ, სანამ გალონი (ერთი აშშ-გალონი 3.78 ლიტრს უდრის) ბენზინის ფასი ჯერაც არ გასცდენია 3 დოლარს.

საინტერესო ფაქტი: აშშ-ში სპირტს (როგორც ეთანოლს, ასევე მეთანოლს - ეგრეთ წოდებულ ხის სპირტს, რომელიც ძლიერ ტოქსიკურია) ფართოდ იყენებენ ავტოსპორტში. ამას განაპირობებს ის ფაქტი, რომ სპირტი მაღალოქტანური საწვავია და ის ყველაზე კარგად მიესადაგება ძლიერ ფორსირებულ (მაღალი კუმშვის ხარისხის, ან ტურბოკომპრესორიან) ძრავებს, რომლებითაც ინდი კარისა და ჩემპ კარის ბოლიდებია აღჭურვილი.

სხვათა შორის, ერთ დროს, კერძოდ კი მაშინ, როცა ჩვენში მაღალი ხარისხის საწვავის შოვნა გაძნელებული იყო, მეთანოლსა და ეთანოლს საწვავში შესარევად ქართველი ავტომრბოლებიც იყენებდნენ.

უნდა ითქვას, რომ ბენზინთან შედარებით, სპირტს წვის ნაკლები კუთრი სითბო გააჩნია. სამაგიეროდ, ბენზინზე საგრძნობლად მსუბუქია და უფრო დიდი რაოდენობით ერევა საწვავ ნარევს, რის შედეგადაც, უფრო მეტ ენერგიას გამოყოფს.

საყურადღებოა ისიც, რომ როგორც საწვავი, ეთანოლიც და მეთანოლიც ეკოლოგიურად აბსოლუტურად სუფთაა - მათი წვის შედეგად გარემოში მხოლოდ წყალი (ორთქლის სახით) და ნახშირორჟანგი ($CO_2$) გამოიყოფა. უფრო მეტიც, ბენზინთან სპირტის შერევის შემთხვევაში, საგრძნობლად "სუფთავდება" წვის პროდუქტი, რომელშიც მნიშვნელოვნად მცირდება ნახშირჟანგის (CO) შემცველობა. ამასთან, გარდა იმისა, რომ ჰაერში ნახშირჟანგის ნაკლები რაოდენობა გამოიყოფა, ატმოსფეროში ორთქლის რაოდენობის ზრდას გლობალური დათბობის ტემპის შენელებაც უნდა მოჰყვეს.

# SeaOrbiter - უჩვეულო გემი ოკეანის შესასწავლად



ჩვენი პოლანეტის ზედაპირის ორ მესამედზე მეტი წყალს უკავია, მაგრამ მსოფლიოს ზღვებისა და ოკეანეების დიდი ნაწილი ადამიანს ჯერაც შეუსწავლელი აქვს. ეს იმ დროს, როცა საჰაერო სივრცე მეტ-ნაკლებად ათვისებულია და ახლო კოსმოსშიც კოსმონავტები სულ უფრო ხშირად დაფრინავენ.

სამაგიეროდ, რა ხდება წყალს ქვემოთ, ეს ჯერაც დიდ საიდუმლოებას წარმოადგენს. როგორც ამბობენ, რაც ხმელეთზე ცოცხალი ორგანიზმებია, იმაზე ათასობით მეტი ოკეანეებში ბუდობსო. სამწუხაროდ, მათი და საერთოდ, წყალქვეშა სამყაროს შესწავლა მეცნიერებისთვის ჯერაც ხელმიუწვდომელია.

თუმცა, მალე შეიძლება კაცობრიობამ ეს ნაკლიც გამოასწოროს და ბევრ კითხვაზე მიიღოს პასუხები, რომელთა საშუალებითაც უამრავ პრობლემას მოუძებნის გასაღებს. ზღვის ათვისების საქმეში ადამიანს შეიძლება დიდი სამსახური გაუწიოს ხომალდმა (თუ ნაგებობამ), რომელიც ერთმა ფრანგმა არქიტექტორმა (თავად ასე უწოდებს საკუთარ თავს) დააპროექტა.

**ჟაკ რუჟერი** მართლაც არქიტექტორია - მის მიერ შექმნილი პროექტების მიხედვით საფრანგეთში ბევრი, არაფრით გამორჩეული სახლია აშენებული. თავისი ძირითადი საქმიანობის გარდა, მუსიე რუჟერის გატაცებაც ჰქონია - სამსახურისგან თავისუფალ დროს ის მუშაობს სხვადასხვა პროექტებზე, რომლებშიც აღწერილია უჩვეულო ხომალდები, წყლის ფსკერზე განლაგებული ბაზები (სხვადასხვა დანიშნულების) და კოსმოსური ხომალდები, რომლებიც მისი ოცნების საგანია.

ამ ნამუშევრებს შორის კი განსაკუთრებით გამოირჩევა მისი ბოლო პროექტი, რომელიც არქიტექტორმა საფრანგეთის ეროვნულ საზღვაო მუზეუმში წარადგინა ჩვენებაზე. ამ პროექტმა სპეციალისტებისა და მუზეუმის დამთვალიერებელთა აღტაცება გამოიწვია.

პროექტში წარმოდგენილი ნაგებობა რაღაცით ამოყირავებულ, ვერტიკალურად მდგარ გემს მოგვაგონებს, რომლის ნახევარი წყალში დგას, ნახევარი კი წყალს ზევითაა ამოსული. უჩვეულო შენობას რამდენიმე პლატფორმაც აქვს. რუჟერიმ პროექტს "სი-ორბიტერი" შეარქვა, რომელიც, ავტორის თქმით, "ადამიანებს უჩვეულოდ აახლოებს ზღვის და წყალქვეშა სამყაროსთან და უამრავ თავგადასავალს ჰპირდება".

მთავარი კი ისაა, რომ რუჟერის თავისი ხომალდი-ნაგებობა ზღვის საკვლევ ბაზად წარმოუგენია. ის თვლის, რომ წყალქვეშა სამყაროს კვლევის ჩვეულებრივმა საშუალებებმა (აკვალანგებმა, წყალქვეშა ნავებმა, ბატისკაფებმა და სხვამ) უკვე ამოწურა თავისი შესაძლებლობანი და ახლა დროა, ადამიანმა სპეციალური წყალქვეშა ხომალდ-ლაბორატორიების შექმნაზე იზრუნოს, რათა ზღვის (როგორც მისი სიღრმის, ასევე ზედაპირის) კვლევის უფრო საფუძვლიანი საშუალება ჰქონდეს.

რუჟერის პროექტით, "სი-ორბიტერის" სიმაღლე სულ 51 მეტრია. მისი დიდი ნაწილი (31 მეტრი) წყალქვეშ მოექცევა (აისბერგსაც უფრო დიდი ნაწილი წყალქვეშ აქვს). ხომალდ-ლაბორატორიის სიგანე კი სულ 10 მეტრია. მას რამდენიმე სართული-გემბანი აქვს. "სი-ორბიტერი" ლაბორატორიული კვლევებისთვის საჭირო ყველა თანამედროვე ხელსაწყოთი აღიჭურვება. მასში კი სულ 18 მეცნიერი შეძლებს მუშაობას. მათგან ერთდროულად მუშაობის საშუალება მხოლოდ რვას ექნება. ხომალდს აქვს რამდენიმე სათვალთვალო მოედანი.

რა თქმა უნდა, "სი-ორბიტერი" აღჭურვილია აკვალანგისტების მოწყობილობებით, რათა მკვლევარებმა უშუალოდ წყალში გასვლაც შეძლონ. სიღრმეში მუშაობისას კი მათ მცირე ზომის ბატისკაფები გამოადგებათ. თუ წყალში ადამიანის გასვლა სახიფათოა, მაშინ მის ნაცვლად სამუშაოს რობოტები - შორიდან მართვადი ზონდები შეასრულებენ. ხომალდი აღიჭურვება მძლავრი პროჟექტორებით, რომლების მეშვეობითაც, მკვლევარებს წყალქვეშ დღის სინათლე ექნებათ. რუჟერის პროექტის მიხედვით, ხომალდს 600 მეტრის სიღრმეში ექნება კვლევის წარმოების შესაძლებლობა.

რუჟერის ხომალდმა თვით NASA-ს სპეციალისტთა ყურადღებაც კი მიიქცია. აშშ-ის ეროვნული აეროკოსმოსური სააგენტო ამ პროექტმა დააინტერესა იმდენად, რამდენადაც, "სი-ორბიტერში" შესაძლებელი იქნება ასტრონავტების მომზადება კოსმოსში გასაფრენად.

"ჩემს ხომალდში გათვალისწინებულია სათავსები სამზარეულოსთვის, კაიუტებისთვის, სადაც ასტრონავტები ისეთ პირობებთან მიახლოებულ გარემოში ცხოვრებას შეძლებენ, როგორიც მათ კოსმოსურ ხომალდზე ელით. ამასთან, წყალქვეშ, ღია წყალში გასვლისთვის განკუთვნილი საძვრენი ისეთივე იქნება, როგორიც კოსმოსურ ხომალდებს აქვთ", - ამბობს რუჟერი.

კოსმოსური კვლევის სპეციალისტთა გარდა, ფრანგი არქიტექტორის შედევრით დაინტერესდა აშშ-ის ოკეანეებისა და ატმოსფეროს კვლევის ეროვნული ადმინისტრაცია და ასევე მასაჩუსეტსის ოკეანოგრაფიის ინსტიტუტი. თუმცა, მათი დაინტერესება ჯერ მხოლოდ სიტყვიერია.

უნდა ითქვას, რომ "სი-ორბიტერი" არსებობს არა მხოლოდ საპროექტო ესკიზებისა და ნახაზების სახით - ნორვეგიის საზღვაო კვლევის ცენტრ "მარინტეკში" რუჟერის პროექტის მიხედვით დამზადდა ხომალდის 3.5-მეტრიანი მოდელი, რომელმაც ცენტრშივე გაიარა ტესტირების 6-თვიანი კურსი. აღსანიშნავია, რომ ამ ცენტრში მდებარეობს ევროპაში ყველაზე დიდი რეზერვუარი, სადაც ხელოვნური ტალღების მოდელირებაა შესაძლებელი.

ტესტირების დროს ხომალდის მოდელმა შესანიშნავი მდგრადობა გამოავლინა. მან ცენტრში მოდელირებული 15-მეტრიანი ტალღების ადეკვატური "შემოტევა" იოლად გადაიტანა. ტესტის შედეგები ცალსახა იყო - "სი-ორბიტერი" ვარგისი პროექტია. მაგრამ ჯერჯერობით, საქმე მაინც ტესტირებაზე გაჩერდა.

საქმე ისაა, რომ რუჟერის გათვლებით, ხომალდის აგება დაახლოებით 25 მილიონი ევრო დაჯდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სოლიდური პარტნიორების გარეშე საქმე ადგილიდან არ დაიძვრება. უკანასკნელი ინფორმაციით, "სი-ორბიტერით" ფრანგული კომპანიები, "კომექსი" და "ვინჩი" დაინტერესდნენ, რომლებმაც ითავეს არამხოლოდ პროექტის დაფინანსება, არამედ ხომალდის აგება და მომსახურებაც.

თუ რაიმე სხვა პრობლემა არ იჩენს თავს და ხომალდის აგებაც ახლავე დაიწყება, მისი ექსპლუატაციის დაწყება უკვე 2009 წლის დასაწყისში იქნება შესაძლებელი. ამ შემთხვევაში, ხომალდი თავის პირველ მისიას გოლფსტრიმის დინების შესასწავლად შეასრულებს.

# ასტრონავტები სტარტს ჰაერში აიღებენ



ამერიკული კონსორციუმი "t/სპეისი", რომლის პარტნიორთა შორისაც, ცნობილი კერძო კოსმოსური კომპანია "სქელდ კომპოზიტსიცაა", ასტრონავტების ორბიტაზე გაყვანის ახლებურ ხერხებს ამუშავებს. კერძოდ, მისმა კონსტრუქტორებმა შეიმუშავეს ორბიტაზე გასვლის ორიგინალური სქემა, რომლის მიხედვითაც, ასტრონავტებიან რაკეტას საწყის სიმაღლემდე აიყვანს სატრანსპორტო თვითმფრინავი.

თვითმფრინავი რაკეტა "პეგასუსს" 10-13 კილომეტრის სიმაღლეზე აიყვანს, შემდეგ კი ფრთის ქვეშ, სპეციალურ პილონზე დამაგრებულ რაკეტას ჩამოაგდებს. სანამ რაკეტის ძრავი ჩაირთვებოდეს, ის სტაბილიზატორ პარაშუტს გახსნის, რომლის მეშვეობითაც, ვერტიკალურ მდგომარეობაში გადავა. შემდეგ ჩაირთვება ძრავი და რაკეტაც რეალურ სტარტს აიღებს.

სხვათა შორის, კოსმოსური რაკეტის ამგვარი სტარტი კარგა ხანია, გამოიყენება, მაგრამ მისი მეშვეობით, ორბიტაზე მხოლოდ ტვირთი - მეტწილად პლანეტის ხელოვნური თანამგზავრები გააქვთ. პილოტირებადი ექსპედიციისთვის კი პირველად ეს სქემა "სქელდ კომპოზიტსმა" გამოიყენა, რომელმაც კერძო კომპანიებს შორის პირველმა გაიყვანა ადამიანი კოსმოსში.

საინტერესოა, რომ "t/სპეისმა" სქემის შემუშავებიდან 135 დღეში მოამზადა რაკეტის რამდენიმე მასშტაბური მოდელი, რომელთა სიგრძე სულ რაღაც, 6.35 მეტრია. რაც შეეხება რეალურ რაკეტას, რომლითაც კოსმოსში 4 ასტრონავტის გაყვანა იქნება შესაძლებელი, მისი სიგრძე 27,5 მეტრი იქნება.

კომპანიამ უკვე მოასწრო მის მიერ შექმნილი მოდელებისთვის პირველი ტესტების ჩატარება - მოხავეს აეროპორტიდან ჰაერში მოდელები აიყვანა "სქელდ კომპოზიტსის" მიერ შექმნილმა თვითმფრინავმა "პროტეუსმა". პარტნიორები დარწმუნებულნი არიან, რომ მათ მიერ შემუშავებული სისტემა გაცილებით გააიაფებს ასტრონავების ორბიტაზე გაყვანას.

აღსანიშნავია, რომ "პეგასუსის" შექმნაში მონაწილეობა მიიღო კომპანია "სქელდ კომპოზიტსმა", "t/სპეისმა" კი მთვარეზე გაფრენის ორიგინალური პროექტი შეიმუშავა. "სქელდ კომპოზიტსის" კიდევ ერთი ქმნილება, უცნაური კონსტრუქციის თვითმფრინავი "უაით ნაიტი" კი ჩართულია პენტაგონის პროგრამაში X-37, რომლის მიზანსაც კოსმოსური ფრენების ღირებულების შემცირება წარმოადგენს. ჩვენი რუბრიკის ერთგულ მკითხველს ისიც ემახსოვრება, რომ "უაით ნაიტმა" მონაწილეობა მიიღო პროექტში "სპეისშიპვან", რომელმაც ერთი წლის წინ, კოსმოსური კერძო კომპანიების კონკურსი X-პრაიზი მოიგო.

## უპილოტო თვითმფრინავი, რომელიც წყალბადზე მუშაობს



ამერიკული კომპანია "აეროვირონმენტის" კონსტრუქტორებმა შექმნეს მსოფლიოში პირველი უპილოტო თვითმფრინავი, რომელიც საწვავად თხევად წყალბადს იყენებს.

კომპანიამ უკვე ჩაატარა თვითმფრინავის პირველი ტესტები. აპარატს, რომლის სახელია "გლოუბლ ობსერვერ HALE", ერთი კვირის განმავლობაში, 20 კილომეტრის სიმაღლეზე, შეუწყვეტლივ ფრენა შეუძლია. სასარგებლო ტვირთად მასზე შესაძლებელია სატელეკომუნიკაციო აპარატურის, ხმელეთის ზედაპირის გადასაღები აპარატების, ან ამინდზე დაკვირვების დანადგარების დამონტაჟება.

კომპანია არაფერს ამბობს თავისი ქმნილების კონსტრუქციის თავისებურებათა შესახებ. სავარაუდოდ, წყალბადი კვებავს საწვავის ელემენტებს, საიდანაც დენი მიეწოდება რვა ელექტრომოტორს. ეს ძრავები ფრთებზეა განლაგებული და ისინი მომცრო ხრახნებს ატრიალებენ, რისი წყალობითაც, თვითმფრინავი ჰაერში აფრენას და დიდი ხნით წონასწორობის შენარჩუნებას ახერხებს.

უპილოტო თვითმფრინავებით განსაკუთრებით სამხედრო უწყებები არიან დაინტერესებულნი. თუმცა, არაა გამორიცხული, რომ მსგავსმა აპარატებმა მალე დაიმკვიდრონ ადგილი სატელეკომუნიკაციო ბიზნესში. უპილოტო თვითმფრინავებს (ოღონდ, ტრადიციულ საწვავზე მომუშავეებს) უკვე იყენებენ ამერიკელი სამხედროები. კერძოდ, ასეთი თვითმფრინავებით მტრის პოზიციების დაზვერვა და დაბომბვა ხდებოდა ერაყისა და ავღანეთის სამხედრო კამპანიების დროს.

რაც შეეხება კომპანია "აეროვირონმენტს", ის ერთ-ერთი ლიდერია უპილოტო თვითმფრინავების შექმნაში. მისი დამაარსებელი კი არის ცნობილი კონსტრუქტორი პოლ მაკქრიდი, რომელმაც 1979 წელს მეტად უცნაური აპარატი შექმნა. თვითმფრინავის უცნაურობა კი ის იყო, რომ მას საწვავი არ სჭირდებოდა და ასაფრენად ადამიანის კუნთის ძალას იყენებდა. სხვათა შორის, ეს თვითმფრინავი პირველია, რომელმაც ლა მანშის სრუტე თავისივე პილოტის ძალის გამოყენებით გადალახა.

## გაზის უფრო მარტივი და ეფექტური ტურბინა

აშშ-ის სამხრეთ-დასავლეთის საკვლევი ინსტიტუტის ინჟინრებმა შექმნეს გაზის მეტად ეფექტური ტურბინა, რომელიც თანამედროვე სამრეწველო ტურბინებთან შედარებით, ათჯერ უფრო მარტივი, სწრაფი და იაფია და გაცილებით მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტიც გააჩნია.

ჩვეულებრივი გაზის ტურბინები მრეწველობასა და ტრანსპორტში გამოიყენება. მათ მოქმედებაში მოჰყავთ მძლავრი ელექტროგენერატორები, მაგისტრალური მილსადენების ტუმბოები, საავიაციო ძრავები და სხვა. ეს ტურბინები უამრავი დეტალისგან შედგება. ესენია ლილვი და საკომპრესორო ბორბლები, ტურბინის ბორბალი, რთული პროფილის მქონე ათეულობით ნიჩაბი, რომლებიც დამაგრებულია ტურბინის ბორბლებზე. ტურბინას აქვს ურთულესი კონსტრუქციის წვის კამერები, შეზეთვის სისტემები და ა.შ.

ჩვეულებრივ ტურბინებში შეკუმშული ჰაერისა და გაზების ძლიერი ნაკადი ლილვის გასწვრივ მოძრაობს. არსებობს ისეთი ტურბინებიც, რომლებშიც ჰაერისა და ნამუშევარი გაზების ნაკადი ლილვისადმი დიაგონალური (ნაწილობრივ რადიალური, ნაწილობრივ კი ღერძული) მიმართულებით მოძრაობს.

ახალ ტურბინაში კი ინჟინრებმა გამონაბოლქვი აირი მკაცრად რადიალურად მიმართეს. თუმცა, მთავარი ისაა, რომ ამ ტურბინას მხოლოდ ორი ძირითადი დეტალი აქვს. მათგან კი მხოლოდ ერთია მოძრავი.

ახალი ტურბინის როტორი ერთი, მთლიანი დისკოა, რომელსაც აქვს გამონაშვერები. ესენი კომპრესორის და ტურბინის ნიჩბების მოვალეობას ასრულებენ. ამ გამონაშვერებს შორის არის ღრიჭოები, რომლებშიც აწყობისას თავსდება წვის რადიალური კამერები. ეს კამერები კი მეორე, უძრავ დისკოზე, იგივე სტატორზე მაგრდება.

ორივე დისკო ერთმანეთის პირისპირ დგება ისე, რომ მათ შორის მინიმალური ღრიჭო დარჩეს. ეს არის პრაქტიკულად გამზადებული ტურბინა, რომელშიც რამდენიმე მეორეხარისხოვანი, თუმცა აუცილებელი დეტალია დასამატებელი.

ყველა სიკეთესთან ერთად, ასეთი ტურბინა ჩვეულებრივთან შედარებით გაცილებით იაფი ჯდება, მისი მომსახურება გამარტივებულია. გარდა ამისა, არის მსუბუქი, კომპაქტური და ბევრად საიმედო, ვიდრე კლასიკური ტურბინები.

## იაპონური რობოტები მთვარეზე დასახლდებიან



იაპონელები მთვარეზე რობოტების ბაზის შექმნას აპირებენ. უდიდესი იაპონური ფიჭური კომპანია "NTT დოკომო-ს" ყოფილი პრეზიდენტი კეიძი ტაჩიკავა, ვინც ამჟამად აეროკოსმოსური სივრცის ათვისების ეროვნულ სააგენტოს (JAXA) ხელმძღვანელობს, ადასტურებს, რომ ამომავალი მზის ქვეყანა 2025 წლისთვის მთვარეზე ბაზის აგებას აპირებს. ამ ბაზაზე კი ჰუმანოიდი რობოტები "დასახლდებიან".

თავიანთი პროექტის განსახორციელებლად იაპონელებს შედგენილი აქვთ 20-წლიანი გეგმა, რომლის რეალიზებაც უკვე პრაქტიკულად დაწყებულია. "იაპონური რობოტები მთვარის ათვისებაში დიდ როლს შეასრულებენ. ეს იქნება წვლილი, რომელსაც ჩვენი სააგენტო კოსმოსის შესწავლის საქმეში შეიტანს. გარწმუნებთ, თუ გამოინახება ამოცანა, რომლის შესასრულებლადაც ადამიანების შეცვლა იქნება საჭირო, ჩვენი რობოტები ამისათვის მზად იქნებიან", - ამბობს ტაჩიკავა.

ასეთ რობოტებად ტაჩიკავა უკვე ცნობილ ჰუმანოიდებს, "ასიმოსა" და "ქრიოს" მოიაზრებს, რომლებსაც მთვარის მისიის შესრულებამდე სპეციალური მოდიფიკაცია ჩაუტარდებათ. ამის შემდეგ, ეს ჰუმანოიდები მთვარეზე ტელესკოპის აწყობას და იქვე სასარგებლო წიაღისეულის ძებნას შეძლებენ.

რობოტების გარდა, მთვარეზე სპეციალური ტექნიკაც იქნება საჭირო. ჰოდა, ტაჩიკავა ამბობს, რომ "ჰონდას" ახლავე შეუძლია ისეთი ავტომობილის შექმნა, რომელიც გამოსადეგი იქნება მთვარის პირობებში სამუშაოდ.

# ზამთრიდან - ზამთარში...

## ბიძინა გუჯაბიძის დღიურები

პირველი გვერდიდან

### იანვარი

*ჩემთვისაც კარგა ხანია, ზამთარი უკვე "მკურნალობის დრო" კი არა - ახალი სპორტული სეზონის დასაწყისია. ტრადიციულად ეს სეზონი უშბაზე ზამთრის ასვლით იწყებოდა ხოლმე.*
*უშბა უდიდესი მთაა. მასზე ამსვლელი გუნდი მრავალი წლის მანძილზე ყალიბდებოდა და ბოლო წლებში საქართველოში უკვე ნამდვილად იყო ხუთი-ექვსი გამოცდილი პროფესიონალი, რომელსაც თამამად შეეძლო ყოველი ახალი სეზონის ასეთი სერიოზული განაცხადით დაწყება!*
*მაგრამ აი, უკვე მეორე წელია ტრადიცია ირღვევა. არაფრით აღარ გამომდის ზამთრის უშბის ექსპედიციის ორგანიზება: ზოგს საქმე უჩნდება სწორედ წასვლის წინ, ზოგს უფრო საინტერესო ექსპედიციას სთავაზობენ და სხვა გუნდში ურჩევნია გადასვლა, ზოგი საერთოდ წავიდა ალპინიზმიდან, ზოგი ავად არის... დავრჩი უგუნდოდ! სეზონი კი იწყება. რას ვიზამ, ხელახლა უნდა ვცადო ახალი გუნდის შეკოწიწება, უკვე მერამდენედ!*

უშბაზე მაინც წავედი ახალგაზრდებთან ერთად. სულ ოთხი კაცი ვიყავით: გიორგი რაჟებაშვილი, ნიკა ლებანიძე, შოთა კომახიძე და მე. ზოგს თან ორი ტელეფონი ჰქონდა, ჰოდა თანამედროვე კომუნიკაციამ შემიშალა ხელი სწორედ ასვლაში - ვერ მოახერხეს ბართან და ქალაქთან კავშირის გაწყვეტა. წკრიალებდა ტელეფონი და ფეხდაფეხ მოგვყვებოდა ქალაქის ხმაური: დაბადების დღეები, ნათლობები, შეყვარებულები, ახალი ამბები, ჭორები... ამას უამინდობაც დაემატა, მარშრუტის ძირამდე მშვიდობიანად მივედით, ერთი დღეც მარშრუტზე ვიმუშავეთ, მერე კი რამდენიმე დღე კარავში ვისხედით და ვცდილობდით, შეგვენარჩუნებინა სიმშრალე და სიმშვიდე, დაგვეზოგა პროდუქტი და ენერგია, არ გვეფიქრა სახლზე და უამინდობაზე, გაგველვივებინა ოპტიმიზმი და ასვლის სურვილი... საბოლოოდ ტელეფონებმა, უამინდობამ, ასაკობრივმა სხვაობამ ჩემსა და გუნდის წევრებს შორის, უკან მოგვაბრუნა, ჩამოვხსენით თოკები და "ავახვიეთ". ყველა კმაყოფილი დარჩა: სვანი მასპინძლები, ოჯახის წევრები, ახლობლები... მე დავრჩი "გალიმებული". მართალია მწვერვალზე ვერ ავედით, მაგრამ საკმაოდ დიდი გამოცდილება იყო ბიჭებისთვის რამდენიმე დღე უამინდობაში, დიდთოვლობაში უშბაზე ყოფნა. რას იზამ, ცხოვრებაში ყველაფერი მწვერვალით არ მთავრდება.

### თებერვალი

ისევ ვიკრიბებით. ახლა უკვე სხვა შემადგენლობაა - პროფესიონალებისა და მოყვარულების მეგობრული გუნდი, გუჯაბიძე, სარქისოვი, კალაძე და მუშკუდიანი. სავარჯიშო ასვლაა. რუსების გუნდს ველოდებოდით სტუმრად. ისინი ამინდის პროგნოზმა დააშინა და ბოლო წუთს შეცვალეს გეგმა. პროგნოზი მართლაც დიდ უამინდობას გვპირდებოდა. ლოვა და მე არ ვენდეთ კომპიუტერს – "Кусок пластмасса, Бидзинчик, разве можно, доверять!

მაინც წავედით. მყინვარწვერზე გვქონდა გადაწყვეტილი ღამის გათევა. 22 თებერვლისთვის მაილის პლატომდე, 4200 მ-მდე, მშვიდობიანად მივაღწიეთ, აქ ისე აირია ამინდი, რომ აღმართ-დაღმართს ვერ ვარჩევდით, 2 საათის განმავლობაში ვთხრიდით ოთხი კაცი კარვისთვის მოედანს. საკმაოდ ღრმა ორმო გამოგვივიდა. მთელი ღამე ხვეტავდა ქარი ფერდებიდან თოვლს, ახალი "კრუპაც" ემატებოდა და უმოწყალოდ გვტკეპნიდა ორმოში. დილამდე გავუძელით, გამთენიისას გამოვძვერით თითქმის სულ სველები, ავახვიეთ კარავიც და რამდენიმე წუთში ვინანეთ უთავშესაფროდ დარჩენა, ქარმა მოგვწყვიტა, წაგვაქცია და ყინულზე გვასრიალა. კიდევ კარგი, თოკში ვიყავით ჩაბმულები. დიდხანს ვუმკლავდებოდით ქარს, ოთხზე დამდგარები, ხან ჯოხებზე დაყრდნობილები. ქარი ხანდახან სუსტდებოდა, მაგრამ თოვლი, "კრუპა" და ნისლი მაინც არ მაძლევდა მიმართულების არჩევის საშუალებას. ჩავჩერებოდი იქვე ნახევარ მეტრში უზარმაზარ ნაპრალს და ვერ გადამეწყვიტა, საიდან შემომევლო. როგორც იქნა, დავიძარით, გავარკვიეთ, საით იყო დაღმართი. ვიარეთ კომპასით. ერთი საათის შემდეგ ნაცნობი რელიეფის კონტურებიც გავარჩიეთ, დაშვება გაადვილდა და მივაღწიეთ მეტეოსადგურამდე.

მეტეოსადგურში სამი დღე ვისხედით ერთ ოთახში გამოკეტილები. დერეფანს ყოველ დილას ვწმენდდით ნამქერისაგან. ფანჯრებიდან გარეთ გახედვის გვეშინოდა. მერე მინები გაიყინა, თოვლით დაიფარა. ცოტა მოგვეშვა და ამინდზე მხოლოდ ქარის გუგუნით და მეტეოს ზანზარის ინტენსივობით ვმსჯელობდით. ბოლოს გათავდა პროდუქტი, საწვავი, დაჯდა ტელეფონების აკუმულატორები, აივსო მოთმინების ფიალაც და გამოვძვერით ფანჯრიდან, ავჭედეთ მეტეო და მოვუხმეთ ნაპრალას (ჩვენი მეგობარი ძაღლი გერგეტიდან), რომელიც გაძლიერებულ კვებაზე ჰყავდა ლოვას გადაყვანილი. ნაპრალამ გამწარებულმა შემოგვყეფა: "თქვენ ვერა ხართ, ხო იციო!" – და მეტეოსადგურის ქვეშ შეძვრა უკმაყოფილო წკმუტუნით: "ცოცხალი თავით არ წამოვალო!"

ნაპრალას ღალატით შეფიქრიანებულებმა უკან დაბრუნება დავაპირეთ, მაგრამ ისევ ფანჯარაში შეძრომა დაგვეზარა, თან ძაღლს რა ჭკუა აქვსო, ვიფიქრეთ და... რამდენიმე წუთში ნაგვიანებად ვინანეთ, უკან ამობრუნება უკვე შეუძლებელი იყო.

ვეშვებოდით ფაქტობრივად ცურვით, თოვლში ვეფლობოდით წელამდე, ყელამდე. არავითარი ორიენტირი, მხოლოდ კომპასი, ალტიმეტრი, ინტუიცია! მეტეოსადგურიდან ყაზბეგამდე 3-4 საათის გზაა. 10 საათის სიარულის შემდეგ, სადღაც საბერწეს უღელტეხილის მიდამოებში ვიყავით, საზვავე ფერდზე. ყოველგვარი წესის დარღვევით გადავწყვიტეთ ღამით გათევა უხერხულ ადგილზე. დაძინებამდე ერთი დაიბუხუნა ფერდმა. ლოვას გადავულაპარაკე: - დიდი მაინც იქნებოდეს, არშაკოვიჩ!

ჰო, ბიძინჩიკ!

- რაა? - გვეკითხება გოგა და ლევანი.

რა და ზვავი!

რატომ?

ბევრი რომ არ ვიწვალოთ, ბიჭებო!

არა და არ მინდა გაზაფხულზე რომ გვნახონ აქ, ისეთ უხერხულ ადგილას ვართ, მართლა სასიკვდილოები ყოფილანო, იტყვიან.

დილას ისევ ისეთივე საშინელი ამინდია. ლევანის და გოგას გრძელი ფეხები მაგრად გვშველის. მივიწევთ მაღლა, უმეტესად ადგილზე ვიტკეპნებით. მე და ლოვა დაბლები ვართ, მხოლოდ კვალში მიყოლა შეგვიძლია. პირველად ვიგრძენი მთაში უსუსურობა, ვხვდები, რომ მე სიარული არ შემიძლია, ნაბიჯს ვერ ვაკეთებ, ვეფლობი, ვიძირები, ყველანაირად ვცდილობთ, ვთხრით ნიჩბით, ხელით, ვაგებთ "ხალიჩებს", ვწვებით, ვგორაობთ, თხილამურის ჯოხებისგან ვაპირებ თხილამურების გაკეთებას. და ასე სანტიმეტრობით მივიწევთ წინ. შუადღისთვის ვრწმუნდებით, რომ ნამდვილად საბერწეს ქედზე ვართ. იმედმოცემულები გააფთრებით ვიბრძვით სიმაღლის დაკარგვისათვის. საღამოსთვის გამოვდივართ ღრუბლებიდან. ქვემოთ მოჩანს სამებაც, შეგვეწიოს მისი მადლი. ცოტა ხანში გახარებული მამა იოსები გვეგებება წინ.

თბილ სენაკში ღუმელი ღუღუნებს და ჩაიდანიც იმედის მომცემად შიშინებს. ყოველთვის უჩვეულოდ გემრიელია ხოლმე ტრაპეზი მონასტერში.

ტაძარში თითქმის შუამდეა ნამქერი, პატარა ღუმელის ახლოს აქაც თბილა. ასე ძალიან რომ არ გვაგვიანდებოდეს თბილისში, ერთი კვირით ნამდვილად ვისარგებლებდით მამა იოსების სტუმართმოყვარეობით. მისი თქმით, ჩვენთვისაც მადლი იქნება და მისთვისაც!

ყაზბეგში შიშით დაზაფრული კაზალიკაშვილები გველოდებიან. უხარიათ ამდენი ხნის "ნამწყვდევებს" უვნებლებს რომ გვხედავენ.

ჯვრის უღელტეხილი, რა თქმა უნდა, ჩაკეტილია. კარგია, როცა მფრინავები შენი მეგობრები არიან, ზაურ ქორთოშიძე გვპირდება კობიდან გუდაურში გადაყვანას.

ჩამოფრინდა თათრებით და მწვანილით დატვირთული ვერტმფრენი კობში, მუყაოს სველი ყუთები იხევა გადმოტვირთვისას და შავ-თეთრი პეიზაჟით გადაღლილი ჩვენი თვალებისთვის საამური სანახავია თოვლზე მოფანტული მწვანილის კონები.

### გაზაფხული - მარტი, აპრილ-მაისი...

სპონსორი ქართულ სინამდვილეში უმეტესად მეგობარი და ძალიან ახლობელია, შეპირებით კი გპირდება დახმარებას, მაგრამ მერე ბევრი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, დანაპირებს ვერა და არ ასრულებს, უარსაც არ ამბობს ბოლომდე. ასე იყო ამ სეზონზეც. თითქოს გადაწყვეტილი იყო ევერესტზე უჟანგბადო ასვლა, ტიბეტის მხრიდან. დეკემბრიდან ვვარჯიშობდი თავდადებით: სირბილი, კლდეზე ცოცვა, ველოსიპედი, იშვიათად ცურვაც. ორ კვირაში ერთხელ ვცდილობდი სპონსორთან კავშირზე გასვლას და ევერესტთან დაკავშირებული გეგმების სიმყარის შემოწმებას. ეგ ცოტა ძნელი ამბავია, ჩვეულებრივ სპონსორები ძალიან დაკავებული ხალხია და მათთან შეხვედრას ბევრი რამ უშლის ხელს – დაცვა, მდივნები, უდროობა, ტელეფონის ნომრის ხშირი ცვლა ან საერთოდ გამორთული ტელეფონები, მოულოდნელი მივლინებები. არადა, დრო გადიოდა. უკვე შევუკვეთე ბილეთები, გავაკეთე ჩინეთის, ნეპალის, რუსეთის ვიზები და რუსების გუნდი ხუთ აპრილს კატმანდუში მელოდა. სპონსორმა ერთი კვირით გადამიდო დაფინანსება. მეც იძულებული გავხდი, სხვა გუნდი მომეძებნა, ამჯერად ჩეხებს დავუკავშირდი. ისევ თავიდან მოლაპარაკებები, ჯგუფური ვიზები, ბილეთები, ტრანსპორტი, სასტუმროები. ამჯერად თერთმეტ აპრილს დავნიშნეთ შეხვედრა კატმანდუში და იქიდან ჩინეთში გამგზავრება. სპონსორმა კიდევ ხუთი დღით გადამივადა შეხვედრა. ისევ თავიდან დავიწყე ყველაფერი. ყველაზე რთული კატმანდუდან უკვე ასე დაგვიანებით გამსვლელი გუნდის პოვნა იყო. ისევ გამიმართლა. უკრაინელებს, სერგეი ბერშოვს და მის მეგობრებს შევუთანხმდი. ისევ გაჩნდა იმედი. უკვე მესამედ მოვნახე ძალა ექსპედიციის მომზადებისათვის, მაგრამ ამჯერადაც ამაოდ. "სპონსორი" საბოლოოდ არც კი შემხვდა, თუმცა, თქვენ წარმოიდგინეთ, უარიც არ უთქვამს.

ძალიან გამიჭირდა იმედგაცრუების გადატანა, დეპრესიამდე ერთი ნაბიჯი რჩებოდა და მოულოდნელად გამოჩნდა გაერთიანებული ქართული ბანკი. ბანკმა ჯერ კიდევ წლის დასაწყისში კალენდარი დაბეჭდა ჩემი ფოტოებით. ახლა ტიან-შანის ექსპედიციის დაფინანსება გადაწყვიტა. აქამდე ფულს გამგზავრების წინ რამდენიმე საათით ადრე ვიღებდი, ან საერთოდ, სულაც ვალით და ნისიით მივდიოდი ხოლმე, გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა კი სამი თვით ადრე მომცა ბილეთების აღების საშუალება და ზაფხული, ანუ მთის პრობლემა უკვე მოგვარებული აღმოჩნდა, თუ, რა თქმა უნდა, მანამდე რამეს არ მოვიწევდი.

ბარის, ანუ ოჯახის საქმესაც გამოუჩნდა სასიკეთო პირი, საგზაო დეპარტამენტმა დარიალის ხეობაში, სამხედრო გზების მიმდებარე კლდეების ცოცხალი ქვებისაგან გაწმენდა შემოგვთავაზა. ჩვენ შარშანაც ვმუშაობდით მლეთა-გუდაურის მონაკვეთზე. საერთოდ სასიმაღლო სამუშაოების შესრულების დიდი გამოცდილება გვაქვს. სამუშაოების სპექტრი დიდია: სატელევიზიო ანძების შეღებვები, სარეკლამო ფარების მონტაჟი, შუშების რეცხვა, კლდეების წმენდა, სავენტილაციო მილების დაკიდება, ეკლესიებზე ჯვრების დადგმა და კიდევ ბევრი უჩვეულო რამ, რაც სიმაღლესთან არის დაკავშირებული და რასაც დღეს ასე მომრავლებული ამწეების დახმარებითაც ვერ აკეთებენ.

სასიმაღლო სამუშაოები კარგ ფიზიკურ ფორმაში გვამყოფებს და ხშირად ძალიან საინტერესო თავსატეხების გადაწყვეტა გვიწევს მრავალნაირი თავგადასავლითა და კურიოზით.

დიდი დრო მიაქვს სამუშაოს მომზადებას – გასაწმენდი მონაკვეთების დაზუსტებას, აზომვას, შეფასებას, ხალხის შეკრებას, აღჭურვილობის მომზადებას და საბოლოოდ პროექტის მომზადებამდე და კონტრაქტის ხელის მოწერამდე ვიწყებთ სამუშაოს.

სამუშაოზე დილის 6 საათზე გავდივართ. 7 საათზე საგზაო პატრული კეტავს გზებს. ამ დროისთვის უკვე თოკებზე ვკიდივართ მომზადებულები, თემურ კომახიძე ქვემოდან მეგაფონით გვაძლევს სტარტს და ჩვენც ვიწყებთ. თოკებზე 5-10 კაცი ვკიდივართ (მონაკვეთის სირთულის გათვალისწინებით), დაცვებს წინა დღით ვამზადებთ, ხეებზე, ბუჩქებზე, კლდის ქიმებზე, პალოებზე. ვეშვებით პარალელურად. ვცდილობთ ყველა ერთ დონეზე ვიყოთ, ერთმანეთს ქვები რომ არ დავაყაროთ. თოკები ახვეული გვაქვს და ზედ გვკიდია, ქვებისგან ვიცავთ, ჩვენს თავებს კი ჩაფხუტები იცავს. ეს ისე სიმბოლურად, თავში ან სხეულზე მოხვედრილი ქვა, რა თქმა უნდა, არ არის "სასიამოვნო", მაგრამ ჩვენ უფრო დაჭიმულ თოკზე ქვის მოხვედრის გვეშინია. უმეტესად ერთმაგ კაპრონის თოკებზე ვკიდივართ, ქვას სამართებელივით შეუძლია გადაჭრას, მერე ქვევით, საავტომობილო გზამდე, 100-150 მ-ია და უფრო ქვევით დარიალის ხეობა, ამიტომ სამუშაოს შესრულების ხარისხზე აღარ არის ლაპარაკი (ან როგორ და ვინ უნდა შეამოწმოს!). აქ პატარა "ხალტურაც" საკუთარი ან მეგობრის სიცოცხლის ფასად შეიძლება დაგიჯდეს... ძალიან ვფრთხილობთ, რომ არ დაგვრჩეს ერთი პატარა "ცოცხალი" კენჭიც კი, ხშირად გვიწევს "ქანქარებით" ჰორიზონტალური გადაადგილება, ცოცვა. თოკმა შეიძლება დარჩენილი ქვა გადმოაგდოს სავალალო შედეგით. ასე რომ, უკიდურესად დაძაბულები ვმუშაობთ, ძირითადად სხვადასხვა ზომის ძალაყინებით, იშვიათად დიდი "დომკრატებით". ყურადღებას არ ვაქცევთ პატარ-პატარა ტრავმებს, დაჟეჟილობებს, ნაკაწრებს, დაღლილობას და მტვერს, მხოლოდ თემურის მეგაფონი გვაიძულებს გამოფხიზლებას.

ქვემოთ გზაზე ორივე მიმართულებით მიმავალი მანქანების დიდი კოლონაა შეკრებილი, ზოგიერთი სულწასული მგზავრი პატრულს გამოქცეული, თავზე პიჯაკგადაფარებული, გზაზე დახვავებულ უზარმაზარ ლოდებს შორის მიიკვლევს გზას. თემურა აგინებს მეგაფონით, ხმამაღლა, სახალხოდ. ვაგინებთ და ვილანძღებით ჩვენც, ზოგჯერ ქვებსაც ვუშვებთ შესაშინებლად, და ეს ხშირად მეორდება. რა ჰქვია ამ ხალხის საქციელს – თავგანწირულობა, მამაცობა თუ, უბრალოდ, უდისციპლინობა და საერთოდ, ჩლუნგობა, გაუგებარია. როგორ ხიფათში იგდებენ თავს და ჩვენც როგორ შარში გვხვევენ. 11 საათზე უკვე გზა უნდა გაიხსნას. რამდენიმე წუთით ადრე ვეშვებით ბოლომდე და ასპარეზს ბულდოზერს ვუთმობთ. გასავათებულები ვართ ნერვული დაძაბულობისაგან. ერთმანეთს ვულოცავთ კიდევ ერთი სამუშაო დღის მშვიდობიანად დამთავრებას.

16.07. რამდენიმე დღით სამუშაოდან დასვენება გადავწყვიტეთ, მყინვარწვერზე, ზედ წვერზე უნდა გავათიოთ ღამე, ტიან-შანის ექსპედიციისთვის რომ მზად ვიყოთ, აკლიმატიზაციისათვის გვჭირდება. კლდეებზე მუშაობას, როგორც ყოველთვის, 12 საათზე ვრჩებით. პირველ საათზე ზურგჩანთააკიდებულები გერგეტის სამებას ვუახლოვდებით, ოთხნი ვართ – შოთა კომახიძე, გიორგი ნონიკაშვილი (ნონე), გურამ სალი (ფრანციკა) და მე. მძიმე სამუშაო კვირების შემდეგ მთაში ყოფნა, ჩვეულ გარემოში დაბრუნება მაგრად გვამშვიდებს. ნაპრალა ცოცხალი დაბრუნებულა მეტეოდან და ახლა არ ვიცი, ჩვენზე გულგატეხილია თუ დაბერდა, მხოლოდ სამებამდე გვაცილებს და უკან ბრუნდება სოფელში.

საღამოს მეტეოში ჩაის ვსვამთ. ბიჭებმა ისევ დააძრეს ჩემთვის აუტანელი მობილური ტელეფონები. 21 საათისთვის ვიგებთ, უშბაზე რაღაც შემთხვევაა, ალბათ არიან დაღუპულებიც. მალე ვუმკლავდებით შოკს. ჩუქჩას (ირაკლი უგულავას) და მარინეს (ჩემს ცოლს) ტელეფონით ვკარნახობ ჩემი აღჭურვილობის სიას, რომელიც დილას აეროპორტში უნდა დამახვედრონ და ვპირდები, რომ დილით თბილისში ვიქნებით, მესაზღვრეების აეროდრომზე.

ღამის სამ საათზე ისევ გერგეტის სამებაზე ვართ, აქ ვახო ქარიკაშვილი გველოდება მანქანით. უკვე მართლა გადაღლილები ვართ, ძნელია ღამე დაშვება, გზის ძებნა, ბორძიკი, დაცემა, გადაყვლეფილი ფეხები და ფიქრი, რა ხდება უშბაზე, მივუსწრებთ? ვუშველით?

მანქანაში ფეხზე ვიხდი და ვიძინებ, მძინავს ყაზბეგამდე, მერე ყაზბეგშიც, სანამ ბარგს ალაგებენ და ვახშმობენ თუ უკვე საუზმობენ, მძინავს თბილისამდე, უფრო სწორად, ვთვლემ, ვბორგავ. თავს ძალას ვატან, მომხდარზე არ ვიფიქრო, დასვენება და ძალების აღდგენა მოვასწრო.

17.07. აეროპორტში უკვე შეკრებილან ბიჭები. ჩემი აღჭურვილობაც გაუნაწილებიათ აფის, გიას და ნიკას, კარგი ჯგუფია, ე.ი. კედელზე ოთხი ვიმუშავებთ, აფი გიგანი, ნიკა ერქომაიშვილი და გია აფაქიძე (სვანი). დანარჩენები დამხმარე ჯგუფში იქნებიან.

ვხვდები, რომ გადაღლილობისაგან მობილიზაციას ვერ ვახერხებ, არადა, ბევრი რამ არის მოსასწრები და მოსაგვარებელი: პროდუქტი, აღჭურვილობა, კავშირი, მედიკამენტები, ჯგუფების განაწილება, ტაქტიკა... მაგრამ მე არაფრის თავი არ მაქვს, ვაზროვნებ ფრაგმენტულად, ინსტიქტურად და ინერციით. ჩემს მაგივრად ბიჭები ფიქრობენ, უმეტესად ზენო ქაშაკაშვილი, არჩილ ქიქოძე, გივი ქართველიშვილი, ვანო ვაშაყმაძე.








გაგრძელება B5 გვერდზე

# ზამთრიდან - ზამთარში...

## ბიძინა გუჯაბიძის დღიურები

B4 გვერდიდან



მოკლედ, საქმის ვითარება ასეთია: ზალიკო ქიქოძე, მერაბ ხაბაზი, გელა ოთარაშვილი ორ ჰოლანდიელთან ერთად უშბის სამხრეთ-დასავლეთ კედელზე არიან გასულები, მიშლაიაევის მარშრუტზე. ბოლომდე ჯერ კიდევ არ ვართ გარკვეული, საიდან დაიწყო განგაში. თითქოს ერთ-ერთმა ჰოლანდიელმა მარშრუტიდან ცოლს დაურეკა ამსტერდამში, ქართველებს უჭირთ და მიეხმარეთო. ცოლი ელაპარაკა სანდრა რულოვსს, სანდრა თავისი დაცვის უფროსს, ის კი უშიშროებას, უშიშროება მესტია-ზუგდიდის მთავრობას და მოკლედ, თავი-ბოლოს გაგება გაძნელდა. აირია გვარები, ფაქტები. იმედი გვაქვს, ყველაფერი უცხოელების გადაჭარბებული სიფრთხილის ან ჩვენს მთებში გამოუცდელობისაგან გამოწვეული უსაფუძვლო პანიკაა.

ცოტა ხნის შემდეგ ახერხებენ ამსტერდამში ჰოლანდიელის ცოლთან დაკავშირებას, ვიგებთ ჰოლანდიელის ტელეფონის ნომერს და დროს, როცა ტელეფონი ჩართული ექნება. უკვე პირველწყაროდან ვაზუსტებთ, რომ ჯგუფმა გუშინ ერთად გაიარა მარშრუტის ურთულესი კედელი "ბუხარი", მერაბი კედელზე ბოლო კაცად მუშაობდა, ბუხრის ზემო ნაწილში ჩანჩქერში მოჰყვა, დასველდა და ღამე ცუდად გახდა. დილას ზალიკომ გადაწყვეტილება მიიღო, ჰოლანდიელებს ზემოთ, "წითელი კუთხისაკენ" გაეგრძელებიათ გზა, საიდანაც უკვე მოახერხებდნენ ჩვენთან დაკავშირებას. ჰოლანდიელებს ჩემი ნომერიც ჰქონდათ, მაგრამ მე გუშინ მეტეოზე ასვლისას გამორთული მქონდა ტელეფონი. ასე რომ, განგაშიც და საფრთხეც რეალურია, ჯერჯერობით მხოლოდ ის ვიცით, რომ ჰოლანდიელები ცოცხლები არიან, "წითელ კუთხეზე", ყვითელ კარავში თბილად და მშვიდად ელოდებიან მაშველებს. ქართველები ბუხრის თავზე არიან, ერთ-ერთის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა და ისინიც გველოდებიან კარვისა და პრიმუსის გარეშე. მივფრინავთ! ისევ ჩვენი შამილა ქორთოშიძე და მისი ბიჭები!..

მესტიაში სხვა მაშველებიც გვემატებიან – ნუგზარ და გიო ნიგურიანები, მიშა გოშთელიანი, იდრისა ხერგიანი.

შამილამ მარშრუტის ძირში ჩამოგვსვა. უკვე საღამოვდებოდა, კარვების გაშლამდე დიდხანს ვათვალიერებთ დურბინდებით კედელს, ვხედავთ ფერად წერტილებს, ოღონდ ვერ ვარჩევთ, მოძრაობს თუ არა.

უშბის სამხრეთ-დასავლეთი კედელი ურთულესია კავკასიონზე, მიშლიაევის მარშრუტი კი ყველაზე ლოგიკური მარშრუტია ამ კედელზე. პირველად 1985 წელს გავიარე, ეს იყო ჩემი პირველი ასვლა უშბაზე, მაშინაც მაგრად დაგვასველა ბუხარში, დავბრუნდით და ორი დღე ვშრებოდით კედლის ძირში. მერე კიდევ 10 დღე ვწვალობდით უამინდობაში.

ამ გზის გავლის მცდელობა მერაბსაც ჰქონდა 1991 წელს, ბუხრის თავზე მოწყდა და დაიმტვრა, მაშინ ბიჭების დახმარებით ადვილად დაეშვა, მერე ორჯერ ზამთარში, ერთხელ ჩვენი ძალებით და მეორედ შამილას დახმარებით დავუშვით ფეხმოტეხილი. ხშირად ვხუმრობდით, ერთი ხელი დაგრჩა მოსატეხი და დავისვენებთო. მაგრამ მე მგონი ახლა უფრო რთულად გვაქვს საქმე, სვანეთში წასვლის წინ ვესაუბრე და მსუბუქად, გადაფიქრებაც ვურჩიე, თვითონაც არ იყო მზად ამ მარშრუტისთვის. ამ სეზონზე ყველაზე ცუდ ფიზიკურ ფორმაში იყო, არც ფსიქოლოგიურად იყო განწყობილი, ჯგუფიც ვერ იყო ერთგვაროვანი - ჰოლანდიელებს შორიდან იცნობდა და იცოდა, რომ რამდენიმე თვე ალპებში სერიოზულად ემზადებოდნენ უშბისთვის და გაუჭირდებოდა მათთვის სრულფასოვანი პარტნიორობის გაწევა. ზალიკო ფიზიკურად კარგად გრძნობდა თავს, მაგრამ ტექნიკურად ეს მარშრუტი მისთვის ძალიან რთული იყო, არ ჰქონდა საკმარისი გამოცდილება. ყველაზე კარგ ფორმაში გელა იყო, ოღონდ გელას არ უყვარს ინიციატივის აღება, იგი ბოლომდე იმუშავებს გუნდში, მხოლოდ რიგით წევრად. მოკლედ, ყველაფერი ხვალ გაირკვევა!

18.07. დილას კედელზე გასვლას ვაგვიანებთ, ველოდებით, იქნებ შამილას ოსტატობა ისევ წაგვეხმაროს. მართლაც, ადრიანად ისმის ვერტმფრენის ხმა. ჩვენ ოთხნი უკვე მზად ვართ მარშრუტზე გადასასმელად. იმედი გვაქვს, "წითელ კუთხეზე", სადაც ზამთარში, 2001 წელს, ფეხმოტეხილი მერაბი მოვხსენით, იქ ჩამოგვყრიან. ვერტმფრენი ჯერ უშბას უტრიალებს, მერე "წითელ კუთხესძ"ზემოთ საკმაოდ დიდი ხნით ეკიდება და მერე ქვევით მიფრინავს. უკავშიროდ ვართ, ვვარაუდობთ და იმედი გვაქვს, ჰოლანდიელები მოხსნეს, ე.ი. ჩვენი იქვე გადაჯდომაც შესაძლებელია. ველოდებით ვერტმფრენს. შამილა არ ჩანს. ორ კაცს ქვევით ვაგზავნით "მონადირის ღამისსათევებზე", ჩანჩქერ შდუგრას თავზე. იქიდან შეიძლება ტელეფონმა იმუშაოს. რამდენიმე საათი ველოდებით. ირკვევა, რომ ჰოლანდიელები მესტიაში ჩამოსვეს, თვითონ კოდორში გადაფრინდნენ დაჭრილების გადმოსაყვანად, მერე ქუთაისში მოუწიათ საწვავისთვის ჩაფრენა. ჩვენთან მხოლოდ შუადღეზე დაბრუნდნენ, აგვიყვანეს და დიდხანს ვუტრიალეთ უშბას, ოღონდ ამ დროისთვის მთა უკვე ღრუბლებში გაეხვა და კედელს ველარ მივუახლოვდით. ვჯდებით მთის ძირში, მესტიის თავზე. რამდენიმე წუთში ახლო-მახლო კარვებიდან მოსული ხალხი გვეხვევა. საინტერესო სანახავია საძოვრებზე ვერტმფრენი და სრულად აღჭურვილი ალპინისტები.

მხოლოდ საღამოს 7 საათისთვის გვაქვს ბოლო მცდელობა უშბაზე გადაჯდომის. ვერტმფრენი ნელა უახლოვდება თოვლის ციცაბო ფერდის ბოლოში კლდესთან მიყუჟულ ჰოლანდიელების პატარა კარავს. ბორტ-ინჟინერი კარებს აღებს, თვითონ წვრილი ფოლადის გვარლით ჩაბმულია თვითდაცვაზე. ჩვენც სრული აღჭურვილობით ვართ, თოკები ჩაბმულები, წერაყინები მზად, სცენარით პირველი მე უნდა გადავხტე, თოკი დავამაგრო, მერე დანარჩენები მივიღო და ბოლოს ზურგჩანთები. სიმაღლე 5 მ-ზე მეტია, თან ქვემოთ ქვაა თოვლში. ბორტ-ინჟინერს ვთხოვ, იქნებ შამილამ ცოტა დაუშვას-მეთქი. მოკლედ, ვვაჭრობ. ვერტმფრენიდან გადახტომა ყოველთვის უსიამოვნოა, თან უშბის ფერდზე, არ იცი რა გხვდება ქვემოთ: თოვლი, ფირნი, ყინული, ძნელია დისტანციის, სიმაღლის განსაზღვრა... ბოლოს ვძლევ შიშს და ვხტები. თოვლი კარგად იჭერს, წერაყინიც და წრიაპებიც კარგად მუშაობენ ფხვიერ თოვლში. გავრბივარ ზემოთ კარვისაკენ, კლდის ქიმზე ვამაგრებ თოკს და უკან ვიხედები... მე გია აფაქიძე უნდა მომყოლოდა. გია გადმოხტა, ქამარზე ჩაბმული წერაყინი ქამარშივე ჰქონდა დამაგრებული. გადმოხტომისას ბორტ-ინჟინრის თვითდაცვას გამოედო წერაყინი, გია ახლა 3 მეტრის სიმაღლეზე, ბორტ-ინჟინერზე კიდია, ფართხალებს და კივის. ვკივი მეც და ვცდილობ შამილას ვანიშნო ოდნავ ქვევით დაშვება. შამილა მხოლოდ პროპელერს და კლდეს შეჰყურებს დაძაბული, ბორტ-ინჟინერი გადმოვარდნაზეა, ნიკა წერაყინს ექაჩება გასათავისუფლებლად, ბოლოს ძლივს ხსნის გვარლიდან, გიას ქვემოთ აგდებს და თვითონაც მოჰყვება. ბოლო აფია, უკვე ყველა ფერდზე ვდგავართ, თოკში ჩაბმულები, თითქოს უკვე სამშვიდობოზე, მაგრამ ახალი განსაცდელი გვზარავს, თამაზ აფაქიძე ისე ისვრის ვერტმფრენიდან ჩემს ზურგჩანთას, თითქოს კარტოფილის ტომრებს ცლიდეს სადმე მინდორში. აფი თავგანწირული ნახტომით ახერხებს ზურგჩანთის დაჭერას. უკვე ვერტმფრენის ქვეშ ვდგავართ და ერთად ვიჭერთ ასევე მშვიდი ინტენსივობით გადმოყრილ ზურგჩანთებს. ერთიც კი რომ დაგვიცურდეს, მძიმე დღეში ჩავვარდებით. ბოლოს მიფრინავს ვერტმფრენი და ვრჩებით ჩვენ ოთხნი საღამოს სიჩუმეში და სიცივეში. სიჩუმეს ნიკა არღვევს: - მგონი ფეხი მოვიტეხე!

მშვიდად "გვამცნობს" ამ ახალ ამბავს და ჩვენც ვცდილობთ, ამაზე ბევრი აღარ ვილაპარაკოთ: - მოიტეხე და დაეშვი და იმუშავე ახლა ცალი ფეხით!

ყველაფერს ზემოთ კარვისკენ მივათრევთ, კარავი ორკაციანია, ყვითელი Bibler-ი, როგორც ჩანს, ჰოლანდიელები ბათინკების ამარა მოუხსნიათ აქედან, კარავი სავსეა აღჭურვილობით, პროდუქტით, გაზით, საძილეებით.

19.07. ღამე ვიწროდ ვიყავით, მაგრამ კარგად გვეძინა. გათენებასთან ერთად ვიწყებთ დაშვებისთვის მზადებას. ცივა, ჯერ კიდევ ვერ შევგუებივართ მთას. აქ პირდაპირ "მწვანედან", ბალახიდან გადმოგვსვეს. როცა ასვლის დროს ნაბიჯ-ნაბიჯ ილებ სიმაღლეს, მაშინ ირგვლივ ყველაფერი შინაურია, მთას ეჩვევი და მისი ბინადარი ხდები, ახლა კი თითქოს უცხო გარემოში მოვხვდით.

ბარგი ბევრია, მეტი წილი თოკები და რკინაა. ჯერჯერობით ყველაფერს ადვილად მივათრევთ თოვლის ფერდზე, მერე ვკიდებთ პირველ 50 მეტრს, ვერტიკალურ კედელზე, არ ვიცი, წვდება თუ არა თარომდე, ამიტომ უზურგჩანთოდ ვეშვები ერთმაგ თოკზე, ბოლოს ვამაგრებ და ისევ ზემოთ ამოვდივარ, მერე ეშვებიან დანარჩენები. აფი ორ ზურგჩანთას მოათრევს, ერთი თოკებითაა დატვირთული. ბოლოს ისევ მე ვეშვები. ძნელია თოკების გამოქაჩვა, 8 მმ-იანი, 50 მეტრიანი თოკები რეზინასავით იჭიმება.

მოჰყვება თოკი თოკს. წინ მე ვეშვები. ვცდილობ 20 წლის წინ გავლილი მარშრუტი აღვიდგინო და მიმართულებას არ ავცდე. ამინდი კარგია. წინა დღეების უამინდობისაგან სულ თოვლ-ყინულით არის გადალესილი კლდეები.

ერთ მონაკვეთზე აფი ზურგჩანთას კარგავს, აღჭურვილობის დიდ ნაწილს. საბედნიეროდ, ჰოლანდიელების აღჭურვილობა ცოტათი გვივსებს დანაკარგს.

ბუხრის თავამდე 200 მეტრი რჩება. ვკიდებთ 120 მ-იან პლასტიკის თოკს. ამ თოკზე თეთრეულის გაკიდებაც კი არ არის სანდო. ჩვენ ძალიან გვეჩქარება. თოკის დატოვებას ვაპირებთ დროის ეკონომიისათვის, თან ეს მონაკვეთი არ არის ვერტიკალური, ასე რომ, იმედი გვაქვს, თოკი დახრილ ფერდზე ჩვენს წონას გაუძლებს. აქედან ორ თოკში ბიჭებს უნდა მივადგეთ. გვიჭირს შეხვედრის მოახლოება, არ ვიცით რას ვნახავთ. ქვემოთ გიაა, მე ზემოთ, თოკის თავში ვარ. - მგონი ცოცხლები არიანო! - ყვირის. მოულოდნელი სიხარულისაგან ვკივივართ ჩვენც. რამდენიმე წუთში კი ახალი ინფორმაცია: - მერაბი აღარ არის! და ცოტა ხნის შემდეგ: - ზალიკოც!

დაგვრჩა გელა!

რამდენიმე წუთში მე და გია გელასთან ვართ, აფი და ნიკა 20 მ-ით ზემოთ, სადგურს ამაგრებენ, ალბათ ღამისთევა აქ მოგვიწევს.

გელა პატარა, დახრილ თაროზე წევს, მერაბიც იქვეა სანახევროდ თოვლში ჩაფლული, ერთმანეთისგან ბათინკებით განასხვავებ - მერაბს ბათინკებზე ზონრები აქვს დაგლეჯილი, ე.ი. ბოლო მეტრებს კლდეზე მიათრევდნენ. გელა საძილეში და ცელოფანშია შეხვეული, სველია, მაგრამ თბილადაა, გონებაზეა, ლაპარაკობს. უფრო სწორად, ლაპარაკით ყველა ვლაპარაკობთ და გონებაზე აღარც ერთი არ ვართ. ვლაპარაკობთ ათას სისულელეს, მხოლოდ არა შესასრულებელ სამუშაოზე, არა მერაბზე, რომელზეც კინაღამ წრიაპებით შევდექით, და არაქვემოთ მიმავალ დაჭიმულ თოკზე, რომელზეც ალბათ ზალიკო



მერაბ ხაბაზი.



ზალიკო ქიქოძე.

ჰკიდია. ვლაპარაკობთ ბევრს, გელას არ ვაძლევთ საშუალებას, გაიხსენოს წინა დღეების დეტალები, ილაპარაკოს მერაბის, ზალიკოს სიცოცხლის ბოლო, მტანჯველ წუთებზე, მის თვალწინ რომ ჩაიარა, მათ ოჯახებზე... ეს ყველაფერი მერე! ახლა დიდი და მძიმე სამუშაო გველოდება, გელას დარჩენილი ძალები ეკონომიურად უნდა გამოვიყენოთ დაშვებისთვის. ეს ერთი კაცი ჩვენთვის ახლა სამი გახდა, ჩვენს თავს უნდა გადავურჩინოთ!

ვასმევთ თბილ ჩაის, ვაჭმევთ თაფლს. უჭირს ჭამაც და სმაც. ძალიან აბურდულია დაცვის თოკები. ჯერ მუხლებზე წამოვაყენეთ, მერე ფეხებზე, მივაყრდენით კლდეს. თვითდაცვაზე საიმედოდაა ჩაბმული.

თოვლისგან ვათავისუფლებ მერაბს. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ თითქოს ეს მე ვარ! - ორი დღის წინ გაცივებული, გაყინული და მაშველის ამაოდ მომლოდინე!

ყველაფერი ასე ახლობელი. ნაცნობი ყველა ნაკვთით, ტანსაცმლით, აღჭურვილობის ყველა უმცირესი დეტალით. ეს ჩემი საუკეთესო მეგობარია. მასთან არის დაკავშირებული ჩემი ალპინისტური ცხოვრების უამრავი განსაცდელი, გაჭირვება, სიხარული და წარმატება. მის გარეშე უკვე აღარც მახსოვს თავი. ბევრჯერ მიგვინდვია ერთმანეთისთვის საკუთარი სიცოცხლე. ახლაც, ალბათ, ბოლო წუთამდე მელოდა და უკვირდა, რომ ამჯერად დამაგვიანდა! ვხედავ უკანასკნელად. უკვე ველარასოდეს ჩავებმებით თოკში, ველარ განვიცდით ერთმანეთის იმედით მოგვრილ სიმშვიდეს... ეს ბოლო თოკიც მე უნდა გადავჭრა. ყველა ვტირივართ.

გათავისუფლებულ ადგილზე გელას ხელახლა ვაწვენთ, ვუცვლით, ვფუთავთ, ვუვლით. მერე 20 მ-ით ზემოთ ავდივართ. აქ პატარა თაროა, 15 ივლისის ღამეს გელასაც აქ ეძინა ჰოლანდიელებთან ერთად. ვაძლიერებთ "სადგურს", ვჯდებით და კარავს ზედ ვიფარებთ, ფეხები გადმოკიდებული გვაქვს, აღჭურვილობა კედელზე კიდია, ან საძილეებში გვიყრია. ვჭამეთ ჰოლანდიური გამომშრალი ხორცი და ვსვით ცივი წყალი. პრიმუსის ანთების თავი აღარ გვაქვს, უკვე გვიანი ღამეა, ხვალ კი დიდი სამუშაო დღე გვაქვს. ნიკას ძალიან სტკივა ფეხი, საკმაოდ შეშუპებულიცაა. აფთიაქში რამდენიმე ამპულა "ტრამალი" მაქვს. ფანრის შუქზე ვუკეთებ კუნთში და ვიძინებთ.

ღამე გელას ყვირილი გვაღვიძებს, დახმარება – წამოდგომა სჭირდება. ბათინკები საძილეში მილაგია, ჩაცმას და დაშვებას დიდი დრო მიაქვს. გელას ვშველი და უკან ვბრუნდები.

რამდენიმე საათში გელა ისევ გვეძახის, მაგრამ ვხვდებით, ეს უკვე ურთიერთობის სურვილი და შეხმიანებაა და არა რეალური საჭიროება დახმარებისა. ჩვენ უკვე აღარ ვართ ისეთი გულაჩუყებულები და "კეთილები", როგორც რამდენიმე საათის წინ, ჩვეულებრივ უხეშები და ანგარიშიანები გავხდით, ვუფრთხილდებით და ვზოგავთ თავს ხვალისთვის. გელას ვთხოვთ, გაუძლოს კიდევ 40 წუთი გათენებამდე (თუმცა, გათენებამდე 2 საათია!) და ძილს ვაგრძელებთ.

20.07. ჩაის გელასთან ვადუღებთ, ვათავისუფლებთ აბურდულ თოკებს. ვემზადებით დაშვებისათვის. ვეშვები. კედელი უარყოფითია, თოკები არ ეხება კლდეს და მთლიანად ყინულის სქელი ქერქით არის დაფარული.

აი ზალიკოც! უკანასკნელად ვესაუბრები და ნაჩქარევად ვემშვიდობები.

ჟუმარს ვხსნი და სამახსოვროდ ვიტოვებ.

მერე ისევ ზემოთ, ბიჭებთან, მალე გელა მზადაა დასაშვებად. ვეშვები პირველი, მერე ფეხმოტეხილი ნიკა გამომყვება, შემდეგ აფი და გია გელას დაუშვებენ ორმაგ თოკზე, მე და ნიკა მივიღებთ, ჩემს გამზადებულ "სადგურზე" ჩვენს გვერდით დავკიდებთ. გია ბოლო დაეშვება, თოკებს ის და აფი გამოქაჩავენ. ამათ კედლის ძირამდე, შეიძლება საღამომდე ველარ შევხვდე, მხოლოდ შორიდან თუ დავინახავ. ვურჩევ, თუ საჭიროდ ჩათვლიან, მთელი რკინა-აღჭურვილობა შეატოვონ კედელს, მხოლოდ თოკებს უნდა გავუფრთხილდეთ ბოლომდე. ღამისსათევზე შეგროვებულ ზედმეტ ნივთებს გელას ზურგჩანთაში ვალაგებთ და ქვემოთ ვისვრით. შეიძლება ვიპოვოთ.

ვმუშაობთ საათივით აწყობილები. თავიდან რამდენიმე თოკზე გამიჭირდა დაშვება, თოკი ერთმაგია, ძალიან იჭიმება და წვრილდება, ბოლოშიც კვანძის გაკეთება არ შეიძლება, სადმე რომ არ გამეჭედოს, მოკლედ, უსიამოვნოა, მერე და მერე გაადვილდება, ახალი "სადგურების" კეთებაც არ მიწევს ხშირად, უფრო ძველ პალოებს ვამოწმებ, ვამაგრებ, თოკს ახალ რგოლებს ვუმატებ, თითქმის ყველა "სადგური" დაკიდებული ან ნახევრად დაკიდებულია. მეც ვეკიდები და ზურგჩანთასაც ზედ ვკიდებ. თოკს ვათავისუფლებ და ნიკას ვეძახი. ისიც ჩამოდის ასკინკილათი და დაღრეჯილი სახით. მერე გელასაც უშვებენ. გელა იშვიათად ახერხებს ფეხების მიხმარებას კლდეზე, ქურთუკი უკვე დაგლეჯილია და ირგვლივ სულ ბუმბული დაფრინავს. გელასაც ჩვენს გვერდით ვკიდებთ, ვაჭმევთ ან ვასმევთ. აფის ვთხოვ, დაცვის თოკი გამოუშვას. შხუილით მოსრიალებს ჰაერში ბოლოში კვანძგახსნილი თოკი. ქვედა ბოლო უკვე "სადგურზე" მაქვს ჩაბმული და ქვევით ვაგრძელებ დაშვებას, დაშვებისთვის და ახალი "სადგურის" მომზადებისთვის დიდი დრო მაქვს, სანამ აფი და გია დაეშვებიან და მერე თოკს გამოქაჩავენ. ქვემოთ კედლის ძირში ვერტმფრენი მოფრინდა, ხალხიც მომრავლდა მყინვარზე. რამდენიმე საათის დაძაბული მუშაობის შემდეგ ვატყობთ, რომ კედლის ძირამდე ჩასვლას ვასწრებთ. გახალისებული რაციას ვრთავ, ქვევით უკვე რამდენიმე რადიოსადგური მუშაობს. მეპასუხებიან ჯგუფის ხელმძღვანელები ჩანტლაძე, სარქისოვი, ბაქრაძე... მოკლედ, ყველა აქ არის, გვამხნევებენ, გველოდებიან.

ბოლო თოკიც და კედლის ძირში ღამისსათევზე ვეშვები, აქ ზალიკოს და მერაბს ზედმეტი პროდუქტი დაუტოვებიათ, პაშტეტი, პური, ძეხვი, ბოთლი წყლით. უკანასკნელად გვმასპინძლობენ მთაში. ხუთივე თავს ვიყრით ღამისსათევზე, ვჭამთ, თოვლს ვადნობთ, წყალსაც ვსვამთ.

ჩანტლაძე რაციაზე მატყობინებს – მერაბი და ზალიკო თბილისში გადაასვენეს და თქვენს აყვანას კედლის ძირიდან აპირებენო. აღარ მოგვიწევს მყინვარზე დაშვება, მთელი ერთი დღე დაგვეზოგება, ოღონდ, ქედზე მოსახერხებელი ადგილი უნდა ვნახოთ ვერტმფრენისათვის.

80 მ-ით ქვემოთ კარგი ადგილია, და ეს 80 მ. ქედზე ურთულესი აღმოჩნდა გელასთვისაც და ნიკასთვისაც, უკვე ორივე სატარებელია. ველოდებით ვერტმფრენს. დათო ებალოიძემ ზედ ქედზე დაკიდა ვერტმფრენი, ტრაპიც კი დაუშვეს. ჯერ ნიკა შევსვით ვერტმფრენში, მერე გელა, ბარგი და ჩვენც შევლაგდით. ვერტმფრენი ქედს წყდება და ჩვენთვის სამაშველო ოპერაციაც მთავრდება.

შემდეგ ვერტმფრენი კრებს მყინვარზე გაფანტულ დამხმარე ჯგუფებს და მესტიისკენ იღებს გეზს. არ მთავრდება მისამძიმრება-მილოცვა-მისალმება, მე (ალბათ სხვებიც!) ბურანში, თითქოს ნისლში დავდივარ, ვესალმები, ვეხვევი, ვეფერები, ვტირი, ვიცინი, ვჭამთ, ვსვამთ, ვამბობთ შესანდობარს. ვიცვლი ტანსაცმელს, ბარგს ვალაგებ, მაგრამ ყველაფერი ეს ძალიან არანორმალურია, მე არანორმალური ვარ, მე ვარ ორი უახლოესი ადამიანის გარეშე, ადამიანების, რომლის გარეშეც თავი თითქმის აღარ მახსოვს, ადამიანების, რომლებიც განსაზღვრავდნენ და ცვლიდნენ უამრავი ადამიანის სიცოცხლეს, ცხოვრებას. ძნელი იქნება დარჩენილი ცხოვრება, სანამ დრო თავისას არ წაიღებს.

ვუძლებთ პანაშვიდებს, გასვენებებს, შეხვედრებს მეგობრებთან, ნათესავებთან, ჰოლანდიელებთან.

25.07. გუშინ გვიან ღამე დავბრუნდით მერაბის გასვენებიდან, საღამოს ლევან მუშკუდიანი, გოგა კალაძე და მე მეტეოსადგურში ვართ, მყინვარწვერზე უნდა გავათიოთ ღამე. მოხევეები ამბობენ: – ხმალო, ქვაი შაგრევს, ქვაი გაგლესსო! ჩვენც ისევ მთა თუ მოგვიყვანს აზრზე.

26.07. პლატოზე საშინელი ამინდია, მაგრამ რახან ალმართს მივადექით, მე და გოგას ამინდი აღარ გვაწუხებს, მივდივართ მხოლოდ ზემოთ. საღამოსთვის გავდივართ მყინვარწვერის დაბალ წვერზე, აქედან ვიწრო ქედით ვეშვებით უნაგირაზე, ვთხრით დიდ ორმოს საკარვედ. საძილეებში ჩაწოლისთანავე კიდევ უფრო ფუჭდება ამინდი, ქარი გლეჯს ყველაფერს, თოვლს თითქოს დიდი თვითმცლელიდან გვაყრიან თავზე. გაბმული ჭექა-ქუხილია. განმუხტვა აქვე, ჩვენს მხალობლად ხდება. კარვის ჯოხები ზუზუნებს ელექტრული მუხტისაგან. ამ ღამეს ჩვენ ვერაფერს შევცვლით, მხოლოდ ხმამაღლა ვკითხულობთ ლოცვებს, ფსალმუნებს და მშვიდად ვიძინებთ.

27.07. ფანტასტიური ამინდია, ცივა, სიმშვიდეა, ჩამარხული კარვიდან ძლივს ვახერხებთ ამოძრომას, ვლაგდებით და მერე მწვერვალზე ავდივართ. 8 საათზე მწვერვალზე ვართ. საღამოს უკვე, ხინკალნაჭამები - თბილისში. ზეგ ტიან-შანზე მივდივარ!

*დასასრული შემდეგ ნომერში*

მოკლედ

## ნაოპერაციევი დი სტეფანო უკეთაა

როგორც ადრე ვიუწყებოდით, მადრიდის "რეალის" საპატიო პრეზიდენტ ალფრედო დი სტეფანოსთვის გულის შეტევის გამო რამდენიმე დღის წინათ ოპერაცია უნდა ჩაეტარებინათ. ოთხშაბათს "სამეფო კლუბის" რიგებში ჩემპიონთა ლიგის ხუთგზის ტრიუმფატორს ოპერაცია მართლაც ჩაუტარდა. ახლა კი ირკვევა, რომ დი სტეფანო თავს კარგად გრძნობს, გუშინ კი მეტყველებაც დაუწყია და საჭმლის დამოუკიდებლად მიღება.

## L´Eqipue-ის სიმბოლური ნაკრები მზადაა

ავტორიტეტული ფრანგული გამოცემა L'Eqipue-მა 2005 წლის ევროპის 11 საუკეთესო ფეხბურთელი დაასახელა. ევროპის სიმბოლური ნაკრები შემდეგი სათამაშო სქემით – 4-3-1-2 განალაგეს და ასეთი სურათიც მიიღეს: მეკარე: გრეგორი კუპე ("ლიონი"). მცველები: სანიოლი (""ბავარია"), ტერი ("ჩელსი"), კარაგერი ("ლივერპული"), მალდინი ("მილანი"). ნახევარმცველები: (კაკა ("მილანი"), ლემპარდი ("ჩელსი"), ჯერარდი ("ლივერპული"), რონალდინიო (""ბარსელონა"). თავდამსხმელები: შევჩენკო ("მილანი"), ეტო`ო ("ბარსელონა").

## "გალათასარაი" აბუნტდა

თურქეთის "გალათასარაის" ფეხბურთელებმა კლუბის ხელმძღვანელობას მუქარა შეუთვალეს, ვიდრე სახელფასო დავალიანებას არ გაასწორებთ, იანვრის დასაწყისში დაგეგმილ გუნდის შეკრებას ბოიკოტს გამოვუცხადებთო. "როიტერის" ცნობით, ჯერ კიდევ გასულ კვირას "გალათასარაის" ფეხბურთელებს შეჰპირებიან, სახელფასო დავალიანებას სრულად გაგისწორებთო, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელთა დანაპირები დანაპირებად დარჩენილა. ფაქტია, რიგი ფეხბურთელებისთვის სეზონის დაწყებიდან ხელფასს არ აძლევენ.

## აუგენტალერი "ვოლფსბურგს"

გერმანიის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი კლაუს აგენტალერი გუშინ "ვოლფსბურგის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. "როიტერის" ცნობით, აუგენტალერთან ხელშეკრულება დაიდო 2007 წალმდე.

## "ბორუსიამ" "ატლეტიკოს" როსიცკი დაუთმო

დორტმუნდის "ბორუსიის" ხელმძღვანელობამ მადრიდის "ატლეტიკოსგან" მიიღო წინადადება, რომელიც გერმანული კლუბისგან ჩეხი ნახევარმცველის ტომაშ როსიცკის შეძენას ეხება.

როგორც ესპანური "მარკა" იუწყება, თავდაპირველად ბორუსიელები მზად იყვნენ, როსიცკის 12 მილიონ ევროდ შელეოდნენ, მაგრამ ბოლოს მხარეები 10 მილიონზე შეთანხმებულან. უცნობია მხოლოდ ფეხბურთელის ფინანსური პირობების წვრილმანები.

## ყოფილ ჩემპიონს დღეს ასამართლებენ

კრივში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ჯეფ ფენეკი დღეს ავსტრალიის ქუინსლენდის სასამართლოს წინაშე მაღაზიის ძარცვის ბრალდებით წარდგებიან. საქმე ისაა, რომ 41 წლის ყოფილი ჩემპიონი 58 წლის თანამზრახველთან ერთად მაღაზიაში 292 დოლარის ღირებულების სამი საათის მოპარვის მცდელობისთვის დააკავეს.

## უსაფუძვლო ხმაური 2012 წლის ირგვლივ

საბერძნეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრი ლამბის ნიკოლაუ უარყოფს ხმებს იმის თაობაზე, თითქოს 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლის არჩევისას ხმა არასწორად მისცა ერთ-ერთ კანდიდატს. "ივნინგ სტანდარტის" ცნობით, გუშინ ნიკოლაუმ გაავრცელა განცხადება: "კენჭისყრის მესამე წრეში ჩემს ირგვლივ ატეხილი ხმაური უსაფუძვლოაო".

ადრე გავრცელებული ინფორმაციით ნიკოლაუმ მადრიდის ნაცვლად ხმა მისცა პარიზს.

რაც შეეხება 2012 წლის მასპინძელს, ასეთი ლონდონია, რაზეც ჩვენც დროულად ვიუწყებოდით.

## "სახე დაიბანე ზანგო!"

იტალიის ჰოკეისტთა ნაკრების წევრს ეროვნული პირველობის მატჩში მეტოქე გუნდის მოთამაშის რასისტული შეურაცხყოფისთვის სამუდამო დისკვალიფიკაცია მიესაჯა. "ასოშიეიტედ პრესის" ცნობით, იტალიის საციგურაო სპორტის ფედერაციის მიერ დანიელე ვეჯიატო მეტოქის ლუკა ზანდონელის შეურაცხყოფისთვის მოკვეთილია "იტალიის ნაკრების ყველა შემდგომი შეხვედრიდან".

იტყობინებიან, რომ მატჩის მსვლელობისას ვეჯიატოს მეტოქისთვის არაერთხელ მიუმართავს: "სახე დაიბანე ზანგო. ის არაა ღირსი იტალიის ნაკრების რიგებში ითამაშოსო".

## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადება

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2005 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე დაამტკიცა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების შედეგები.

სერტიფიცირება გავლილ პირთა სია და აღნიშნული განკარგულება გამოქვეყნებულია ცესკოს ვებ-გვერდზე www.cec.gov.ge

## სუპერბებია და სუპერბაბუა 2006

4 იანვარს 15 საათზე "კათარზისის" სათნოების სახლში გაიმართება ხანდაზმულთა მეორე კონკურსი: ცეკვაში, სიმღერაში, სასცენო ხელოვნებაში, თანამედროვე და თეატრალური კოსტიუმების ჩვენებაში.

მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საპენსიო ასაკის ქალბატონებსა და მამაკაცებს, რომლებიც არ არიან პროფესიონალი მსახიობები.

დაწესებულია პრემიები. ნომინაციებში გამარჯვებულთაგან ჟიური დაასახელებს სუპერბებია და სუპერბაბუა 2006-ის წოდების მფლობელებს.

მონაწილეობის მსურველები დაგვიკავშირდით "კათარზისში", 30 დეკემბრის ჩათვლით.

მისამართი: დ. აღმაშენებლის 121

ტელეფონი: 95-43-32; 95-77-85 (10 საათიდან 17 საათამდე,შაბათ-კვირის გარდა)

ზაურ-ლაზარე ალადაშვილი ასოციაციის პრეზიდენტი.

ფეხბურთი

# მარადონა ბრუნდება

მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა დიეგო არმანდო მარადონა არ გამორიცხავს, რომ დიდ ფეხბურთში დაბრუნდება. მარადონას გადაწყვეტილი აქვს, მინდორზე არგენტინის მეორე დივიზიონის კლუბის "ესკურსიონისტასის" ღირსება დაიცვას.

"ესკურსიონისტასის" ხელმძღვანელობამ მარადონათი დაინტერესება მას შემდეგ გამოთქვა, რაც ლეგენდარული ფეხბურთელის ერთ-ერთ ინტერვიუში ითქვა, რომ მას სურდა მინდორზე დაბრუნება. "მე უკვე 45 წლის ვარ, მაგრამ არასოდეს მითქვამს, რომ ფეხბურთს ცხოვრებაში აღარ ვითამაშებ და ამის შესახებ არც არასოდეს ამიღია რაიმე სახის ვალდებულება. მე მსურს, "ესკურსიონისტასის" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკება გავმართო - განაცხადა დიეგო მარადონამ. არგენტინული კლუბის პრეზიდენტმა არმანდო მაინოლიმ განაცხადა, რომ, თუ მარადონა მიიღებს მის წინადადებას, კლუბს სურს, ფეხბურთელი განაცხადში შეიყვანოს. ამასთან ყურადსაღებია, რომ არგენტინაში ჩემპიონატის დაწყებამდე განაცხადების მიღების ვადა 3 თებერვალს იწურება.

შეგახსენებთ, რომ მარადონა ბოლოს მინდორზე 1997 წლის 25 ოქტომბერს გამოვიდა "ბოკა ხუნიორსის" მაისურით და "რივერ პლეიტის" წინააღმდეგ ითამაშა. მას შემდეგ კი დიდი ხნის განმავლობაში კუბაში მკურნალობდა ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან გასათავისუფლებლად. ერთხელ კი სიკვდილის პირასაც მივიდა. ამჟამად დიეგო მარადონა ტელეწამყვანია.

# მოსკოველი თურქი



*ნიჰათი ოთხ წელიწადში 11.5 მილიონ ევროს მიიღებს.*

ესპანური "რეალ სოსიედადის" თურქმა ფორვარდმა ნიჰათმა გადაწყვიტა, ხელი მოაწეროს მოსკოვის "სპარტაკთან" კონტრაქტს. ესპანური პრესის ცნობით ნიჰათი ამ შეთანხმების საფუძველზე ოთხ წელიწადში 11,5 მილიონ ევროს მიიღებს.

ოფიციალურად კონტრაქტი მას შემდეგ გაფორმდება, რაც ნიჰათი მოსკოვში სამედიცინო შემოწმებას გაივლის. რუსები ბასკებს სამ მილიონ ევროს გადაუხდიან. ნიჰათის კონტრაქტი ბასკურ კლუბთან მომავალი წლის ზაფხულში იწურებოდა.

ესპანური პრესა იუწყება, რომ თვითონ ფორვარდს სურდა კარიერა პრიმერადივიზიონში გაეგრძელებინა. მას მიწვევა ჰქონდა "ვალენსიასა" და "სევილიასგან". ნიჰათით ინგლისური კლუბებიც იყვნენ დაინტერესებულნი, მაგრამ იმდენი, რამდენსაც "სპარტაკი" შეჰპირდა თურქ ფორვარდს არავინ უხდიდა, ამიტომ ნიჰათმა მოსკოვში გადასვლა გადაწყვიტა. თან "რეალ სოსიედადმაც" შთამბეჭდავი კომპენსაცია მიიღო.

შეგახსენებთ, რომ ნიჰათის დებიუტი დიდ ფეხბურთში 17 წლის ასაკში მოხდა. იქ ფეხბურთელმა ხუთი სეზონი გაატარა და ამ ხნის განმავლობაში 27 გოლი გაიტანა. ნიჰათმა შედეგიანობით ევროპელი სელექციონერების ყურადღება მიიპყრო. მათ შორის ყველაზე დაჟინებული "რეალ სოსიედადის" ხელმძღვანელობა აღმოჩნდა, რომელმაც ახალგაზრდა თურქს ესპანეთში გადაბარგება შესთავაზა.

ხუთ წელიწადში ნიჰათი სან-სებასტიანელი ფანების საყვარელი ფეხბურთელი გახდა და მეტოქეთა კარში 55 გოლი გაიტანა. სპეციალისტებს არაერთხელ აღუნიშნავთ თურქი ფორვარდის გოლეადორული შესაძლებლობები, ხოლო ჟურნალისტებს ნიჰათი მუდმივად სხვა კლუბში გადაჰყავდათ. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ შარშან ფეხბურთელის გადაბირებას მოსკოვის ცსკა ცდილობდა. ნიჰათით კიდევ ერთი მოსკოვური კლუბი "დინამოც" იყო დაინტერესებული.

თუმცა ბოლო მომენტში თურქმა მარცხენა მუხლის ჯვარედინი იოგები გაიწყვიტა, ამის გამო მისი ცსკაში გადასვლა დროებით შეჩერდა. ეს თემა გასულ ზაფხულშიც ამოტივტივდა. ესპანური პრესა იმასაც წერდა, რომ რუსებსა და "რეალ სოსიედადს" შორის წინასწარი კონტრაქტი უკვე გაფორმებულია და ყველა დეტალი, საბოლოო ჯამში, 20 ივნისამდე უნდა მოგვარებულიყო. 4 ივლისს კი მოსკოვში ფეხბურთელის წარდგენაც უნდა მომხდარიყო. თუმცა ამჯერადაც მხარეებს შორის რაღაც ვერ აეწყო და ნიჰათი კვლავ ვერ გადავიდა არმიელთა კლუბში.

სამაგიეროდ წლის ბოლოს "სპარტაკმა" და "დინამომ" ფეხბურთელზე სერიოზული პრეტენზია გამოთქვეს. თანაც "სპარტაკის" ხელმძღვანელობის წინადადება ნიჰათს იმდენად მოეწონა, რომ მან უარყო მადრიდის "რეალის", "ბარსელონას", "ჩელსის" და "ბაიერნის" წინადადებები.

მთელი საქმე ის არის, რომ "სპარტაკის" დარი პირობები და ხელფასი ნიჰათისთვის არავის შეუთავაზებია. ამას გარდა, მომავალ სეზონში "სპარტაკი" ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს, რაც პრიმერადივიზიონში დარჩენაზე პერსპექტიული ვარიანტი იყო. "დინამომ" ესპანელებს, მხოლოდ ორი მილიონი ევრო შესთავაზა და ბუნებრივია, რომ "რეალ სოსიედადის" ხელმძღვანელობამ უარყო ეს წინადადება. ამასთან ნიჰათი 6 მილიონ ევროზე ნაკლებ ფასში გაიყიდა (სწორედ ამდენი გადაუხადეს ესპანელებმა თავის დროზე თურქულ "ბეშიქთაშს"). ეს კი ნიშნავს, რომ ბასკებს აღარ მოუწევთ ნიჰათის ტრანსფერიდან თურქებისთვის კომპენსაციის გადახდა.

სხვათა შორის ესპანური კლუბის ხელმძღვანელობამ უკვე მოძებნა ნიჰათის შემცვლელი. უახლოეს მომავალში "რეალ სოსიედადში" გადავა დანიის ნაკრებისა და "ბრონდბიუს" ფორვარდი მორტენ სკოუბო, რომლის სანაცვლოდაც ბასკები 3 მილიონ ევროს გადაიხდიან. ეს მაღალი ფორვარდი (191 სმ) "რეალ სოსიედადის" კლუბის ხელმძღვანელობის ვარაუდით გუნდისთვის ზედგამოჭრილი იქნება.

## კაპელო "მანჩესტერ იუნაიტედზე" ოცნებობს

ტურინის "იუვენტუსის" მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ აღიარა, რომ თუ მას ოდესმე "მანჩესტერ იუნაიტედში" მუშაობას შესთავაზებენ, აღსრულდება მისი დიდი ხნის ოცნება.

შეგახსენებთ, რომ კაპელოს ხელმძღვანელობით "იუვენტუსი" 28-ედ გახდა იტალიის ჩემპიონი. ადრე მწვრთნელი მადრიდის "რეალსაც" ედგა სათავეში და ისიც ესპანეთის ჩემპიონი გახადა. საერთოდ სპეციალისტთა აღიარებით კაპელოს "რეალი" ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი იყო მეოცე საუკუნის მიწურულს.

ამას გარდა, კაპელომ კიდევ ორი იტალიური კლუბი - "მილანი" და "რომა" მიიყვანა "სკუდეტომდე". "მილანთან" ერთად კი მწვრთნელმა თავის დროზე ჩემპიონთა ლიგაც მოიგო. კაპელო ამბობს, რომ სავსებით კმაყოფილია იტალიაში მოღვაწეობით. თუმცა ინგლისში მუშაობის პერსპექტივა მისთვის მეტად მაცდუნებელია.

"მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელობა ჩემი დიდი ხნის ოცნების ასრულება იქნებოდა" - ამბობს ფაბიო კაპელო. ამასთან მწვრთნელმა აღიარა, რომ ინგლისური კლუბისგან არავითარი წინადადება არ მიუღია. 2002 წელს, როცა სერ ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, რომ კლუბის დატოვებას აპირებდა, ფაბიო კაპელოს მის ერთ-ერთ შემცვლელად მოიაზრებდნენ, მაგრამ ფერგიუსონმა მაშინ თანამდებობა შეინარჩუნა.

"მანჩესტერ იუნაიტედი" უდიდესი კლუბია და მას შესანიშნავი მწვრთნელი ჰყავს - განაცხადა ტურინის "იუვენტუსის" მწვრთნელმა - მე ფერგიუსონის მიმართ დიდ პატივისცემას განვიცდი".

"მე კმაყოფილი ვარ "იუვენტუსის" თამაშით და მსურს, რომ ის კვლავ გახდეს იტალიის ჩემპიონი და ჩემპიონთა ლიგა მოიგოს. და ჩვენ ორივე ჯილდოს სერიოზული პრეტენდენტები ვართ" - თქვა ფაბიო კაპელომ. ამასთან ტურინელთა მწვრთნელმა აღიარა, რომ იმედოვნებს, "იუვენტუსთან" მუშაობას 2006 წლის ზაფხულში დაასრულებს. "თუ გარემოებები ხელს შემიწყობენ არავითარ შემთხვევაში ხელიდან არ გავუშვებ ინგლისში მუშაობის შესაძლებლობას. პრემიერლიგა უაღრესად საინტერესო ჩემპიონატია და მსურს დავამტკიცო, რომ ინგლისშიც ისევე წარმატებით შემიძლია მუშაობა, როგორც იტალიასა და ესპანეთში" - განმარტა ფაბიო კაპელომ.

## ქ. თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის (საკონკურსო) კომისია აცხადებს კონკურსს ქ. თბილისში რიყის ტერიტორიის (43350 კვ.მ მიწის ნაკვეთი) განკარგვაზე საკუთრებაში გადაცემის მიზნით

### საკონკურსო პირობები

**პრეამბულა**

ქ. თბილისის მერიამ გადაწყვიტა, ქალაქის უმნიშვნელოვანესი, რიყის ტერიტორიის პოტენციალის გამოვლენისა და მისი ოპტიმალური გამოყენებისათვის, მოაწყოს კონკურსი რიყის ტერიტორიის განკარგვაზე საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

**საპროექტო ტერიტორიის ზოგადი დახასიათება**

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისის ისტორიულ უბანში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. ტერიტორია შემოსაზღვრულია აღმოსავლეთით-ბარათაშვილის აღმართით, სამხრეთით - მეტეხის პლატოთი, დასავლეთით - მდ. მტკვრით, ჩრდილოეთით - ბარათაშვილის ხიდით.

ბარათაშვილის აღმართის გასწვრივ ტერიტორიის განაშენიანება წარმოადგენს 1-2 სრთულიან ნაგებობებს, დანარჩენი ნაწილი თავისუფალია განაშენიანებისაგან, რომლის ფართობი შეადგენს 65350 კვ.მ. აქედან 22000 კვ.მ-ს იკავებს მაგისტრალი. ამრიგად გასასხვისებელი ტერიტორია შეადგენს 43350კვ.მ-ს. ტერიტორიაზე არსებობს გაზონური გამწვანება. ქანობი მდ. მტკვრისაკენ შეადგენს 1-2%.

**III საკონკურსო ტერიტორიის ფასი**

საკონკურსო ტერიტორიის საწყისი ფასი - შვიდი მილიონი ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტი ლარებში.

**IV. ძირითადი მიზნები და ამოცანები**

რიყის ტერიტორია ამჟამად მოწყვეტილია წყლის სარკეს და ქალაქისათვის სარეკრეაციო სივრცე ფუნქციით გამოუყენებელია. ამის ერთ-ერთი დამაბრკოლებელი მიზეზი სანაპიროს ძალიან განიერი მაგისტრალია, თავისი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძებით.

აღნიშნული ტერიტორია შეიძენს განსაკუთრებულ ღირებულებას თუკი ის გავა უშუალოდ მტკვრის სანაპიროზე და დატვირთული იქნება უპირატესად სარეკრეაციო ფუნქციით, ამ ზონისათვის შესაბამისი ობიექტების განთავსებით, ასევე განიერი მწვანე ტერიტორიების არსებობით. ამავე დროს ამ ტერიტორიაზე უნდა არსებობდეს საზოგადოებრივი სივრცე.

აუცილებელია:

სატრანსპორტო მაგისტრალმა გადაიწიოს სიღრმეში ბარათაშვილის აღმართის საყრდენი კედლისკენ და შეინარჩუნოს იგივე ფართობი;

გზის გადატანის შედეგად სანაპირო გათავისუფლდეს საფეხმავლო გზის მოსაწყობად არა ნაკლებ 10 მეტრისა

გათვალისწინებულ იქნეს კავშირი მეორე სანაპიროსთან საფეხმავლო ხიდით (რესტორან "ბერიკონის" ზონაში);

მოცულობების სიმაღლეების განსაზღვრა უნდა მოხდეს დაღმართის თაღების სიმაღლეების გათვალისწინებით. ნაგებობების განთავსებისას უნდა შეირჩეს მწვანეში ჩადგმული შენობების ტიპები;

გამწვანების პროცენტი არ უნდა იყოს 25-ზე ნაკლები გასასხვისებელი ტერიტორიისა;

ტერიტორიაზე განლაგებული განაშენიანების ფუნქცია შერეიული უნდა იყოს და მოიცავდეს როგორც საოფისე ასევე საზოგადოებრივ და საცხოვრებელ შენობებს.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და საკონკურსო წინადადებები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2005 წლის 30 დეკემბრის 11-სადან 2006 წლის 14 თებერვალს 17-სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, ქალაქ თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის (საკონკურსო) კომისიაში.

კონკურსში მონაწილეობისათსათვის პრეტენდენტმა საკუნკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს:

განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;

განცხადება დალუქული პაკეტის სახით, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საკონკურსო პროგრამის III პუნქტით გავალისწინებულ მოთხოვნებს.

ფიზიკური ან იურიდიული პირების რეკვიზიტები;

შემდეგი ცნობები:

იურიდიული პირისათვის:

ცნობა საგადასახადო და სასამართლო ორგანოებიდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არსებობს დადებული ყადაღა;

ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

სადამფუძნებლო დოკუმენტაციის (წესდება და ოქმი) ასლი;

"ბეს" გადახდის დამადასტურებელი საბუთი, საწყისი ფასის 5 პროცენტის ოდენობით ლარებში;

საწყისი ფასის 25 %-ის საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში იქნება 1 წლის ვადით, ან ამავე თანხის ქონების იპოთეკით ან გირავნობით დატვირთვის ვალდებულება.

ფიზიკური პირისათვის:

პირადობის მოწმობის ასლი;

ცნობა სასამართლო ორგანოებიდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება ფიზიკური პირის გაკოტრების საქმე;

ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

"ბეს" გადახდის დამადასტურებელი საბუთი, საწყისი ფასის 5 პროცენტის ოდენობით ლარებში;

საწყისი ფასის 25 %-ის საბანკო გარანტია, ან ამავე თანხის ქონების იპოთეკით ან გირავნობით დატვირთვის ვალდებულება.

**"ბეს" გადახდა უნდა მოხდეს ქ. თბილისის შემოსულობების ერთიან ანგარიშზე:**

ანგარიშის N200122900

საქართველოს ეროვნული ბანკი

სახაზინო კოდი:

ისანი-სამგორის რაიონი 300054042

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა იმ მოთხოვნილ ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

საკონკურსო კომისია ერთი კვირის ვადაში აცნობებს კონკურსში მონაწილე ყველა პირს კონკურსის შედეგების შესახებ.

კონკურსში გამარჯვებულთან გაფორმდება სათანადო ხელშეკრულება, სადაც გათვალისწინებული იქნება გამარჯვებულის საკონკურსო წინადადება და მხარეთა შორის ურთიერთობათა რეგულირების სხვა პირობები.

**დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ილია შარაშენიძე, საკონკურსო კომისის მდივანი, საკონტაქტო ტელეფონი 99-53-26, 899 33-22-11, მისამართი: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2;**

**ქ. თბილისი მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური, ტელ:96-91-26 (111), მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. 89/24 მარიკა ბეჟაშვილი 877 74-49-75**

# პატარა ვირტუოზები

ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმში გაიმართა საშობაო-საახალწლო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ნიჭიერთა ათწლედის აღსაზრდელები.

ეროვნული მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელის ნიკა მემანიშვილის გამოჩენას ბავშვების დიდი სიხარული მოჰყვა. ბატონი ნიკა მიესალმა საზოგადოებას და სიტყვით მიმართა პატარა მუსიკოსებს: - "ასეთი ტიპის შეხვედრები მოგვაკლდა, მე ამ ასაკში თვეში ორჯერ მაინც მიწევდა დაკვრა. მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოში ყველაზე მუსიკალური დარბაზი ეს არის, - მხატვრობა ძალიან დიდ აურას ქმნის მუსიკისთვის. უამრავი ადამიანი უკრავდა ამ როიალზე. მათ შორის, რიხტერი. ვინც ამ როიალზე დაუკრავს, ძალიან დიდ წარმატებებს მიაღწევს. მახსოვს ჩემი ბავშვობის განცდა, რომელიც დღემდე მომყვება. და მინდა, ამ ბავშვებმა ერთმანეთი გაიცნონ და ამ ჭერქვეშ მათი დამეგობრება სიმბოლური გახდეს. ჩვენ ხშირად მოგიწვევთ, რათა ერთმანეთს მოუსმინოთ, უგულშემატკივროთ და მუსიკალური პაექრობის დროს არ იყოთ არაკეთილმოსურნენი ერთმანეთის მიმართ.

გვაქვს სამომავლო გეგმები, მიუხედავად შეჭირვებული ფონდისა, მაინც გვაქვს შესაძლებლობა ნიჭიერმა ბავშვებმა დაუკრან სიმფონიურ ორკესტრთან. ამდენ სტუმარს მართლა არ ველოდი და ახლა - კი, თქვენთან ერთად მოვუსმინოთ ჩემს პატარა მეგობრებს."

კონცერტში მონაწილეობდნენ, ლიზა ჟვანია, გოგი ბერიძე, სოფიკო ხოჯაძე, ზურა გვანცელაძე, ბექა ბაბუაძე, გოგი ჯაიანი, გოგი გაბრიელაშვილი, ირმა გიგანი (რომელმაც ფანტასტიკურად დაუკრა მოცარტის ფანტაზია), და ყველაზე პატარა მონაწილე – 8 წლის ჩელისტი სანდრო სიდამონიძე.

დასასრულს ნიკა მემანიშვილი წარდგა პუბლიკის წინაშე გიორგი გაბრიელაშვილთან ერთად.

კონცერტის დასრულების შემდეგ ბატონმა ნიკამ თავად გადასცა საახალწლო საჩუქრები მომავალ ვირტუოზებს და გზა დაულოცა პროფესიონალიზმისკენ.

# ორი პრეზენტაცია ერთ დღეში

ნინო ჩიმაკაძე

გუშინ თბილისისთვის არც თუ ისე ხშირ მოვლენას ჰქონდა ადგილი. ქალაქში ერთ დღეს და თითქმის ერთსა და იმავე დროს (ერთსაათიან განსხვავებას თუ არ ჩავთვლით) ორი წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. პირველის ავტორი დათო ტურაშვილი გახლავთ, მეორე კი რატი ამაღლობელმა წარმოგვიდგინა.

ტურაშვილის წიგნის "აჩიბაბა და ორმოცი ყოჩაღი" პრეზენტაცია ახლად გახსნილ "პარნასის" ფილიალში შედგა. დათო ახლახანს ჩამოვიდა ესპანეთიდან და ერთ კვირაში ისევ მიემგზავრება. იქ ერთწლიანი პროგრამით იმყოფება და ქართველებისა და ბასკების წარმომავლობას და მათ ურთიერთკავშირს იკვლევს. ამ თემაზე ის სადოქტორო დისერტაციის დასაცავად ემზადება. ტურაშვილის ახალ წიგნში თხუთმეტი მოთხრობაა გაერთიანებული. მოთხრობებს მეტად მრავალფეროვანი და საინტერესო სათაურები აქვს: "ტატაშ მარშანი", "იყო ასეთი ქალაქი", "მეორედ მოსვლა", "ჯამაიკა", "კერუაკის გზა" და ა.შ. კრებულს ამთავრებს მოთხრობა "აჩიბაბა და ორმოცი ყოჩაღი", აჩიბაბა, როგორც დათომ განგვიმარტა, მეგრულად ქალისთვის ბრძოლას ნიშნავს. ავტორისვე თქმით, წიგნი ეძღვნება მის აფხაზ მეგობარს. ამას წიგნის პირველ გვერდზე წანამძღვარიც ადასტურებს: "საჩუქრად ჩემს მეგობარს - დოდიკ შარანგიას, ვისაც ჩემზე მეტად ენატრება აფხაზეთის ლურჯი ზღვა..." კრებულში აფხაზეთისა და ზღვის თემა რამდენიმე მოთხრობაში ფიგურირებს. პრეზენტაციის შემდეგ დათო ტურაშვილმა ისაუბრა ესპანეთზე, ფეხბურთზე, იქაურ ცხოვრების სტილზე და მის მსგავსებაზე ქართულთან.







ერთი საათის შემდეგ იმ სახეებმა, ვისაც "პარნასში" ვხედავდით, წიგნის სახლში გადაინაცვლეს. სწორედ აქ შედგა რატი ამაღლობელის ახალი ლექსების კრებულის პრეზენტაცია. წიგნს "წრე" ჰქვია. სახელს ავტორი წინასიტყვაობაში ასე ხსნის: "წრე შეიძლება უსასრულოდ გაფართოვდეს, ან პირიქით - უკიდურესად შეიკუმშოს და წერტილად იქცეს... ასე რომ, ეს წრეა, მოჯადოებული წრე - ავტორის, ტექსტის და მკითხველის. ვისაც გსურთ ამ წრეში ყოფნა, შიგნით შემოდით." ეს რატის რიგით მესამე კრებულია. მასში ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში დაწერილი ლექსებია შესული. პრეზენტაციაზე მისმა მეგობრებმა რატის პოეზიაზე ისაუბრეს და საკუთარი აზრი გამოთქვეს. შემდეგ ავტორმა ორი ლექსი წაიკითხა ახალი წიგნიდან, ბოლოს კი გვითხრა, დანარჩენი თქვენ წაიკითხეთო და გუშინდელი აქტიური, ლიტერატურული, თბილისური საღამოც ამით დასრულდა.




ნინია კაკაბაძის სვეტი

# მომავალი კრიმინალების გარეშე



ვიდრე წერას დავიწყებდე, მინდა ჩემი დამოკიდებულების შესახებ მოგახსენოთ, კანონიერი ქურდების მიმართ. სხვებსაც ასე ვურჩევ, ვიდრე სიტყვას ითხოვდნენ, ქურდებზე ილაპარაკონ. მართალი გითხრათ, არ ვიცოდი, თუკი კანონიერ ქურდებზე საუბარი და, მით უმეტეს, უარყოფითი დამოკიდებულების გახმოვანება გმირობის ტოლფასი იყო. ამიტომ ამ შანსს ხელიდან არ გავუშვებ, საახალწლოდ საკუთარ თავს საჩუქარს გავუკეთებ და გმირად შევირაცხავ თავს. არ მიყვარს და არავითარი მოწიწება თუ პატივისცემა არ გამაჩნია კანონიერი ქურდების მიმართ. უკანასკნელ წელიწადში პარლამენტის მიერ მიღებულ, მეტად თუ ნაკლებად აბსურდულ კანონებს შორის, კანონი კანონიერ ქურდებთან დაკავშირებით, სრულიად გამართლებულად მეჩვენება. არც მათდამი დამოკიდებულებას ვუყურებ კრიტიკული თვალით. მომწონს და ვაფასებ ყველა პრინციპულ და კატეგორიულ განცხადებას მათ მიმართ. მაგრამ, ერთი მაშინებს - კანონიერ ქურდებზე არ მოხდეს ფიქსირება და კრიმინალურ ავტორიტეტებს მხოლოდ სახელი არ შევუცვალოთ – შინაარსი კი უცვლელი არ დარჩეს. სამწუხაროა, რომ თუნდაც საპარლამენტო უმცირესობის რიგებში, რომელნიც კანონიერ ქურდების ასეთ ხმამაღალ ანტიპროპაგანდას ეწევიან, კრიმინალებიც არიან და ავტორიტეტებიც. ამიტომ, კარგი იქნება თუკი დავეჩვევით, კათარზისი საკუთარი რიგებიდან დავიწყოთ და შემდეგ სხვებს მოვუწოდოთ იგივე – დამერწმუნეთ, ეს მეტად დამაჯერებელი და ღირსეული ნაბიჯი იქნება ინიციატორების მხრიდან. გამოვრიცხოთ საკუთარი რიგებიდან, ნარკოდილერები, რეკეტიორები, მკვლელები, ყაჩაღები, ქურდები და ბოლოს, რაც მთავარია, კრიმინალური ავტორიტეტები, რომელნიც არა მხოლოდ ციხეებში სხედან, არამედ, თუნდაც პარლამენტშიც უხვად არიან. ამის შემდეგ შეგვიძლია, ღიად, ხმამაღლა და თამამად გავწიოთ კრიმინალების ანტიპროპაგანდა.

ახლა კი, რადგან ვალი მოვიხადე ერისა და უმრავლესობის ლიდერების წინაშე, გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, მრავალ ახალ წელიწადს დაესწარით და მომავალი წელი გაცილებით უკეთესი ყოფილიყოს ყოველი ჩვენგანისათვის, ვიდრე გასული იყო. მე ამის ღრმად მწამს და მინდა ასევე სჯეროდეს საქართველოს თითოეულ მოქალაქეს.

ესეც ასე. დღესასწაულები ყოველთვის სევდიან განწყობას მიქმნის, ამიტომ გასულ წელს არც თუ ისე ოპტიმისტური და სადღესასწაულო სვეტი მოვამზადე ჩვენი მკითხველისათვის, რისთვისაც მთელი 2005 წელი ბოდიშებს ვიხდიდი. საზეიმო განწყობა არც ახლა მაქვს, მაგრამ შეცდომებს გამოსწორება უნდა და ამიტომ...

მინდა საქებარი სიტყვები არც ერთი მათგანისთვის არ დავიშურო, ვინც და რაც ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან კრიტიკის ობიექტი გახლდათ. არადა გასულ წელს მართლაც ბევრი გაკეთდა. ყველა გაკეთებულ საქმეს რა ჩამოთვლის, მაგრამ მგონი, ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენი ყურადღების მიღმა არ დარჩება. რასაკვირველია, ახალი ასფალტი და განათებული თბილისი, ახალი შადრევნები და ბუშის ქუჩა, ბუშის ვიზიტი, პატრული და "პატრიოტი". ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა კიდევ წინ არის – ზურაბ წერეთლის ახალი მონუმენტი თავისუფლების მოედანზე, გასულ წელს მხოლოდ მისი საძირკვლის ჩაყრით დაგვიამეს გული, ყველაფერი წინ არის.

მიუხედავად ამისა, უნდა აღვნიშნო, რომ ასფალტი არც თუ ისე კარგად არის დაგებული, თბილისის ცენტრალურ პროსპექტებზე უკვე გამოჩნდა ე.წ. ღრმულები. განათებასთან პრეტენზია, როგორ შეგვიძლია გვქონდეს, თუკი მთელ საქართველოს გაანათებს და შემდეგ მივყოფთ ხელს ცალკეული ლამაზი შენობების განათებას. თანამედროვე საქართველოში ახალი ტენდენციაა, მიცვალებულებს სახეზე ფერუმარილს უსვამენ, ანუ მაკიაჟს უკეთებენ, ამ ახლად შეღებილი სახლების საქმეც ასეა. ბუშის ვიზიტი ნამდვილად წლის საუკეთესო მოვლენა იყო, მაგრამ პირადად ჩემთვის, მისი სახელის და ვიზიტის უკვდავსაყოფად, მისი სახელობის ქუჩა გაცილებით სასიხარულოა. სწორედ ამ ქუჩის მეშვეობით მემახსოვრება, თვალზე ცრემლი მომადგება და შვილებს, შვილისშვილებს მოვუყვები, რომ ოდესღაც თვით ჯორჯ ბუში იყო ჩემს ქვეყანაში, ქალაქში და აი, ამ ქუჩაზეც გაიარა. ამინ. ახალგაზრდა პატრიოტებს პრეზიდენტი ნაადრევად მოუწოდებდა ბუჩქებში კონტრიალს, თუმცა ამ კეთილ წამოწყებას დრო ნამდვილად არ გააჩნია, მაგრამ არ მინდა ვიფიქრო, რომ აგრესიულად განწყობილი თავდაცვის მინისტრის მეშვეობით ეს "ახალგაზრდა სააკაშვილები" მხოლოდ ამ ტკბილი მოგონებების ამარა არ დარჩნენ და თავი ასე ნანატრ ტერიტორიულ მთლიანობას არ შესწირონ.

ბანაკები, შადრევნები, ფერადი სახლები, ასფალტი და რაც მთავარია, მომრავლებული სახალხო ზეიმები უმნიშვნელო სიახლეებია, რაც ყველაზე მეტად ჩანს და ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანია. სინამდვილეში გასულ წელს მხოლოდ ორი პოზიტიური მოვლენა იყო. ეროვნული გამოცდები, სადაც ბავშვებს მართლაც საკუთარი ცოდნის შედეგად მიეცათ უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრის შანსი და რუსეთის ბაზების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის დასაწყისი. განათლების სამინისტრომ ის მანკიერი სისტემა დაამსხვრია, რომლის შედეგად ქვეყანა ყოველწლიურად უსწავლელი სტუდენტებით მდიდრდებოდა და უცოდინრობა, არაპროფესიონალიზმი, არაკვალიფიციურობა ქვეყნის სენად იქცა. რუსული ბაზების საკითხი კი პრაქტიკულად დაასრულებს 80-წლიან საკრალურ მიზანს, რასაც თავისუფალი საქართველო ჰქვია.

აქედან გამომდინარე, უმჯობესი იქნება, თუკი, როგორც ხელისუფლების, ასევე საზოგადოების წევრები წინსვლებზე საუბრისას ამ რეალურ მიღწევებზე ისაუბრებენ და არა უსაზღვრო, სახალხო ზეიმებზე, სახლებზე, ასფალტებზე, ბანაკებზე თუ შადრევნებზე. და კიდევ ერთი. კარგი იქნება, თუკი ქვეყნის პირველი პირი, აღმასრულებელი ხელისუფლება თუ პარლამენტი გამოიჩენენ სასამართლოში რეფორმის ჩატარების ინიციატივას; თუკი კანონს გაცილებით მეტი ძალა ექნება, ვიდრე ნებისმიერ ჩინოვნიკს აქვს. და ვიდრე ეს ნება ხელისუფლების მხრიდან, არა თუ მკრთალად, არამედ სრულიად არ მოჩანს, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ჩვენი ხელისუფლება საკუთარ რიგებში ქმნის კრიმინალურ ატორიტეტებს, რომელნიც განსაზღვრავენ დანმაშავეების და მათ შორის უდანაშაულოთა ბედს. ამიტომ, საეჭვოდ გამოიყურება მათი განცხადება კანონიერი ქურდების წინააღმდეგ - ვინც თავად კრიმინალურად აზროვნებს, კანონს არ ემორჩილება და პირდაპირი მითითებების საფუძველზე აპატიმრებს მისი და დიადი პარტიის წარმოსახვით მტრებს. კანონიერი ქურდების მთავარი პრინციპი ხომ ყველა კონსტიტუციით განსაზღვრული კანონის უარყოფაა, რომელსაც თანამედროვე საქართველოში ყველაზე მეტად თავად ქვეყნის პირველი პირები და პარლამენტის აქტიური წევრები არღვევენ.

ასე რომ, კრიმინალურ სახელმწიფოში, ახალ კანონიერ წელს გილოცავთ და პირველ რიგში კრიმინალებისგან გათავისუფლებას ვუსურვებ ქართულ მთავრობას და საზოგადოებას. ამის შედეგად უკეთესი მომავალი პრაქტიკულად გარანტირებული იქნება.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო

სახელმწიფო სააგენტო იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს მიიღოს მონაწილეობა ტენდერში ნავთობისა და გაზის რესურსების ძებნა-ძიებისა და მოპოვების უფლების მისაღებად. ტენდერი ჩატარდება საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოში ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების მარეგულირებელი ეროვნული წესების შესაბამისად.

სალიცენზიო ბლოკები

V სალიცენზიო ბლოკი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში და ადმინისტრაციულად მიეკუთვნება: გალის, წალენჯიხის, მესტიის, ჩხოროწყუს, მარტვილის, ცაგერის, ხონის, სენაკის, ხობის, ზუგდიდის, აბაშის, სამტრედიის, ლანჩხუთის, ჩოხატაურისა და ლენტეხის რაიონებს. ფართობი 5770 კვ კმ.

VI[A] სალიცენზიო ბლოკი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში და ადმინისტრაციულად მიეკუთვნება: ლენტეხის, ცაგერის, ამბროლაურის, ტყიბულის, წყალტუბოს, სამტრედიის, ხონის, ვანის, ბაღდათისა და თერჯოლის რაიონებს. ფართობი 3330 კვ კმ.

VI[8] სალიცენზიო ბლოკი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში და ადმინისტრაციულად მიეკუთვნება: ამბროლაურის, ონის, ჯავის, საჩხერის, ჭიათურის, ტყიბულის, თერჯოლის, ზესტაფონის, ბაღდათის, ხარაგაულის, ქარელისა და ხაშურის რაიონებს. ფართობი 3470 კვ კმ.

VII[8] სალიცენზიო ბლოკი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში და ადმინისტრაციულად მიეკუთვნება: ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებს. ფართობი 1175 კვ კმ.

VIII სალიცენზიო ბლოკი ადმინისტრაციულად მიეკუთვნება: ბაღდათის, ხარაგაულის, ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის, მცხეთის, თეთრიწყაროს, წალკის, ბორჯომის, ახალქალაქის, ასპინძისა და ახალციხის რაიონებს. ფართობი 4760 კვ კმ.

დამატებითი ინფორმაცია

სახელმწიფო სააგენტოს უფროსისადმი წერილობითი თხოვნის საფუძველზე დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ მიიღონ საინფორმაციო პაკეტები სალიცენზიო ბლოკებისა და ტენდერის პირობების შესახებ. წერილობითი თხოვნა უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ყაზბეგის გამზირი № 45 (IV სართული), ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო. ტელ: (995 32) 253311, ელექტრონული ფოსტა: sarogr@access.sanet.ge.

საქართველოს კანონი ნავთობისა და გაზის შესახებ და ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების მარეგულირებელი ეროვნული წესები განთავსებულია ვებგვერდზე www.sarogr.ge

განაცხადის წარდგენა და გახსნა

სახელმწიფო სააგენტოში "ნავთობისა და გაზის შესახებ" კანონისა და ეროვნული მარეგულირებელი წესების შესაბამისად წარმოდგენილი განაცხადები (დალუქული) მიიღება 2006 წლის 15 თებერვლიდან 2006 წლის 30 მარტის 17 საათამდე (ადგილობრივი დროით) შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი ყაზბეგის გამზირი № 45 (IV სართული), ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო.

ყველა განაცხადი გაიხსნება საჯაროდ 2006 წლის 30 მარტს 18 საათზე (ადგილობრივი დროით) სახელმწიფო სააგენტოს ოფისში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

## ტრაგიკული თავგადასავლის მატიანე



სამსონ ლეჟავა

XX საუკუნის მიწურულის ქართულ მხატვრობაში გაჩნდა რამდენიმე განსაკუთრებული ფასეულობისა და მასშტაბის მოვლენა. ამათგან ყურადღებამისაპყრობი უდავოდ არის ლევან ჭოლოშვილის მიერ ისტორიის სიღრმისეული ხედვით გამორჩეული, ჩვენი სამეფო სახლისა და არისტოკრატიის ცხოვრების მძაფრად ხატოვანი ქრონიკა. ბაგრატიონთა დინასტია, არსებითად შეწირული სამშობლოს სამსხვერპლოზე და წუთისოფლის დაუნდობელი ამაოების "ქრონოსით" – ჩამოშორებული ქვეყნის უანგარო სამსახურს; ხან შორეთში გადახვეწილი, ხანაც საკუთარ მიწაზე დევნილი... ჩვენი არისტოკრატია, ლამისაა ერთიანად ამოძირკვული ბოლშევიკთა მიერ, განადგურებული, ძალმომრეობით ამოშლილი "ქართლის ცხოვრების" ფურცლებიდან! უცნაური ჩამწვდომობით, სიღრმით, ტკივილით არის წარმოჩენილი ეს ყოველივე ლევანის მხატვრობაში. თანაც არსებითია, რომ აქ გამოირიცხება რაიმედაგვარი ზომასმოკლებული კონვულსიურობა, მრავალსიტყვაობითი "გადაშლა" იმ საშინელებისა, რაც განვლო "ქართლის ბედის" მუდამჟამს მოზიარე ჩვენი წარჩინებული ფენის როგორც რჩეულთა, ისე რიგითმა ოჯახებმა, მათმა მთელმა თაობებმა. არა, აქ იმარჯვებს ზომიერება, სწორედაც არისტოკრატული თავდაჭერილობა, სისადავე, რასაც ახლავს შთამბეჭდავი, დიდად თავისებური განწმენდილობის, ამაღლებულობის, ერთგვარი "კათარსისულობის" აურა.

ძალზე მდიდარია მის სურათთა სახვითი არსენალი. XX საუკუნის ავანგარდული ხელოვნების ხერხთა დაუფარავი, ხანდახან გამომწვევი ექსპრესია აქ განიცდის არსებით სახეცვალებას და აღწევს უაღრესად დამაჯერებელ, ახლებურ "მხატვრულ სიზუსტეს". ერთი საგულისხმო პარადოქსი, რაც ლევანის ხელოვნებაში ჩანს - სარწმუნო შეხამება "სიმყიფისა", წარმავალობისა და მონუმენტურობისა, ხანდახან თვით სიდიადისაც კი. აქ ჟამისეულსაც თავისი მიაგო შემოქმედმა, ხოლო გადამწყვეტად – დროისმიღმური, მარადიული აქცია. მან უტყუარი წვდომით ნათელყო ძველთაძველ ფოტოსურათებში არსებული "ორადობა" – ერთი მხრივ, დროისეული კვალი, "გაცრეცილობა", ერთგვარი "ბიოგრაფიულობა" საოჯახო ალბომებს შეკედლებული ჩვენი წინაპრების სახეებისა, ხოლო მეორე მხრივ, ცხადყო მათშივე ჩენილი "წამის ის გამუდმივება", რასაც პერსონაჟთა თავდაჭერილობა, სიდარბაისლე და ზოგჯერ ნეტარი კეთილშობილება გამოჰკვეთს.

ლევან ჭოლოშვილის ხელოვნება ჩვენს სინამდვილეში დიდი სულიერი განზომილების მქონე მოვლენაა. მასში შეფარული შრეები მუდმივი დიალოგისა და ამოცნობისაკენ მოგვიხმობს. აქ ბევრი ისეთი რამ არის დაქარაგმებული, რაც შესაძლოა, ავტორისათვისაც დიდი საიდუმლოებაა. ეს სურათები თითქოსდა "მიდის" კიდეც მათივე შემქმნელის სივრციდან, იწყებს საკუთარ საიდუმლო ცხოვრებას და ამასთანავე, ბევრი ჩვენგანისათვისაც სულიერი რეალობის ნაწილად იქცევა. ისინი, როგორც ცოცხალი არსებები, ისე მოგვმართავენ, თითქოსდა საჭირბოროტო კითხვებსაც გვისვამენ, და შემდგომ გეგონება, კვლავ საკუთარ სამყოფელს უბრუნდებიან, თავიანთ "სავანეში" გაირინდებიან. მათში ეჭვსგარეშეა მიახლოება ტრადიციული კედლის მხატვრობის სიმაღლესთან, და ეს ხელოვნება თავისი წყობით, მნიშვნელოვანწილად მემკვიდრეცაა ჩვენი საეკლესიო ხელოვნებისა. ამ ნიშნით ლევან ჭოლოშვილის ორიენტირები იმ რიგისაა, რომელნიც უარყოფს ყოველსავე ამაოს, მოდურს, არაარსებითსა და წარმავალს.

დაბოლოს: ალბათ ისიც შესამეცნებელია, თუ როგორ შეძლო ლევანმა ახალი "ქართლის ცხოვრების" სული წარმოეჩინა თანამედროვე მხატვრობის ენით...

## ლოს ანჯელესი „ოქროს გლობუსისთვის" ემზადება




ლოს ანჯელესში "ოქროს გლობუსის" ნომინანტი ფილმები გამოავლინეს.

წელს ყველაზე მეტ, 7 ნომინაციაზე წარდგენილია ოსკაროსანი რეჟისორის ენგ ლის ფილმი "აზიდული მთა." მათ შორის ნომინაციებზე: წლის საუკეთესო ფილმი, საუკეთესო რეჟისორი და საუკეთესო მსახიობი მამაკაცი (ჰიტ ლედჯერი). ფილმმა ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალზე მთავარი პრიზი – "ოქროს ლომი" მოიპოვა. ამის გამო ვარაუდობენ, რომ ფილმი "აზიდული მთა" "ოსკარის" მფლობელიც გახდება.

ფილმში ჰიტ ლედჯერი და ჯეიკ ჯილენჰანი შეყვარებულებს ითამაშებენ. ფილმი ეფუძნება პროულსკის მოთხრობას, რომელშიც ორი კოვბოის სიყვარულია აღწერილი.

"ოქროს გლობუსის" ოთხ ნომინაციაზე წარდგენილია ფილმები: "პროდიუსერი", ჯორჯ კლუნის "ძილი ნებისა და გისურვებ წარმატებებს" და ვუდი ალენის "მატჩ პოინტი".

"ოქროს გლობუსის" ცერემონიალი 2006 წლის 16 იანვარს გაიმართება. აქვე სავარაუდოდ გამოვლინდება "ოსკარის" დაჯილდოების გამარჯვებულებიც, რადგან "ოქროს გლობუსი" "ოსკარის" გენერალურ რეპეტიციასთან ასოცირდება.

## ჰარი პოტერი ბრიტანეთში ლიდერობს

ბრიტანული გამოცემის, Screen International-ის ცნობით, "ჰარი პოტერის" მეოთხე სერია 2005 წლის ყველაზე წარმატებული ფილმია ბრიტანეთში. ამ ფილმმა 43 მილიონი ევრო მოუტანა შემქმნელებს. მას 4 მილიონი ევროთი ჩამორჩება "ვარსკვლავური ომები, ეპიზოდი 3". შემდეგი არის ტიმ ბარტონის "ჩარლი და შოკოლადის ფაბრიკა" 37 მილიონი ევროთი. რაც შეეხება პიტერ ჯექსონის გახმაურებულ "კინგ კონგს", ის ბრიტანეთში მხოლოდ მე-19 ადგილზეა, თუმცა სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ წლის ბოლომდე ის უფრო მაღალ პოზიციას მიაღწევს. შარშანდელი წლის ყველაზე მომგებიან ფილმად "შრეკი-2" დასახელდა, რომელმაც 48 მილიონი ევრო მოიტანა. ეს რეკორდი წელს ჯერ არც ერთ ფილმს არ მოუხსნია.

# ქართული მოდერნიზმის რეტროსპექტივა

### იმისთვის, რომ ქართული ხელოვნებაც ვისწავლოთ

სოფო კილასონია



"ქართული მოდერნიზმი" ძალიან უჩვეულოდ ჟღერს და არა იმიტომ, რომ თამამი ფრაზაა, ანდა უცხო ხილი, არამედ იმიტომ რომ, ჯერ ხელოვნების არც ერთ კრიტიკოსს ქართული მხატვრობა ამ სათაურის ჩრდილქვეშ არ მოუქცევია. ყოველ შემთხვევაში ხმამაღლა და სახალხოდ არასდროს უთქვამთ, რომ ავანგარდიც გვქონდა და მოდერნიზმიც. სადღაც ალაგ-ალაგ მის შტრიხებს გამოვყოფდით, გავლენებსა და ტენდენციებზე ვსაუბრობდით, მაგრამ რისკზე არ წავსულვართ, შესაძლოა და ალბათ ფაქტია, ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ქართული დაზგური მხატვრობის სანახევროდ შესწავლა და დაუკვირვებლობაა. არადა, ახალი და უახლესი ქართული ხელოვნება სულ უფრო და უფრო შორდება დღევანდელობას, გაურკვევლობით მოცული თანამედროვე არტი კი კითხვის ნიშნებად გვრჩება, რადგანაც კარგად არ ვიცით, რა იყო მანამდე, სანამ სოცრეალიზმის ხატებები შეიქმნებოდა, სანამ ეს ვაკუუმი დადგებოდა, რომელსაც ძალიან ხშირად ვიხსენებთ და ვიშველიებთ.

თბილისის ისტორიის მუზეუმის საგამოფენო დარბაზები მთელი წელი სხვადასხვა მასშტაბისა და მნიშვნელობის გამოფენებს გვთავაზობდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი მათგანი არ ყოფილა ინტერესმოკლებული და გალერეის შემოქმედებითი ჯგუფის პროფესიონალიზმი საკმაოდ თვალნათელი გახლდათ, მაგრამ გამოფენა, რომელიც გუშინ საღამოს ქარვასლაში გაიხსნა, იმ იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს, რომელიც მეხსიერებაში რჩება და თანაც დიდი ხნით.

გამოფენას, რომელსაც ფართო შინაარსისა და მასშტაბის პროექტს უფრო დავარქმევდი, "ქართული მოდერნიზმი" ჰქვია, პერიოდი - 1910-1930 წლები - გასაგებია, მაგრამ მაინც კონკრეტდება. ექსპოზიცია, რომელსაც სამი საგამოფენო დარბაზი უჭირავს, ვრცელია, მრავალფეროვანი და მრავლისმთქმელი. პროექტის ავტორები ხელოვნებათმცოდნეები მაია ციციშვილი და ნინო ჭოლოშვილი არიან. სწორედ ის ქალბატონები, რომლებმაც შარშან, დაახლოებით ამ დროს, გასული წლის საუკეთესო გამოფენა "თბილისის პეიზაჟები ქართველი მხატვრების შემოქმედებაში" წარმოგვიდგინეს. მაშინ საკმაოდ მაღალი პოლიგრაფიული ხარისხის მქონე ალბომიც გამოიცა. პროექტის ძირითადი სტრუქტურა, პრინციპში, წელსაც განმეორდა. მუზეუმთა საცავებიდან გამოტანილ ნამუშევრებს მიხედეს, გამართული ექსპოზიცია შექმნეს, სტატიები დაწერეს და კიდევ უფრო ხარისხიანი და საინტერესო წიგნი გამოსცეს. მსგავსი მოცულობის პროექტებს ხანგრძლივი მუშაობა რომ სჭირდება, ამაზე აღარავინ დავობს, მიუხედავად ამისა და შარშან გამართული ექსპოზიციის რეზონანსისა, ავტორები ბევრად სერიოზულ იდეას შეეჭიდნენ.

ბუნებრივია, 350 ნამუშევრის საუკეთესო რაკურსებში წარმოდგენას, თემის განსაზღვრას, მისთვის ადეკვატური კონტექსტის შექმნას და თანაც წიგნს, თავი ვერ მოებმებოდა, რომ არა მხარდაჭერა და რაც მთავარია, მრავალმხრივი ინიციატივა, დაფინანსება. გერმანიისა და საფრანგეთის საელჩოები საქართველოში, თბილისის გოეთეს ინსტიტუტი, ა. დიუმას სახ. ფრანგული კულტურის ცენტრი, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო და საქართველოს ეროვნული მუზეუმი – ეს "ქართული მოდერნიზმის" მეგობრები არიან.

ვის და რას აღარ იხილავთ ქარვასლაში. ოცხელის ჩამოქნილ სილუეტებს, ქიქოძის პარიზულ პეიზაჟებს, გუდიაშვილის თბილისურ სახასიათო რომანტიკას, ახვლედიანის მიხვეულ-მოხვეულ ქვაფენილებს, მოსე თოიძის ფოვისტურ და ნაბისტურ ლურჯ ჩრდილებსა და აღმოსავლურ სცენებს ძველ ქალაქში, მაღალაშვილის სახეებს და კიდევ ძალიან ბევრს. ყურადღებას მიიქცევს სიდამონ-ერისთავის "წითელ ცხენოსანთა შეტევა", რომელიც ძალიან გაგაკვირვებთ სიცხადით, სიმძაფრით, ენობრივი ლაკონიზმით, კაკაბაძის გრაფიკული მონახაზები პარიზიდან და მისივე იმერული პეიზაჟების გვერდით - "ბრეტანი", თან ლაქები, თანაც დიდებული პეიზაჟები ყველაფრით. იქვეა დიმიტრი შევარდნაძის, ვარლამიშვილის, ზდანევიჩის და სხვათა ტილოები. არის ფიროსმანიც, ცოტა, მაგრამ მაინც ძალიან საკმარისი...

პრეზენტირებულ ალბომში მაღალი ხარისხის რეპროდუქციები ტექსტებით ივსება, ანდა პირიქით. სამი სტატია, რომელიც მაქსიმალურ ინფორმაციას გვაწვდის მოვლენასა და პერიოდზე. ლუიჯი მაგაროტო (ვენეციის სახელმწიფო უნივერსიტეტი "კა`ფოსკარი") 1914-1921 წლების ტფილისის ლიტერატურულ-კულტურულ ცხოვრებაზე წერს. დიმიტრი თუმანიშვილის სტატიაში საქართველო ეპოქათა გასაყარზე დგება და მისი პეიზაჟი ზოგად კულტურული ტენდენციებითა და ეპოქის ნიშნებით იხატება. უკვე თავად მაია ციციშვილისა და ნინო ჭოლოშვილის ტექსტი "ქართული მოდერნისტული მხატვრობა ევროპულ კონტექსტში" კონკრეტულად მხატვრობას ეხება და მას მიმოიხილავს.

პროექტზე მუშაობა მაშინ დაწყებულა, როცა ქალბატონ მაიას გოეთეს ინსტიტუტის ინიციატივისა და სურვილის შესახებ გაუგია: "გავიგეთ, რომ გოეთეს ინსტიტუტი მსგავს პროექტს დიდი სიამოვნებით დააპროექტებდა. რა თქმა უნდა მე ეს იდეა დიდი ხანია თავში მიტრიალებდა. მინდოდა, ერთად გამომეფინა ეს ყველაფერი. მასზე, რაც არის ფონდებში, საზოგადოებას კი არა და ხელოვნებათმცოდნეებსაც არ მიუწვდებათ ხელი. იქ ძალიან რთულია შეღწევა და რამის ნახვა. გოეთეს ინსტიტუტის სურვილი იყო, ქართული ავანგარდი ევროპულ კონტექსტში წარმოდგენილიყო. ამიტომ, ძირითადად, უნდა გაგვემახვილებინა ყურადღება იმ მხატვრებზე, რომლებიც პარიზში და გერმანიაში იყვნენ წასულნი, მაგრამ მერე შევუერთეთ იმ მხატვართა ნამუშევრებიც, რომლებიც საქართველოში, ანდა რუსეთში სწავლობდნენ და მოღვაწეობდნენ, მაგრამ არანაკლები ავანგარდისტები და არანაკლებად მნიშვნელოვანნი იყვნენ. მგონია, ძალიან საინტერესო უნდა იყოს ახალგაზრდებისთვის, თუ როგორი დონის მხატვრობა და როგორი დონის კულტურა არსებობდა 10-იანიდან 30-იან წლებში. უკვე საბჭოთა წყობილების, ბოლშევიზმის შემოსვლისთანავე დამოკიდებულება იცვლება, მოდერნიზმი კლებულობს, იკრძალება, მაგრამ 37 წლამდე მაინც ინერციით გრძელდება პროცესი. ძალიან ბევრი რამე არის შესასწავლი და სხვაგვარად დასანახი."

ფაქტია, რომ არა თუ დასავლური მოდერნიზმი და ზოგადად ავანგარდისტული ხელოვნება, არამედ ჩვენიც არ გვაქვს დანახული და შესწავლილი. წარმოდგენილი გამოფენა-პროექტი კი ძალიან წაადგება ყველას, ვისაც ზოგად ტენდენციებზე, გავლენებზე და მათ რაობაზე უყვარს მსჯელობა და საუბარი. ვისაც პარალელების დანახვა სურს და პირიქით. ექსპოზიცია კარგად გვიჩვენებს, სად გავჩერდით და საიდან და როგორ უნდა გავაგრძელოთ. მაგრამ მხოლოდ ექსპოზიცია რომ ამ ყველაფრისთვის კარგად ვერ იმუშავებს, პროექტის ავტორებს კარგად ესმით. ამიტომაც გამოფენის მსვლელობის დროს ჩატარდება საგანმანათლებლო პროგრამები:

**1. თბილისის მხატვრული ცხოვრება 1916-1921 წლებში სტუდენტებისათვის. პროგრამის ავტორი მაია ციციშვილი.**

**2. ქართული ავანგარდული მხატვრობა ევროპული ხელოვნების კონტექსტში. სტუდენტებისათვის. პროგრამის ავტორი მაია ციციშვილი.**

**3. საქართველო ევროპათა გასაყარი. სტუდენტებისათვის. პროგრამის ავტორი დიმიტრი თუმანიშვილი.**

**4. თბილისის ლიტერატურული ცხოვრება 1910-1920-იან წლებში. სტუდენტებისათვის. ავტორი ლაშა ბაქრაძე.**

**5. თბილისის მხატვრული ცხოვრება 1916-1921 წლებში. სკოლის მოწაფეებისათვის (ასაკი 10-12 წელი). პროგრამის ავტორები მაია ქუთათელაძე და ციკო ჯანყარაშვილი (თბილისის ისტორიის მუზეუმი).**

გამოფენა 10 მარტამდე გაგრძელდება. თუ ლექცია-შეხვედრები მართლაც შედგება, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ მაია ციციშვილისა და ნინო ჭოლოშვილის პროექტი "ქართული მოდერნიზმი" ყველაზე ორგანიზებულ, ბოლომდე გააზრებულ, მაღალპროფესიონალურ და ყველაზე შთამბეჭდავ საგამოფენო მოვლენად იქცევა.








ნაუტილუსი

- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

"ნაუტილუსი" აცხადებს მნიშვნელოვან საახალწლო **ფასდაკლებას (25% - 50%)** "წონაში კლების და გაჯანსა-ღების" ახალ პროგრამაზე და ფიტნეს კლუბ "ნაუტილუს"-ში.

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge
Web-site: www.nautilus.ge

ყურადღება!

რესტორანი "დაკარგული სამოთხე"

რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.

ტელ. 999-207